ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№10 (64) ოქტომბერი, 2018 წელი ფასი 2 ლარი

ნომრის ავტორები

კატო ჯავახიშვილი

& ლეონე თენიოლაშვილი

პოეზია

ნინი ელიაშვილი
ზაზა ბიბილაშვილი
მაია ჯოლბორდი
პაპუნა გიორგაძე
ნენე გიორგაძე
ეკა კვიციანი

პროზა

რატი რატიანი
ეკა ქევანიშვილი
დავით შერგელაშვილი
გოთი კოკალა

ახალი თარგმანები

გიიომ აპოლინერი

კრიტიკა

ნანა ტრაპაიძე
დავით ჩიხლაძე
ლელა კოდალაშვილი

არტი

ელენე ბედუკაძე

№10 (64) ოქტომბერი, 2018 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ელისო მეტრეველი, კატო ჯავახიშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, თამარ კოტრიკაძე, ნინი ელიაშვილი, ირაკლი ყოლბაია, მაია ჯოლბორდი, პაპუნა გიორგაძე, ნენე გიორგაძე, ეკა კვიციანი, რატი რატიანი, ეკა ქევანიშვილი, დავით შერგელაშვილი, გოთი კოპალა, ნანა ტრაპაიძე, დავით ჩიხლაძე, ლელა კოდალაშვილი, ქეთევან კოკოზაშვილი, თემურ ჩხეტიანი, ელენე ბედუკაძე

გამომცემლობა «საუნჯე»
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;
www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

კატო ჯავახიშვილი

ელისო მეტრეველი – კატო ჯავახიშვილის „ამბავი“

“უნდა მოგიყვე,
ხურჯინი უნდა ამოვატრიალო და
იქიდან გადმოყრილი საგნებით:
ბასრებით
ბლაგვებით
მრგვალებით
უწახნაგოებით
ჩემი ცხოვრება უნდა მოგიყვე...”

(“ზედმეტად პირადული ამბავი”)

ისეთი შემოდგომაა, ბევრი წელი რომ არ ყოფილა – ისევ ცხელი მზით და ისევ მწვანე ხეებით! იქნებ არც არასდროს ყოფილა ასეთი შემოდგომა – ქართველი მწერლებისთვის და ქართული ლიტერატურისთვის განსაკუთრებით – “ფრანკფურტული” შემოდგომა. კატო ჯავახიშვილი ერთ-ერთია, ვინც ფრანკფურტის წიგნის 70-ე, საქართველოსთვის გამორჩეულ ბაზრობაზე თავის ლექსებს წარადგენს და მათზე ილაპარაკებს. ფრანკფურტამდე ერთი დღით ადრე კი თბილისში, პლედმოხურული, მაღალ ტერასაზე ზის და მწერლებისა და მწერლობის “ფრანკფურტამდელ” ამბებზე ლაპარაკობს, კიდევ “პირადულ ამბებზე” – ბასრებზე, ბლაგვებზე, უწახნაგოებზე.

ეს ამბავი კი თავიდანვე ნგრევით და ქარიშხლებით იწყება, ისე, როგორც მთელი თაობის, ვინც ომებიანი, უსინათლო 90-იანები და 2000-იანები გამოიარა საქართველოში. და გრძელდება მრავალჯერ შეცვლილი გზით და პროფესიებით, კედლების ნგრევით და აგებით, მარტო დარჩენით და მასთან გამკლავებით. ყველაფერ იმით, რაც

გზადაგზა ლექსებად იქცეოდა, შემდეგ კი წიგნებად: “ნაცვალი სახელი”, “მარცხნივ”, “ჭუპრი”, “იავნანა კაცებისთვის”... და “ორი ფინჯანი” – ინტერვიუების კრებული, რომლებიც წლების მანძილზე იწერებოდა და ქვეყნდებოდა. ეს წიგნი ჟურნალისტისა და ლიტერატორის მნიშვნელოვანი ნამუშევარია, სადაც მთელი თანამედროვე ქართული ლიტერატურაა მთავარი როლების შემსრულებლებითა და პერსონაჟებით, სადაც კატოს “ამბებიცაა”.

მისი ყველა საქმე წერასთან არის დაკავშირებული, გარდა იმ დროისა, როცა კბილის ექიმად მუშაობდა, ჰო, სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, ჯერ პედიატრიას სწავლობდა, მერე სტომატოლოგიას, ერთი წელი მუშაობდა კიდეც. მერე სხვა რამეებიც დაამთავრა – იურიდიული, ხელოვნებათმცოდნეობა, საზოგადოებრივის მართვის მენეჯმენტი, მუშაობდა ბევრგან და აკეთებდა ბევრ საქმეს. ერთხელ მეგობრებთან ერთად პატარა ბიზნესიც დაიწყო, ხელით ხატავდნენ ქოლგებს და ყიდდნენ. მერე მობეზრდა და მიხვდა, რომ აღარ უნდოდა ამის გაგრძელება. იმდენად უცნაურად ვიცხოვრე და იმდენნაირი გამოცდილება მაქვს – გზადაგზა პროფესიები შევიძინე, დავკარგე კიდეც – აღარ ვიცი, რაღანაირი გამოცდილება მაქვსო, ამბობს.

– როგორი იყო ეს ცვლილებები ამ ქვეყანაში და ასეთ წლებში? თითქოს მრავალფეროვნებაა, ძიებაა, მაგრამ მეორე მხარეც ხომ არ აქვს – სტაბილურობის თუ რაღაც მსგავსის არარსებობა?

– 16 წლის უკვე პირველ კურსზე ვიყავი. სწრაფად გავაკეთე არჩევანი, ნამდვილად არ ვიცოდი, იმ დროს რა მინდოდა. ისე, მას შემდეგ სულ ძიებაში ვარ. დღესაც კი არ ვიცი, რას ავირჩევდი, ყველაფერს თავიდან რომ ვიწყებდე, ალბათ, უფრო ფსიქოლოგიას ან ნეიროქირურგიას. ზოგადად ადამიანი მაინტერესებს, უფრო ღრმად. პრაქტიკას გავდიოდით ასათიანზე, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ახალგაზრდა პაციენტები ჰყავდათ. ხშირად მივდიოდი, ვლაპარაკობდით ხოლმე. ძალიან პატარა ვიყავი, 9 წლის, როცა პირველად დავიბეჭდე ჟურნალ "დილაში", რომლის რედაქტორი იყო თენგიზ ჩალაური, ფანტასტიკური კაცი. ეს ყველაფერი ზოგჯერ ბავშვის ფსიქიკისთვის არის დაუძლეველი, როგორც ჩანს, მეც ამბიციები გამიჩნდა, უფრო მეტი მეგონა თავი, ვიდრე ვიყავი; ბევრ ისეთ რამეს ვაკეთებდი, რაც არ უნდა გამეკეთებინა. შეიძლება ისიც იყო, რომ სინამდვილეს შევეჯახე და უფრო მეტად დავიბენი, ჩავიკეტე. იყო კონფლიქტები ქართულის მასწავლებელთან. ცამეტი წლის ასაკში ლაპარაკი შევწყვიტე, ყველას ვაიძულებდი, წერილებით ელაპარაკათ ჩემთან. ამ გადასახედიდან რომ ვუყურებ, ეს პროტესტიც იყო. თენგიზ ჩალაურიც წერილებს მიგზავნიდა, მახსოვს, ლურჯ კონვერტში იდო ხოლმე, მეც ვწერდი პასუხებს. კარგად ვსწავლობდი, თუმცა რთული გარდატეხის ასაკი გავიარე. სკოლიდან გამრიცხეს ცუდი ყოფაქცევის გამო – საკლასო ჟურნალები მოვიპარეთ და დავწვით. გადავედი ღამის სკოლაში, რომელიც ექსტერნად დავამთავრე და მაშინვე სტუდენტი გავხდი. საშინელი პერიოდი იყო.

“კერასინკის” და გახუხული პურის სუნი “მოდის”, იმ დროს რომ ვიხსენებ.

– კიდევ რა “მოდის” იმ წლებიდან?

– ბევრი რამ “მოდის”: სანთლის შუქზე თავყრილობები, გიტარა, ნავთის სუნიანი ზურგჩანთები, ომი, ავტომატები ლეიბის ქვეშ – ჩემი ოჯახის წევრები იბრძოდნენ. თუმცა ამ ყველაფერს ფარავს “მწვანე ნუშის გემო”. ნუშის ახლად გამოსული კვირტების გემო. მას შემდეგ არ მიჭამია, არც მინახავს. ბევრი ურთიერთგამომრიცხავი რამ ხდებოდა ამ წლებში, რაღაც მაზოხისტური სიტკბოებასავით ახლდა იმ ყველაფერს. ბევრი თავისუფალი დრო იყო, ურთიერთობები, ასეთი ჩაკეტილები არ ვიყავით. კიდევ “მოდის” მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკა, სადაც დედაჩემი მუშაობდა, ვაჟა-ფშაველას ბოლოში. ერთ-ერთი ჩემი ყველაზე მძაფრი მოგონებაა ლიტერატურული საღამო ამ ბიბლიოთეკაში. მოწვეული ჰყავდათ ბესიკ ხარანაული და კიდევ სხვა ორი პოეტი. სუფრები იშლებოდა ხოლმე. ალბათ, რაღაც დაფინანსება ჰქონდა ბიბლიოთეკას, მაშინ ძალიან ჭირდა. გამოვიდნენ და წაიკითხეს ლექსები, ჰოდა, მეც გამოვედი და ვთქვი ჩემი ლექსი, რაღაც საშინელი ლექსი დავაბრეხვე, საზიზღარი. ბესიკი მოვიდა და მეკითხება, შენ ლექსებს წერო, ხო? კი-მეთქი, ვუპასუხე ძალიან ამაყად, და ამ დროს ვარ ისეთი ამაყი, ისეთი, რომ ბესიკზე ამაყიც ვარ. ბესიკი არის მაგარი მთვრალი და მითხრა, აღარ წეროო!.. გავიდა ძალიან ბევრი წელი და მერე მივედი მასთან ინტერვიუზე, უკვე წიგნებიც მქონდა გამოცემული, სხვა ეტაპზე ვიყავი. აი, მაშინ რომ გითხარი, არ წერო და შენ რომ მაინც გააგრძელე და შტერულ ლექსებს აღარ წერ, იმიტომ ხარ კარგი გოგოო. ახსოვდა. ეს ბიბლიოთეკა ძალიან ნათელი წერტილი იყო იმ დროს, მეგობრებიც კი მიმყავდა, როგორც

სახლში. იქ წავიკითხე, ყველაფერი, რისი წაკითხვაც იმ დროში შეიძლებოდა. ამასწინათ ვიყავი, გაურემონტებიათ. ის ძველი სუნი აღარ დგას – კედლების, წიგნების, თაროების. ის სუნი მიყვარდა, ის სუნი მახსოვს. მომეჩვენა, რომ ყველაფერი იყო პლასტმასის. ვიფიქრე, ალბათ, დავბერდი... ისე, პანიკურად მეშინია სიბერის, ეს არის ჩემი ისტერიკული შიში, რომელიც ვერ გადავლახე. ვიყურები ვიტრინებში და სულ ვამბობ, რომ მე გავხდები ისეთი, როგორიც ვიყავი 10-15 წლის წინ. მოტოციკლზე, ყურსასმენით – ასეთი ჩემი თავი მინდა, ასეთი ჩემი თავი "დავასეივე" და სულ მგონია, რომ ის ვარ, სულ ის ვარ, შინაგანად მაინც. გაივლის ესეც, ალბათ, მივეჩვევი ჩემს თავს ჩემს დროში.

– როგორ იცვლება ეს "შენი" დრო და ამბები, სათქმელი? რა მოიტანა ამ წლებმა?

– ალბათ ყოველთვის მინდოდა ჩემი ამბის მოყოლა. მაგრამ სანამ მივხვდებოდი, რომ ეს "ჩემი" უნდა ყოფილიყო, ბევრი რაღაც იყო – დაცემა, სისუსტე, შეცდომა. ეს ყველაფერი ძალიან არის გადაჯაჭვული ჩემს პოეზიასთან. სანამ ძალიან არ მეტკინა, სანამ ძალიან არ დავეცი, სანამ ძალიან უსუსურად არ ვიგრძენი თავი და სანამ ახლიდან არ დავიწყე ჩემი თავის აშენება, მანამდე არ იყო ეს ყველაფერი "ჩემი ამბავი". შეიძლება ვიღაცის ამბავშიც შევიდე, მაგრამ "მე" უნდა შევიდე, მე უნდა მეტკინოს, მე უნდა და გადავიტანო, აბა, რასაც ვწერ, ყველაფერი მე ხომ არ გადამხდებოდა. ადამიანი ზოგადად "მარტოა" და მეც "მარტო" ვარ. კი, არის ოჯახი, მეგობრები, მხარდაჭერა, გვერდში დგომა, თუმცა მე ყოველთვის ზედმეტად დამოუკიდებელი ვიყავი და ზედმეტად მარტოც. ალბათ 5 წლის იყო გიო, ჩემი შვილი, როცა დავრჩი მარტო, ძალიან მძიმე სოციალური ფონის წინაშე. იძულებული

გავხდი, ვყოფილიყავი ძალიან ძლიერი, ჩემს თავში გამოვიგონე ეს სიძლიერე. ბევრი ადამიანი გავაოცე ამ ტრანსფორმაციით. თითქოს ერთმანეთი გავზარდეთ მე და ჩემმა შვილმა. იცის, რომ მის გვერდით ვარ სულ, მაგრამ ისიც იცის, რომ თავისთვის უნდა იცხოვროს, თავისი დამოუკიდებელი ცხოვრებით... ბანალურად ვიტყვი, მგონია, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც იბადებიან რაღაც დიდი ტკივილით, რომელიც თავს არასოდეს განებებს, არ გიშვებს და გათქმევინებს შენს სიტყვებს, ნამდვილ სათქმელს და ეს აღარ არის თვითმიზანი, ასეთ სათქმელს შეიძლება ასი ათასმა კაცმა არ დაუკრას ტაში. ეს ასი ათასების ტაში კიდევ ცოტა უცნაური რამეა, საშიშიც.

– თავბრუს ახვევს? ადგილზე ყინავს?

– ერთია, რომ შეიძლება თავბრუ დაახვიოს და წინ ვეღარ წავიდეს და მეორე, “მიტინგის ეფექტი” აქვს – უცებ სხვანაირები რომ ხდებიან, ერთიანობის ილუზია რომ იქმნება. მერე კი ზუსტად ეს ხალხი მოვა და ტრიბუნიდან ჩამოგაგდებს, ან უარესი – შენ თვითონ ჩამოვარდები. ამიტომ მგონია, რომ საკუთარი თავისთვის ხარ პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის წერ და მერე “შენი” მკითხველისთვის. ამ დროს არაფერს დგამ ხელოვნურად და არ წერ “გამოძახებულ” თემებზე. ის, რომ მართლა ღირებული შექმნა და ბევრს მოაწონო, ძალიან იშვიათია. ასე შეიძლება პროზაში უფრო მოხდეს, პოეზიას ისედაც ცოტა კითხულობს. პრინციპში, ჩვენ ერთ-ერთი

ისეთი ქვეყანა ვართ, სადაც ხალხი ჯერ კიდევ კითხულობს ლექსებს, უფრო მეტად, ვიდრე თუნდაც ევროპაში. ჩვენ ხომ მაინც "პოეზიის ქვეყანა" ვართ, სადაც "ყველა წერს", "ყველა ლექსავს"... ადამიანები დაიღალნენ, ყველაფერი ეზარებათ და უნდათ გართობა. "გართობა" – აი, მივაგენი, რა უნდათ ადამიანებს. პოეზია არ არის გართობა და როგორც კი იქცევა გართობად, მასების ყურადღებაც მოდის.

– რა გაწერინებს? რას მოაქვს "შენი" სიტყვები, ფორმა, ემოცია?

– ზოგჯერ მემართება აკვიატებასავით, უსიტყვებო მუსიკა, მელოდია, მერე უცებ ჩნდება სიტყვები, ამოხეთქავსავით და სიტყვას ვერ ცვლი. ან მოდის და მერე შლი და აწყობ. ყველაფერს აქვს მნიშვნელობა – ფორმასაც, სიმართლესაც, ემოციასაც, სიტყვებსაც და კიდევ სიზუსტეს, რადგან მგონია, რომ სამყაროში ყველაფერი არის სიზუსტე და მათემატიკა – ლექსიც, კინოც, სიყვარულიც. სიტყვა სიტყვისთვის არის სისულელე, "ამბავს" რა სიტყვა სჭირდება, მთავარი ის არის და ყველა სიტყვა შეიძლება იქცეს შეუცვლელ სიმართლედ. დანარჩენი სიყალბეა, ხომ არ ვლაპარაკობთ მაღალფარდოვანი სიტყვებით და ასეთი ლექსი რატომ უნდა წაიკითხოს ვინმემ. არის რაღაც სიტყვები, პათეტიკური, დღეს რომ ძალიან ყალბად ისმის, თუ ის არ არის ირონიის საფარველქვეშ, რაღაც სხვა აზრის და სხვა ფორმის საჩვენებლად. თუმცა ერთ-ერთ უნივერსიტეტში ლიტერატურული კონკურსის ჟიურიში ვიყავი და ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტების ნაწერების უმეტესობა ალექსანდრე ჭავჭავაძის სტილში იყო. ყველაზე "სწორად" ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები წერდნენ. ეს გამოცდილებასაც მოაქვს, აშენებ კედლებს, მერე

ანგრევ, მერე სხვა ადგილას აშენებ, სხვანაირად და ბოლოს პოულობ ზუსტ ადგილს და "არქიტექტურას". და იყოს ყველაფერი თუნდაც თამაში, ყველაფერი შეიძლება იყოს თამაში, მაგრამ გააჩნია, როგორ თამაშობენ.

– რა უნდა შეიცვალოს, როგორ?

– აქ მივდივართ განათლებამდე, ქართულის მასწავლებლებამდე, რომლებიც დარჩნენ "მეწამულ ფერებში", უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ყველა არა. საჭიროა განათლების რეფორმა და მე უფრო რადიკალური მიდგომების ადამიანი ვარ, მე გავატარებდი რადიკალურ რეფორმებს განათლებაში. იზრდება თაობა, რომლის ნაწილიც ვერ ერგება დროს და მერე ძალიან უჭირს. თუმცა ბევრი რამეც შეიცვალა. ჩვენ არ ვართ ჩვენი მშობლებისნაირები და არც ესენი იქნებიან ჩვენნაირები, ზუსტად ჩვენნაირები. მგონია, რომ ბევრად უკეთესია ეს თაობა. ბევრად კარგად ფიქრობენ, ბევრად კარგად გამოხატავენ საკუთარ აზრს. ვფიქრობ, კარგი დროა ცვლილებების, გარდატეხის, სწავლის და ეს თაობა ბევრად მეტს გააკეთებს. მიხარია, რომ ჩემი მკითხველის უმრავლესობა ახალგაზრდაა.

– შენს ერთ კრებულს "იავნანა კაცებისთვის" ჰქვია, განსხვავებულია დანარჩენი კრებულებისგან და არა მხოლოდ "გენდერულობის" გამო.

– ამ წიგნში არის ყველაფერი, რაც დაიწყო საქართველოში 90-იანი წლებიდან. ჩვენმა ქალებმა აიღეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, ძალიან უცნაური პასუხისმგებლობა და ეს ჩვენმა კაცებმაც მიიღეს. რაღაცნაირად მოხდა ქალების "განკაცება". ქალები იყვნენ შემომტანები, ქალები წავიდნენ ემიგრაციაში, ქალები გზავნიდნენ ფულს, კაცები ხარჯავდნენ. აბა, ტაქსიზე ხომ

არ დასხდებოდნენ, სჯობს, ელოდოს ფულს, რომელსაც ცოლი გამოგზავნის. ხანდახან ვფიქრობ, კაცებს უნდა ჩაუტარდეთ ფსიქოლოგიური ტრენინგები. თუმცა თანამედროვე ახალგაზრდები ახლა ნაკლებად არიან ასეთები, ჩემ ირგვლივ ნაკლებად არიან. ყველას უნდა, რომ დამოუკიდებლად იცხოვროს, ბიჭსაც და გოგოსაც. არის კიდევ ძალიან დიდი დოზით ძალადობა, ქალებზე ძალადობა. განსაკუთრებით რეგიონებში ძალიან ცუდი მდგომარეობაა ამ კუთხით. გარკვეული ორგანიზაციები მუშაობენ ამაზე, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა ჯერ. ბევრგან გოგო მოიაზრება, როგორც "საქონელი", უხეშად რომ ვთქვა, რომელიც მერე სარფიანად უნდა "გაყიდონ". ეს უნდა შეიცვალოს, საჭიროა განათლება, მეტი განათლება. მინდა, რომ სახელმწიფომ რაღაც გააკეთოს; მინდა, რომ ხალხმა იფიქროს ამ თემაზე, განსაკუთრებით გოგოებმა იფიქრონ. მინდა, რომ ამ გოგოებს არ შეეშინდეთ, არ ეგონოთ, რომ უშნოები არიან, რომ რაღაცას ვერ მიაღწევენ. უნდა ისწავლონ, აუცილებლად ისწავლონ და შეძლონ დამოუკიდებლად ცხოვრება, დღეს ბევრი ქალი იტანჯება იმის გამო, რომ წასასვლელი არსად აქვს.

პაატა შამუგიასთან ერთად

– რა შეუძლია თუნდაც ამ წიგნს, ლიტერატურას, შენს ლექსს? შეიძლება, რომ მისმა წაკითხვამ ვინმე ან რამე შეცვალოს?

– ლიტერატურას შეუძლია ადამიანს დაანახოს რეალობა. თუმცა მე არ მგონია, რომ ლიტერატურა არის პროპაგანდის იარაღი. პოეტი ჟამთააღმწერელი არ არის, აუცილებელი არ არის, რომ რაღაც კონკრეტული ამბებით ვიკვებებოდე ან მყისიერი რეაქცია მქონდეს. პოეზია არ არის ამბების ქრონიკა. ლექსი არ უნდა იყოს შინაარსის მძევალი, არც

ფორმის, არც "ნიუსების". მიდის მთელი ეს ამბები, აქციები თუ ხალხი კონფლიქტის ზონებში, გატაცებები, ფიქრობ ამ ყველაფერზე, თუმცა შეიძლება ეს უცებ და პირდაპირ არ აღმოჩნდეს ლიტერატურაში, ლექსში. ასეც ხდება, მაგრამ არა ჩემთან. მე შეიძლება სულ სხვა რამ დავწერო და შენ ერთი კონკრეტული ამბავი გაგახსენდეს; შეიძლება ამაზე ხუთი წლის მერე დავწერო, სხვანაირად და მაინც ეს ამბავი გაგახსენდეს. თუმცა, დღეს მთავარია, არ გავჩუმდეთ და ხმამაღლა ვილაპარაკოთ. დღეს ჩვენი პრობლემა ის არის, რომ საკუთარ თავსაც კი ძალიან ხშირად ვუმალავთ სიმართლეს, ან ხმადაბლა ველაპარაკებით ერთმანეთს. ეს არასწორია. რაც შეიძლება ხმამაღლა უნდა ვილაპარაკოთ ყველაფერზე, რაც გვაწუხებს, შეცდომებზეც. ლიტერატურაც ეს არის – ხმამაღლა ლაპარაკი!

– კიდევ რა არის დღეს პრობლემა და საიდან მოდის ეს პრობლემები, თუნდაც შენ რა გიშლის ხელს და რას

შეცვლიდი?

– **დღეს სამყაროში დიდია აგრესიის ამპლიტუდა. ეს ყველაფერი, ალბათ, გამოიწვია ადამიანის საკუთარი თავისგან წასვლამ. ადამიანი გაექცა საკუთარ თავს და ადამიანი აღარ ფიქრობს. რეალურად დიდ ინსტიტუციებსაც ასე უნდათ, ჩვენ აღარ ვიფიქროთ, ჩვენ ვიყოთ გამობმული ბანკებზე, სამსახურებზე, ვალდებულებებზე, ტაფებზე, ქვაბებზე, ათას რამეზე. ნაკლები ვიფიქროთ და რომც ვიფიქროთ, გასაქცევი გზა აღარ არის უკვე, იმდენად ხარ ხელფეხშეკრული, ვერაფერს აკეთებ და მერე გაურბიხარ საკუთარ თავს, ფიქრს. ზოგადად ცოტაა "სწორი" ხალხი, თუნდაც სოციალურ ქსელს რომ შეხედო, აგრესიული გამოხმაურება გაცილებით მეტია, აგრესიას გაცილებით მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე რაღაც ღირებულებას, მნიშვნელოვან ღირებულებებს. სამყაროში სულ თავისუფალი ვერ იქნები, თუნდაც შვილი რომ გყავს, იმიტომ, მაგრამ თუ ადამიანები თავიდან არ ისწავლიან ფიქრს, თუ ადამიანები უფრო ხშირად არ დაუსვამენ კითხვებს საკუთარ თავს, კიდევ უფრო გაიზრდება ეს "ამპლიტუდა". მე მგონია, რომ ვინც ბევრს ფიქრობს, ის ნაკლებად ჩადის დანაშაულს. 10 წლის წინ უფრო მეტი პასუხი მქონდა, ვიდრე კითხვა. ახლა კითხვები მეტი მაქვს. არ ვიცი, რამდენი სიცოცხლე უნდა გაიარო, რომ საკუთარი თავი კარგად გაიცნო. მე არ ვიცნობ ჩემს თავს, ძალიან ბევრ სიტუაციაში არ ვიცნობ. ალბათ, ეს არის ცხოვრება და რეალურად ჩემი პოეზია და ლიტერატურაც – საკუთარი თავის ძიება, მეტი არაფერი.**

– დღეს ხშირად ლაპარაკობენ, რომ არ არის ლიტერატურული კრიტიკა და ამბობენ, რომ ეს არ არის კარგი. მართლა ასეა?

– ჰო, არ იწერება ეს ლიტერატურული კრიტიკა ისე, როგორც კომუნისტების დროს, წიგნი რომ გამოვიდოდა და აუცილებლად მოჰყვებოდა სტატიები. პატარა ქვეყანა ვართ, ლიტერატურული წრე კიდევ უფრო პატარაა, ყველა ერთმანეთს იცნობს და ალბათ, რთულია ასეთ სივრცეში კრიტიკის წერა. არ გამოდის როგორღაც. ჰოდა, მე არ მგონია, რომ ამაში არის ტრაგედია, არ მგონია, რომ ამით ლიტერატურული პროცესი კვდება. დღეს არის ძალიან ბევრი ახალი სახე, იბეჭდებიან. კარგი იქნებოდა მეტი ლიტერატურული გამოცემა და კონკურსი რომ იყოს. მეტი კონკურენცია იქნებოდა, მოტივაცია, მეტი დაინტერესება და ჰონორარიც. მკითხველს სჭირდება, რომ ეს "პროდუქტი" კარგად შეფუთული მიაწოდო. სხვა რამე უფროა პრობლემა. მაგალითად, ჩვენთან არ არის ლიტერატურული აგენტის ინსტიტუტი. ამ მიმართულებით ბევრს მუშაობს ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი, გამომცემლობებიც, მაგრამ ეს ცოტა სხვა მიმართულებაა.

– არ "იყიდება"? "ფრანკფურტი" შეცვლის სიტუაციას ამ მხრივ?

– ჰო, ჯერჯერობით არავინ "ყიდის" მწერალს ისე, როგორც, მაგალითად, ფეხბურთელს. ალბათ, დღეს უკვე არსებობს რესურსი, რომ ასეთი ჯგუფი შეიქმნას. ბევრი წიგნი გამოდის. იმედი მაქვს, რომ ქართული ლიტერატურა დაიკავებს თავის, თუნდაც პატარა ადგილს მსოფლიოში. ფრანკფურტის ბაზრობას ახლა უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უზარმაზარი შრომა გასწია ქართული წიგნის ეროვნულმა ცენტრმა და ძალიან ბევრმა ადამიანმა. ახლა მხოლოდ იმას ვფიქრობ, რა იქნება ფრანკფურტის მერე, მთავარია, რა იქნება შემდეგ – რამდენად დავაინტერესებთ ჩვენ დანარჩენ მსოფლიოს. მაქვს სასურველი სცენარი და მინდა ეს სცენარი ახდეს – ბევრი ქართველი მწერალი

ითარგმნოს. ჩვენ არ გვაქვს არავისზე ნაკლები ლიტერატურა, დავდივართ სხვადასხვა ფესტივალზე და ვხედავთ, რომ ბევრ ქვეყანაზე ნაკლები ლიტერატურა არ გვაქვს. ბუნებრივი პროცესია, რასაც ჩვენ ახლა გავდივართ. მართალია, საბჭოთა კავშირს არ ჰგავს ეს ყველაფერი, იმ დროს, როცა მწერლებს ბევრად მეტი შემოსავალი ჰქონდათ და "ქვეყნის ყვავილები" იყვნენ.

– კი, იყვნენ, მაგრამ "ქვეყანა" მათგან სამაგიეროდ სხვა რამეს ითხოვდა. ეს როგორი ამბავი იყო?

ბესიკ ხარანაულთან ერთად

– არ იყო ეს კარგი ამბავი. მათგან მოითხოვდა სრულ მორჩილებას. დღეს აბსოლუტურად აპოლიტიკური მწერლობა გვაქვს. მე არ ვთვლი, რომ სახელმწიფომ უნდა არჩინოს მწერალი, მწერალი ჩვეულებრივი ადამიანია, რომელმაც უნდა იმუშაოს. თუ მე ფიზიკურად შემიძლია

რაღაცის გაკეთება, უნდა გავაკეთო. მაგრამ ვისურვებდი ისეთ ქვეყანაში ცხოვრებას, სადაც მწერალს ექნებოდა წიგნებით მიღებული ჰონორარი. სახელმწიფო კი არ მიუგდებს რაღაცას, ან ვინმე ბიზნესმენი და მერე მოსთხოვს იმას, რაც თვითონ უნდა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მწერალიც აუცილებლად კიბის ქვეშ უნდა ცხოვრობდეს და ფიროსმანივით მშიერი იყოს; რომ სვეტიცხოველი აუცილებლად მშიერმა მონებმა უნდა ააშენონ და ისიც არ მგონია, რომ ფინანსურად უზრუნველი მწერალი ცუდად დაწერს. უცხოეთში ბევრი ფონდია, გამომცემლობა, სააგენტო, რომლებიც ქმნიან მწერლისთვის პირობებს, ჩვენ ჯერ ღარიბი ქვეყანა ვართ. მწერლობა ყველაზე არაკომერციული დარგია, აქ არ არის ფული, ამიტომ მწერლები ერთმანეთის გვერდით ვდგავართ, იშვიათად ვწირავთ ერთმანეთს.

– 37 წელი? ის დრო და ათწლეულებიც?

– ჰო, 37 წელი სხვა სიტუაცია იყო, მაშინ ალბათ გადარჩენისთვის ბრძოლა იყო, სიცოცხლეზე იყო ლაპარაკი. მგონი, არ აქვს მნიშვნელობა, რა პერიოდში ცხოვრობს ადამიანი, მთავარია, რა პირობებში ჩააყენებ. სამწუხაროდ, რაც დანარჩენმა მსოფლიომ დიდი ხნის წინათ გამოიარა, იმას ჩვენ ახლა გავდივართ მწერლობაშიც და სხვა სფეროებშიც. ზუსტად ახლა იწყება ცვლილებები, მანამდე სადღაც კანტიკუნტად კეთდებოდა რაღაცები. სხვა დრო დადგა და ეს დრო აუცილებლად შეგვცვლის, რაღაც დაიკარგება, მაგრამ რაღაც ახალიც მოვა. ალბათ, ცხოვრებაც ეგ არის – რაღაც უნდა გაწირო და რაღაც მოიპოვო, რაღაცა თავისით მოგეცემა. სამყაროს კანონზომიერებაც ესაა.

– ახლა რას აკეთებ? ახალ კრებულზე მუშაობ?

– ახალი კრებულის მასალა უკვე მაქვს, მაგრამ ვერ დავჯექი, ვერ დავალაგე, ვერ მოვუყარე ყველაფერს თავი. დედლაინების ადამიანი ვარ. დედლაინი რომ არ იყოს, ალბათ, არაფერს გავაკეთებდი ცხოვრებაში. პარალელურად ვმუშაობ მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაზე, რომელსაც სჭირდება ძალიან ბევრი მუშაობა. ჩვენი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვან პერიოდს ეხება, მნიშვნელოვან წლებს. ჯერ ცოტა მაქვს დაწერილი. ასევე მაქვს მეორე ტექსტიც დაწყებული, ისიც დოკუმენტური. ბევრი სამუშაოა და ცოტა მაქვს დაწერილი. პროზას პირველად არ ვწერ, რამდენიმე მოთხრობა მაქვს, პიესებიც. ჩემი პიესა ბერლინალეზე ათეულში გავიდა, ერთი თუმანიშვილის თეატრშიც დაიდგა. პროზას სხვანაირი მუშაობა სჭირდება. სხვადასხვანაირად საწერია, სხვანაირი ნებისყოფა უნდა. განგრძობითობა ახასიათებს. ლექსი კიდევ არითმიასავითაა, უცებ გატყდება თავს. შეიძლება რაღაც ამბავი დაკონსერვდეს, რაღაც უჯრაში ჩაიკეტოს და მერე მოულოდნელად გამოძვრეს, მომენტალურად რაღაცამ იმოქმედოს. არითმიაა ჩვეულებრივი, მარტივად რომ ვთქვა. პროზა კი არის ყოველდღიური შრომა და ნებისყოფა, რომელიც პოეტებს ცოტა უჭირთ.

– ამბობ, რომ ასფალტის პოეტი ხარ და კიდევ ამ ქალაქის, რომელსაც სულ "ეჩხუბები".

– იმდენად ვიცნობ ამ ქალაქს, იმდენად მიყვარს ყველა კენჭი, ყველა პატარა ქუჩა, რომ ვერ ვიტან, როგორც იცვლება. შეჭამეს შენობებმა, თითქოს მთელი ქალაქი გადაყლაპეს. განვითარების მომხრე ვარ, მაგრამ არა ასეთის, სადაც ხე აღარ არის, ჰაერი აღარ არის. მონსტრად გადაიქცა. არ ჰქონდა ამ ქალაქს მეგაპოლისის რესურსი, ცათამბჯენების და მაინც ტენიან. "ვეჩხუბები", რომ ჩემი

ხეები შეჭამა, ჩემი ქუჩები... ჰო, ასფალტის პოეტი ვარ და კიდევ შემოდგომის. შემოდგომა ჩემთვის ყველაფრის სიმბოლოა – უკეთესად ვარ, უფრო მინდება ადამიანებთან ურთიერთობა, საუბრის დროა, გულწრფელობის დროა, მეტი ფერია. კიდევ ნაგავსაყრელების ტიპი ვარ. არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი, მაგრამ სულ გადავსებულ ნაგვის ურნებს ვხედავ და არა "ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტოს". ბნელი სარდაფების და უფსკრულების გარეშე არ შემიძლია. მემარცხენე ვარ. სულ პრობლემას ვეძებ. სამყაროც არ "მიცრუებს იმედებს", ვპოულობ.

– როგორ ანაწილებ დროს – სახლი, სამსახური, სხვა სამსახური კიდევ?

– სულ დროის დეფიციტი მაქვს, ბოლო წლებში განსაკუთრებით. სულ ვეძებ ჩემს თავს და მერე ჩემს თავში ვეძებ ჩემს ლექსებს, ჩემს სიტყვებს. ცხოვრება მიდის ცალკე. მერე სადღაც მოსახვევებში ვეწევი და ვიჭერ რაღაცებს. დამღლელია. რომ არ ვიყო გამობმული ბევრ პასუხისმგებლობაზე, ალბათ, მეტს დავწერდი, მეტად დავიხარჯებოდი. რაღაც მომენტში ვხვდები, რომ ბევრი რესურსი მაქვს და არა მხოლოდ როგორც პოეტს. ბევრი რამის გაკეთება შემიძლია და მინდა. დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისთვის დოკუმენტურ მასალებზე ვმუშაობდი. არ მეგონა, რომ კვლევითი სამუშაო მომხიბლავდა – ეს კირკიტი ტექსტებთან, ძიება, განგრძობითობა, უძრაობაც წარმოუდგენლად საინტერესო

აღმოჩნდა. მეტს გავაკეთებდი ამ მიმართულებით. ახლა რასაც ვახერხებ, ეს არის საკუთარი თავისთვის მოპარული დროის და უძილობის ხარჯზე. ბევრ რამეში მოვსინჯავდი ჩემს თავს, გავაგრძელებდი დრამატურგიის მიმართულებით მუშაობას, ძალიან მიყვარს თეატრი. რაღაც დროის განმავლობაში, ალბათ, სიამოვნებით ვიცხოვრებდი საზღვარგარეთ. კიდევ რას გავაკეთებდი? არ ვიცი. მე მგონი, დღეს წერის მეტი არც არაფერი აღარ ვიცი...

ერთხელ ფსევდონიმითაც დაწერა, სადღაც მონაწილეობდა. მოეწონა სხვის ტყავში ყოფნა და "უცნობობა". გარკვეული თამაშია და შეიძლება, კიდევ ვცადოო. ზოგჯერ ემართება "გამოუთქმელი სიტყვების მოუსვენრობა" – ვერ იძინებს, ვერ ეშვება და ვერ მშვიდდება მთელი დღეები, კვირები. მერე შეიძლება ტაქსი გამოიძახოს და წავიდეს სოფელში, სიბნელეში, სიცივეში. უშუქოდ გაათენოს გრძელი ღამე. უსმინოს ათას საეჭვო ფხაჭუნს და ჭრაჭუნს, დილით კი დაჯდეს, დაწეროს და ბედნიერი დაუბრუნდეს თავის ასფალტს და ქალაქს. აქ კი ყოველი დილა კვლავ ასე დაიწყება: ადრე გაღვიძება, საუზმე, მერე გზა, ტრანსპორტი – კარგი ფრაზა, უნდა ჩაწეროს; სამსახური, საქმე, ბევრი საქმე, მერე ისევ ტრანსპორტი, მეორე სამსახური, შეხვედრები – ფრაზა, უნდა ჩაიწეროს; ბოლოს მაღაზია, პროდუქტები, გზა, სახლი, სამზარეულო, მერე ყველას დაძინება, დაჯდომა და ფრაზა, ის ფრაზა? ვერ ჩაიწერა, ისევ დაავიწყდა... კრებულს, რომელსაც ახლა ამზადებს, არ აქვს გამოკვეთილად ერთი კონკრეტული კონცეპტი, უფრო სოციალური თემებია, ის, რაც ბოლო პერიოდში მძაფრად აწუხებს – სამყაროსთან ურთიერთობა, მარტოობა და რაღაც ფილოსოფიაც, კიდევ სოციალური თემები, მეტი

“სოციალური თემატიკა ჩვენს ცხოვრებაში – ქვაბებით და ტაშტებით”. იყო დრო, როცა კედლებს შუბლით ვეჯახებოდი, როცა რადიკალური ვიყავი, ახლა სიმშვიდისკენ მივდივარ, ლოიალური ვხდებიო, თუმცა არა სიტყვაში, არა ლექსებში, რომლებიც კიდევ უფრო მძაფრდება და ბასრდება. კითხულობ და მერე დიდხანს გახსოვს სიტყვები, რომლებიც “ჰეშტეგებამდე” გაცილებით ადრე გაჩნდნენ მის ლექსებში, ახლა კი შეიძლება ასე, ციფრული თანამედროვეობის მანიფესტებივით გესმოდეს და ხედავდე: #ბავშვობანაკლული, #საკუთარცხოვრებამიტოვებული, #საკუთართავგაუღვიძებელი, #წარსულდაბრუნებული... და კიდევ გახსოვს ამბები “გამოსვლისთვის”, “დარჩენისთვის”, “ზავისთვის”, “შვილისთვის” თუ “თვითმკვლელთა შვილებისთვის”, “ხვალისთვის” და მრავალი “წარმოსახვისთვის”...

“შვილი გთხოვე – მომეცა.
გამარჯვება გთხოვე – ყველაზე დიდი ომი მომაგებინე.
სიბრმავე გთხოვე – თვალები ამიხვიე.
სიყვარული გთხოვე – დანახშირებული სხეულიდან კანს გველივით ვიცვლიდი.
დამარცხებაც გთხოვე – ხელებაწეული ვიდექი.
ახლა ნანგრევებში ვდგავარ და სიმშვიდეს გთხოვ მხოლოდ.
რომ ცხოვრების სარკოფაგიდან ხელახლა დავიბადო...”

(“წარმოსახვისთვის”)

კაციშაშვი

ამბავი

როცა მეზობელი სახლის აივანზე დედიშობილა ვგალობ
ჩვენი ბუდის წინ კი ელექტროსადენივით გაჭიმულ თოკზე
ფერადი სარჭები უთეთრეს პერანგს
გაფრენას უშლიან
როცა გაოცებული აივნები ჩემს მონაბერ ხმას ქოთნის
ყვავილებში ზრდიან
რომ მთელი ქალაქის ურბანული ნაგავი ამ ხმაში
მოთავსდეს
და განაპირა ქუჩის ბუნკერებიდან ამომძვრალი თეთრი
კატები
ჩვენი შვილის ცარიელ საწოვარას მეპურეს ფქვილით
ამოსავსებად მიუგორებენ
სახურავდაზიანებულ ჩვენს სახლში კი მოდის წვიმა და
მოდის და მოდის წვიმა და
სარეცხის ტაშტებსა და ტაფებსა და ჩვენი სადილის
ქვაბებში იგროვებს თავს
რომ ნადირობიდან უშედეგოდ დაბრუნებულთათვის ზღვა
გააჩინოს,
სადაც დავიხრჩობით ჩვენ, ნელა, უსაფრთხოდ, მხოლოდ
ერთი ამოსუნთქვით,
ვისაც გვჯერა, რომ ნადირობის სეზონზე თვალის მოხუჭვა
გადარჩენას ნიშნავს
და ამ უცაბედ გადარჩენებში გამრავლებული ჩვენი შიშები
მეზობლის სახლებში ფეხაკრეფით გაიპარებიან და
აივნებიდან ფრთებდაჭრილები იგალობებენ.

ამბის ნახევარი

ხელები უნდა დამალო ღამით. ხელებით უნდა შეკვეცო დიდი
გზა, სადაც გამვლელს, ზურგსუკან გასცდი, და ყველა შუშის კარსაც და იმედს,
რომელსაც წლობით უვლიდი ირგვლივ, ჭაში კი თვლემდა ნაკლები, ვიდრე
შენი სამყოფი ქალის და პურის, შენი გამყოფი შვილის და სივრცის
ფეხისათრევით მიტანა სახლში და ხალხის მწკრივში და პურის რიგში
გახუნდა შენი მეგზური გოგო და ოთახისკენ გზად აღარც იმჩნევ
მის მობერებულ, დაძენძილ კაბას, მის ნაყვავილარ, უღონო ღიმილს
პირდაფჩენილი ქვაბია სახლი, და რა თქმა უნდა, ბრუნდები მაინც.

ღამით ჩრდილები ავსებენ ქუჩებს და გრძელ კისრებზე გამობმულ ხეებს
მიწა და თოკი უვლიან ახლა. ამ უცნობ ხალხში და გაზრდილ დროში
წარსულშიც ვეღარ პოულობ მნახველს. მიწა და თოკი ვენახში წვანან.

და გინდა ვინმე მოძებნო ახლა, და სწრაფად შენგან გაუშვა სადმე
იქ, სადაც თოკი ვენახმა ჭამა. ქუჩისკენ, სადაც მოვიდა წვიმა
და ტანი გახდა რატომღაც სველი. იქ სადაც მიწამ შენ გითხრა: ღრმა ვარ.

და სადაც ხმაურს იწყებდი გულში და გული იყო ლაყე და მღვრიე
შაშვის გალობას უძლებდა მხოლოდ. სველი ნისკარტით მოტანილ სადილს
მაძღრები უნდა ხვდებოდნენ სახლში. შაშვი და ბავშვი, ბავშვი, და ქოროდ:

“შინ” უნდა გახდეს უშენო, რადგან მისი სიცილის სიჩუმით დაღლილს
“შინ” – ქალი-შაშვი, შესასვლელ კართან ცივი ზამთრების ნეკნებზე დათვლა.
და გარეთ – ურნა, რომელიც გალობს, და უხერხული ნაბიჯით გავლა.
“შინ” – თონის პურის სუნი და გვალვა. გარეთ მოხუცი წყლითა და სათლით.

იცი, სისხამზე მეგზური გოგოს მეზობელ კაცქვეშ გულაღმა წოლა
სადარბაზოებს ალაგებს ფრთებით, როგორც აივანს მზის სხივი სწვდება.
სადარბაზოებს, რომლებსაც ახსოვთ, ნაფეხურები შენი და, წვიმდა,
ეს მაშინ როცა არ გაჩნდი, და როცა გაჩნდი, არც მაშინ წვიმდა.

როცა ტოლობას თითებით წერდი და გული იყო მყიფე და თეთრი
ქრებოდი ისე უთეთრეს ღამით, როგორი თეთრიც არ არის თოვლი.

ხელები უნდა დამალო გზაში, ხელები უნდა დამალო სადმე
რომ არ შეეხო რაიმეს უცებ ასე საყვარელს და ასე ადვილს.

მოპირდაპირე აივნის მიღმა, ფქვილსა და ქატოს ლოგინში არჩევს
ვიღაც, და შენ კი ამ თეთრი პურის სუნი და გემო გიყვარს და გახრჩობს.

ფანჯრიდან ჩრდილად შედიხარ სახლში და ოთახიდან კარგაღმა ხედავ:
შაშვი და ბავშვი ლოგინში წვანან. ფრთებიდან ისე იყრება ფქვილი
როგორც ბათქაში ზევიდან ქვევით. შაშვი და ბავშვი თვალებს რომ გწვავდა, –
დაბრუნდე გინდა იმ მტვრიან დროში. და ფქვილს ორივეს თოვლივით აფრქვევ.
მეზობლის კაცი იღვიძებს ადრე. ისწორებს შარვალს და იცვამს წინდას.
მეზობლის კაცი პურს აცხობს დილით. მეზობლის კაცი. მეზობლის დილა
იწყება ფქვილის ტომრების დაცლით. იწყება შენი ლოგინის მიღმა.
იწყება შაშვის და ბავშვის გავლით. მეზობელს ღამე. მეზობელს სცივა.
მეზობელს უნდა გაუყო პური. მეზობელს თვალი უჭირავს გზისკენ.
და შენ ამ გზაზე დადიხარ ახლა და მის ნაბიჯებს ოთახში იკვლევ.

კედლები უნდა დაფარო ფქვილით. “შინ”-იდან უნდა დაფერთხო გზები.
ხელებით სწრაფად, უცებ და მერე... სარკის წინ დგომით, უკუღმა, წაღმა
შენ ჩანხარ შაშვის ნაქონი ფრთებით და ზურგზე ზამთრის ნაკვალევს ეძებ

და ქუჩის იქით მეზობლის კაცი, შინ კი შაშვები გულდაღმა წვანან.

იქ, სადაც იყო ქატო და ფქვილი. და გრძელ კისრებზე გამობმულ ხეებს
მიწა და თოკი უვლიან ახლა.

ყვირილის ნაპირი

ჩემი პერანგი გაფინა კაცმა მზეზე და პერანგი მაღლა ავიდა.
ქარი იყო უთუოდ, გარეთ.
ჩემი პერანგი გაფინა კაცმა მზეზე და ქარმა იგივე პერანგი ჩაიცვა, –
სახელად შავი.
ფრთებიდან ქატოს ვიფერთხავ გზაზე და ვტკეპნი შენი ყვირილის ნაპირს.
რომ დავიბადო შენი და ჩემი სიფხიზლისათვის,
დახაროს თავი ყველა ყვავილმა.

რომელ ღეროში ვიპოვო ღმერთი?
რომელ კალაპოტს ჩავასწრო ქვევით, რომ ვერ
დავბრუნდე?

ჩემი პერანგი გაფინა კაცმა მზეზე და ზურგზე ფრთები შეიწყო,
ფრთები იყო უთუოდ ჩემი.
ჩემი პერანგი გაფინა კაცმა მზეზე და გზაზე მღვრიე წყალმა მიუსწრო
წყალი იყო რატომღაც ბევრი.
იქნება წყალმა სადმე წაიღოს და ლიანდაგებს გამოარიდოს
უდროობიდან შემთხვევით ამოზრდილი
ყვავილების ღეროების ღმერთი.

სად მიდის ღმერთი, როცა საკუთარ თავს ვუბრუნდებით?..
რომელ ყვავილში კვდება ასე დაუნანებლად?

ჩემი პერანგი მიაქვს გზას და გზისგარეთ ვხედავ საკუთარ
თავს და პერანგს და გზას უპერანგოდ და გზას პერანგით და

პერანგიან გზას და საკუთარ პერანგს, ჩემს გარეშე და მასთან ერთად და წყალს, რომელსაც ვერაფრით ავცდით, ვერც პერანგით და ვერც უპერანგოდ, და მიწას, სადაც ვჩანვართ და გვძინავს, როცა ცოცხლებს და მკვდრებსაც არ ვგავართ, და ღმერთს, რომელიც პერანგში გვხედავს, და ღმერთს, რომელიც პერანგებს გვხდიდა, და ღმერთს, რომელსაც უღმერთოდ შავი და ღმერთივით ჩია შაშვი ჩიოდა.

რის გარეთ ვდგავართ, როცა გვცივა, როცა ვმცირდებით? ვისას ჩიოდა შავი შაშვი გათენებისას?

ჩემი პერანგი გაფინა გზამ და გზაზე მგზავრი არ იყო.
დრო არ ჩანდა საჩემოდ გრძელი.
ჩემი პერანგი გაფინა დრომ და ქარმა ბუმბულს დევნა დაუწყო
თითქოსდა მღერის.
მე ხელებს შენი ყვირილისაკენ
ვიშვერ და თვალში ბზინავს სიმართლე
მე ხელებს შენი დუმილისაკენ, –
ვიშვერ და თვალში ბზინავს სიცრუე
როცა ვიწევი მხრებიდან ზევით.
რის გამო მახსოვს მომავალი, როცა ვბრუნდები?
როცა ხანმოკლე განშორებებს ვემშვიდობები?
შენი ღმერთები ყვირიან ღამით და ღამე თითქოს სულაც არ იყოს
ისეთი შავი.
შენი ღმერთები მღერიან ღამით და თითქოს ჩემი მყიფე მხრებიდან
ზუზუნებს ქარი.
იქნება მხრები უნდა მოვხარო
იქნება მხრები უნდა გავშალო
რომ შენ უვნებლად ამოიყვანო

ბუსუსებიდან ამოზრდილი
ყვავილების ღეროების ღმერთი.
ვისას ჩიოდა შავი შაშვი გათენებისას?
ვისას ვცხოვრობთ და რომ გავდივართ, რად ვერ ვბრუნდებით?..
ჩემი ცხოვრება მიაქვს გზას და გზისგარეთ ვხედავ საკუთარ თავს და გზას გაუვლელს და გზას განვლილს და გზას გასავლელს და დუმილს, რომელიც ცხოვრებას ავსებს და დუმილს, რომელიც ცხოვრებას ღლიდა, და მხრებზე ქატოს, რომელიც ზღაპარს აფრთხობდა, მერე კი ცხადში თლიდა, კომბლებს, რომლებსაც ელოდა ცხვარი, კომბლებს, რომლებსაც ვაწყობდით ჭერში, კომბლებს, რომლებსაც ზღაპარი არა, ცხოვრება ჩემი მხრებივით თლიდა.

მოვკალი შენი ყვირილის ღმერთი და ხელებს უკვე ვეღარ მივაწვდენ
მაგ მლაშე ნაპირს.
შევკარი შენი წილი სიმართლე და გისმენ, როგორ დგახარ და
გულზე ქინძისთავს მაბნევ.

და ხედავ ჩემი კანის სირბილეს
და გრძნობ, რომ ამ ტანს ვიღაც მირბილებს
და შენ ღმერთივით დგახარ ჩვენს შორის
იქ, სადაც ღმერთი არის სიშორე
და ხელებს ჩემი სიფხიზლისაკენ
იშვერ და გულში ბზინავს სიმართლე
და ხელებს ჩემი ღალატისაკენ
იშვერ და თვალში ბზინავს სიცრუე
და ხელებს უცხო მხარეებისკენ
იშვერ და გალობს ჩემი მხრებიდან
ის ჩია შაშვი.

სად არის ჩემი წყვეტილი ღამე?
ვის ბალიშზე წევს, დახუჭული როცა ვიღლები?

ამბის მიღმა

მე ვწევარ შორის, – სადღაც ცხადს და მოგონილს. მიღმა.
და ვჩივი ჩემს ფრთებს, როგორც ფქვილის გადაყრას
გზაზე.
მე ვწევარ შენი ყოფნის მიღმა და ხსოვნას ვიმღვრევ,
თითქოს დუმილის ზანზალაკებს ხმაურში ვზრდიდე.
და ჩივის შაშვი გათენებას და შავ-თეთრ ქოროდ
ფრთხიალებს გარეთ ჩემი ფრთების მოსასმის ქარი
თუ ხელებს შენი ყვირილისკენ ვიშვერდე – ვქროდე.
თუ ხელებს ჩემი ღალატისგან ვმალავდე – ვჩქარობ.
თუ დავრჩე, როგორც გაფენილი პერანგი გარეთ
თუ დავრჩე, როგორც ლოგინიდან ადგომა ღამით,
თუ ზურგით დგომა გაგიჭირდეს – გამოაპარე
თვალი და სახლი დილის ოთახს ჩამოაღამებს,
რომ დადგე შენ და ჩემი პურის ნამცეცი კენკო,
რომ დადგე შენ და ჩვენი პურის წატეხო ყუა
და როცა კედლებს შეუყუდებ ხელების კანკალს
და როცა ბარტყი ბუდის ახლოს შემოგიტყუებს,
რომ გაცრა ქატო – ჩვენი სახლის კედლების კირი,
რომ გახდე ღმერთი, ყვავილების ღეროზე მეტი.
მე ხელებს შენი ყვირილისკენ – შენ გაიკვირვე.
მე ხელებს შენი სიცრუისკენ, – რომ გამიმეტო.
რომ ვიწვე მიღმა, სადღაც ცხადს და მოგონილს. შორის.
ვჩიოდე ჩემს ფრთებს, როგორც ფქვილის გადაყრას გზაზე.
გარეთ კი ქროდეს შენი ფრთების მონასმის ქარი
და შაშვის ბარტყმა ჩემს პერანგში გამოიზამთროს.

ამბის ბოლო

რას იტყვი ახლა ამ შაშვისას?
გითხრას, რა ჩივის.

ამონარიდები

კატო ჯავახიშვილი ჩემთვის წიგნში (თუ, წიგნად) გარდასახული პოეტია. იგი თვითონაა თავისი წიგნის ავტორიც და მთავარი პერსონაჟიც, მისი შინაგანი დიალოგიც გარესამყაროსთან ამ შინაგნობიდან იკითხება, მისი პოეტური სივრცეც არა-აქაურია, არამედ უცხო, რაღაც სხვა-წიგნიერი სინამდვილე... მოკლედ, ცოტა მეტაფორულად რომ ვთქვათ, კატომ ის ლეოპარდიც იხილა კილიმანჯაროზე და მერე თვითონ იქცა მის გაყინულ ცხედრად, რათა კიდევ ერთხელ გაესაიდუმლოებინა გზა, რომლითაც ლეოპარდები მწვერვალებზე ხვდებიან.

გივი ალხაზიშვილი, წერილიდან "პოეზია მგზავრთათვის"

წუხელის მოვრჩი ღმერთგახდილი და გულ(გ)ახდილი პოეტის, კატო ჯავახიშვილის ახალი წიგნის ხელნაწერის კითხვას, რაც მთელი კვირის უძილობად დამიჯდა! არადა, წიგნს "იავნანა" გვიქვია, "იავნანა კაცებისთვის". იავნანა იმად მოიგონეს, რომ ძილი მოჰგვაროს ადამიანს, თუნდაც კაცს, კატოს იავნანა კი აღვიძებს, აფხიზლებს და ძილს უფრთხობს მკითხველს, მეტადრე – მამაკაცს, უფრო მეტადრე – თავმოყვარეს, კიდევ უფრო მეტადრე – პოეტს. მე, როგორც ავტორის მიერ ამ წიგნის რედაქტორად გამორჩეულმა (ერთ-ერთმა) პირველმა მკითხველმა, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: ეს წიგნი ყველა თავმოყვარე მამაკაცმა პოეტმა უნდა წაიკითხოს.

არათავმოყვარემ და არაპოეტმა – მითუმეტეს.

არც ქალებს აწყენთ, სხვათა შორის.

ბავშვები? ბავშვები არა, ბავშვებისთვის ჯერ ადრეა.

ქატო იქა, კატო აქა.

პაატა ნაცვლიშვილი, წიგნის წინასიტყვაობიდან

კატო ჯავახიშვილის ლექსები ამით არის საინტერესო და არა რითმების გაუთავებელი ძებნით, ყოველთვის არსებულის, მაგრამ ახლა მოდაში შემოსული ანჟამბემანის მოძალებით, თუმცა არც ეს უნდა იყოს უცხო პოეტისთვის, როცა ის ხელოვნების საყრდენს – ხელობასაც კარგად ფლობს, როცა ლექსის ფორმა ისეა მორგებული აზრზე, რომ თვალშისაცემი და გაკეთებული კი არ არის, არამედ ორგანულია, ოფლისა და ძებნის კვალი არ ეტყობა.

საინტერესოა კატო ჯავახიშვილის ლექსის ფორმა – ერთ ლექსში ვერლიბრის და კონვენციური სტროფების მონაცვლეობა. მისი კონვენციური ლექსიც თავისებურია, არავის არ ჰგავს. ამ ხშირ წერტილებს სტრიქონში, სადაც სხვას შეიძლება მძიმე დაესვა, სტოკატოთი მიჰყავს ლექსის მუსიკა, რითმებიც მისია, არაგაცვეთილი, მჟღერი და ერთმანეთისგან არაწესისამებრ შორიახლო გაფანტული: წილი, წელი, ფურ-ირემი გამოწელო და სხვ.

ლია სტურუა

დროის გამაერთიანებელი პოეტის “მეა”, რომელიც დარღვეულ-დაფლეთილ ჩვენს დროებაში ცდილობს იქცეს ერთგვარ შემაკავშირებლად და ამას ახერხებს იმით, რომ კონკრეტულ ტკივილსა და სიხარულს აზოგადებს. ჩვეულებრივ დროს კი პოეზიის დროდ გარდაქმნის, რომელიც მისი “გარდასახვებისა” და “წარმოსახვების” შესაბამისად იცვლება. ის დროსაც ისევე ეთამაშება, როგორც სივრცეს. ორივეს თავისუფლად, ლაღად შლის, ერთმანეთში ურევს, უშორესსა და უახლესს ერთმანეთთან აწყვილებს და ქმნის ფანტასმაგორიულ სახეებს. ამ გზით

ის უპირველესად ცდილობს, შეიცნოს თავისი მე, რომელიც გამუდმებით იცვლება.

მაია ჯალიაშვილი

ვნებას შემოქმედება აღძრავს ხოლმე ადამიანში, უფრო სწორად, იმ რაღაც ახლის, უცხოს მონატრება, რომელმაც მერე მთელი ეს ხილული სინამდვილე სულ სხვა წრეზე უნდა დაატრიალოს. მკითხველისთვის მოტოვებულ სიცარიელეებში (რათა უფრო ხალისიანი და მაცდუნებელი თამაში შედგეს – მკითხველსა და ავტორს შორის) ათასი ამბავია, რის გამოც შეიძლება პოემის გმირი ათას ვინმედ წარმოიდგინო, თუკი მკითხველი არ დაიბნევა, თამაშს აჰყვება და სადღაც, შავით თეთრზე აბრიალებულ ვნებათაღელვებში ავტორსაც მოჰკრავს ყურს, ავტორი კი ერთგან მართლაც დაიჩივლებს:

“მთელი სოფელი მისი იყო,
რა ვერ იკმარა?”

ნინო სადღობელაშვილი

“გაუფილტრაობა”, ცხადია, თავისთავად არაა ნეგატიური მახასიათებელი. არიან ძალიან კარგი პოეტები, რომელთა ტექსტების ხიბლი სწორედ ამ გაუფილტრაობაშია. ისინი მიენდობიან ხოლმე საკუთარი ცნობიერების ნაკადს და სანამ პოეტური სახეები, მეტაფორები, ემოციები თავისთავად არ ამოიწურება, არ დაიწრიტება, არ ცდილობენ მის შეკვეცას, რაღაც ყალიბებში მოქცევას. თუმცა კატო ჯავახიშვილის შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ ის ასეთი ტიპის პოეტია, რადგან იგი აგებს ლექსის სტრუქტურას, ხშირად იყენებს ინტერლუდიებს, ანუ მოკლე ჩართვებს, რაც ცვლის ლექსის რიტმს და ინტონაციას. ვერლიბრში ჩართული ეს ინტერლუდიები ხანდახან

რითმიანიცაა, ხშირად მეორდება, ან რაღაც ვარიაციებს განიცდის და რეფრენად გასდევს ლექსს. რეფრენულობა ისედაც ახასიათებს კატო ჯავახიშვილის ტექსტებს. ოღონდ სწორედ ეს რეფრენულობაა, ზედმეტად რომ წელავს მის სათქმელს. სათქმელიც ხშირად აბსტრაქტულია, პირქუში ბოდვების სახე აქვს, სიკვდილით, სიყვარულით, სიზმარ-ცხადით და მსგავსი ტერმინებით ოპერირებს, ან ავტორისეული მსგავსი კომპოზიტებით: ბავშვობანაკლული, საკუთარცხოვრებამიტოვებული, საკუთართავგაუღვიძებელი, ჭერშითვალებშეწყობილი, შავთვალწყალჩაგუბებული, წარსულდაბრუნებული და ა.შ.

შოთა იათაშვილი, რადიო თავისუფლება

რალფ თენიორი



გერმანელი პოეტი. დაიბადა 1945 წელს სილეზიაში, პოლონეთის ქალაქ ბად კუდოვაში (პოლონურად: Kudowa Sdroj). ცხოვრობს დორტმუნდში, პოეტია, დაკავებულია ასევე მინიატიურული მებაღეობითა და ღამის ბოტანიკით.

მიღებული აქვს სხვადასხვა ლიტერატურული ჯილდოები, მათ შორის: რურის რეგიონის ლიტერატურული პრემია, 1990; ანეტე ფონ დროსტე-ჰიულსჰოფის სახელობის პრემია, 1993; „ქალაქის მწერალი“ ქ. პლოვდივში, 1996; ედენკობენის დიდი სტიპენდია, 2006; Writer-in-Residence ნიემეგენის პოეზიის ფესტივალზე, 2009. „თითოწუთიანი ისტორიებისათვის“ რალფ თენიორს 2009 წელს მიენიჭა „ობერჰაუზენის სალონის ლომების პრემია“. მისი ლექსი

TELENOVELACRIMO 2011 წელს დაჯილდოვდა პრემიით Post-poetry-Preis, ხოლო ლექსისათვის GLOBAL LINGO 2014 წელს მიიღო პრემია „Kunstgeflecht“ („ხელოვნების მოდგმა“).

მისი რედაქტორობით 2018 წელს გამოიცა კრებული „ელექტრონათურები“ („Die elektrischen Glühbirnen“) რომელშიც შესულია ანდრო ბუაჩიძის, შოთა იათაშვილის, ლია ლიქოკელის და გაგა ნახუცრიშვილის ლექსები. თარგმანები ეკუთვნით იურგენ ბროკანს, ლიუტფიე გიუცელს, ივეტე ვივიენ კუნკელს და რალფ თენიორს.

ამავე წელს გამოსცა კრებული „ხურმისფერი ნაყოფების ნათელში: საქართველოში მოგზაურობისას დაწერილი ლექსები“ (Im Licht der Kakifrüchte, Reisegedichte aus Georgien, Edition Virgines, Düsseldorf, 2018).

„ჩემი სიტყვები სიტყვის მკურნალ ძალაზეა გათვლილი“ (ინტერვიუ)

(მოკლე ინტერნეტ-ინტერვიუ გაგა ნახუცრიშვილთან)

გაგა ნახუცრიშვილი: ძვირფასო რალფ, რას გვეტყვით თანამედროვე გერმანული ლიტერატურისა და პოეზიის მდგომარეობაზე?

რალფ თენიორი: გერმანული ლიტერატურა ძალიან მრავალფეროვანია. თუმცა, ლიტერატურული მეინსტრიმი, როგორც ყველგან, აქაც ფინანსურად მომგებიანია. პირველ რიგში, დეტექტივებს ჰყავთ ყველაზე მეტი მკითხველი. არაორდინარული თუ ექსპერიმენტული ლიტერატურა და, რა თქმა უნდა, პოეზია, როგორც ყოველთვის, მძიმე მდგომარეობაშია და, თუკი საერთოდ იბეჭდება, – მხოლოდ მცირე გამომცემლობების მიერ. ერთი რამ მომწონს: ემიგრანტთა შვილების – მათი, ვინც უკვე გერმანიაში დაიბადა და გერმანულად წერს – მიერ დაწერილი რომანების, მოთხრობებისა და ლექსების ხარჯზე გერმანული ლიტერატურის ინტერნაციონალიზება ხდება.

გ. ნ. როგორ ვითარდება ლიტერატურა თანამედროვე ტექნიკური პროგრესის დროს?

რ. თ. ტექნოლოგიური წინსვლა და ლიტერატურა გერმანიაში. რა თქმა უნდა, დროდადრო იწერება რომანები და მოთხრობები პროგრესით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემების თემაზე, მსოფლიო სავალუტო კრიზისსა და

ბანკების კრახზე. თუმცა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა (ინტერნეტი, ელექტრონული ფოსტა, ტვიტერი და სხვ.) და მისი ზეგავლენა ჩვენს მომავალზე, ჩემი აზრით, საკმარისად არ არის შესწავლილი და გააზრებული.

გ. ნ. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა თანამედროვე ლიტერატურა, პოეზია კრიზისში?

რ. თ. ლიტერატურა, განსაკუთრებით პოეზია, მუდამ კრიზისში იყო. წარსულში თუ აწმყოში მილიონერი პოეტი არ მეგულება. თუმცა თანამედროვეობის ახალი მედიები მკითხველთა წრეს ამცირებს. საბაზრო კონკურენცია გამძაფრებულია. მაგრამ ლექსების წერა რომ დავიწყე, უკვე ვიცოდი, რომ ლირიკა პურის ფულს ვერ მომიტანს. ამიტომაც ეს არ მასევდიანებს.

გ. ნ. რა წარმოდგენა გაქვთ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე?

რ. თ. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობამ მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული ლიტერატურა გერმანული საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოაქცია. ჩვენი პატარა ლიტერატურული მოგზაურობისას, რომელიც ნორდრაინ-ვესტფალენის მიწაზე ოთხ ქართველ მწერალთან ერთად განვახორციელეთ, ყველგან დაინტერესებული და კომპეტენტური მსმენელები დაგვხვდნენ. საერთოდ, ვფიქრობ, ფრანკფურტის ბაზრობამ ქართულ ლიტერატურას ერთგული გერმანელი მკითხველი შესძინა.

გ. ნ. შეგიძლიათ, საკუთარი თავი დაახასიათოთ, როგორც პოეტი?

რ. თ. მე არ ვარ მოაზროვნე პოეტი. ლექსის დასაწერად გარეშე იმპულსი მჭირდება. ლექსები ჩემთვის იმის შესაძლებლობებია, ჩემი გარემოცვა და საცხოვრებელი გარემო შევისწავლო. ყოველი ჩვენგანი სინამდვილის მის მიერვე გამოთხრილ გვირაბში მოძრაობს და იცის, რომ ჩვევა სულს გარქოვანებული ტყავით ფარავს, ეს კი სამყაროს უნიკალურ საგნებს თუ მოვლენებს უღიმღამოს და უჩინარს ხდის. ჩემი ლექსები ამის საწინააღმდეგოდაა მიმართული. მათ შამანური ქვეტექსტი აქვთ, რომელიც ყოველგვარი ეზოთერული აბდაუბდას გარეშე სიტყვის მკურნალ ძალაზეა გათვლილი. და ზოგჯერ, როდესაც ჩემი გარემოცვა აღარ მაკმაყოფილებს, სულსა და თვალებს უცხოს, ჯერარნახულს, ახალს მივაპყრობ და ამით ვახალისებ მათ. ჩემს ლექსებს ცნობისმოყვარეობა და სამყაროს წყურვილი ბადებს.

გ. ნ. თქვენი ბოლო კრებულია „ხურმის ნაყოფების ნათელში: საქართველოში მოგზაურობისას დაწერილი ლექსები“. იქნებ ორიოდე სიტყვა გვითხრათ ამ კრებულთან დაკავშირებით და საერთოდ, როგორ მოხდა საქართველოს თემასთან თქვენი მიახლოება.

რ. თ. როდესაც 1996 წელს პლოვდივის „ქალაქის მწერლად“ ამირჩიეს და ვარნას ვეწვიე, ერთი ნახვით შემიყვარდა შავი ზღვა. ამით დაიწყო ჩემი წყვეტილი, თუმცა ათწლეულების მანძილზე მიმდინარე მოგზაურობა ცერნო მორე-ს გარშემო. მინდოდა ის ხალხები გამეცნო, შავი ზღვის სანაპიროებზე რომ ბინადრობენ, მათი კულტურები, ენა, სამზარეულო და ლექსები შემესწავლა. და, რა თქმა უნდა, ბუნებაც – ფლორა და ფაუნა. მალევე შევნიშნე, რომ მხოლოდ ჩემს თანამედროვე, უკვე მიწურულ მეოცე საუკუნეში კი არა, გარდასულ ეპოქებშიც, ისტორიულ თუ მითიურ დროშიც მიმოვდიოდი, მეტწილად კი

პოსტსოციალისტურ დროში, რომელიც მომავლისკენ უსწრაფესად მიმართული დასავლური სამყაროს აწმყოსაგან მკვეთრად განხვავდებოდა. ეს პარალელური დროები ურთიერთგამტარი აღმოჩნდა და ისტორიისა და მითებისათვის თვალის შევლების საშუალებას იძლეოდა, რაც უკიდურესად ამაღელვებელია...

საქართველოს პირველად 2016 წლის ოქტომბერში, ხურმის მოსავლის დროს ვესტუმრე. მეორედ კი 2018 წლის აპრილში. ამ მოგზაურობების შედეგად დაიწერა ლექსები, რომლებიც შემდგომში შევიდა კრებულში „ხურმის ნაყოფების ნათელში: საქართველოში მოგზაურობისას დაწერილი ლექსები“. ეს კრებული 2018 წლის ოქტომბერში დორტმუნდის ლიტერატურულ სახლში წარვადგინე. თუმცა მაშინვე, 2018 წლის აპრილში, როდესაც ქუთაისში დორტმუნდის თვითმფრინავზე ავდიოდი, უკვე ვიცოდი, რომ საქართველოში კიდევ დავბრუნდები. თუკი ღმერთები წყალობას გაიღებენ.

ლექსები

გერმანულიდან თარგმნა გაგა ნახუცრიშვილმა

რალფ თენიორის ლექსებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ პოეზია თანამედროვე სამყაროშიც აქტუალურია. თარგმნისას მე ის ხელახლა, სხვანაირად წავიკითხე. ასე სჩვევია ნამდვილ პოეზიას, რომელიც ყოველთვის ჩვენი თანამდევია და არასდროს გასდის ყავლი. მალე ქართველი მკითხველი რალფ თენიორის და სხვა არანაკლებ საინტერესო პოეტების შემოქმედებას ვრცლად გაეცნობა.

უკანასკნელი მისალმება

(იურგენ კალე ვირშს)

მიწით სავსე ხელით
ბოლო მისალმება,
საფლავში რომ ატან.
რა ღრმად ჩადის კუბო,
თხრილში ჩაშვებული
რა ყრუ ხმები ისმის,
რა შორსა ხარ უკვე.

მშვენიერი დღეა
საყვარელო ძმაო,
არყის ხეებს შუქი
დაცახცახებს ციდან,
და ეშვება ჩრდილში
და ეშვება ქვემოთ,
სადაც არის მიწა,
მზე ჩვენს მხრებზე იწვის.
ამ ჩახჩახა მზეზე
ჩვენ სიკვდილი გვნათლავს.

რაღაც უფრო ნელი,
რაღაც უფრო ჩუმი,
უფრო მზიანი და
უფრო უსასრულო,
სიყვარულის დღეა
და ტრაურის მარში.

შენ კი ჩემთან რჩები,
ამ ფიქრების გზაში.

კაცი ხიდზე

ბუჩქს მიეყრდნობა, დგას
და ფეხქვეშ ისევ გრძნობს თრთოლვას.
სიმყუდროვეში იზრდება ნელა

ობი. დინებას უმზერს.
რა მსუბუქია ბედნიერება განვლილი
დროის. დღეს კი

შფოთი გონებას უმღვრევს,
აურას უცვლის.
მისი მზერა მიჰყვება ტალღებს
და ის წყალს მიაქვს, წყალს მიაქვს.

მაგრამ

დღეს შენ უკვე გაიღვიძე,
მაგრამ მე უკვე დაღლილი ვარ.
შენ უკვე მიირთვი ვაშლი და ქლიავი,
მაგრამ მე ჯერ არ მისაუზმია.
შენ უკვე კარგად იმუშავე,
მაგრამ მე რა, ვერ გავმდიდრდი.
შენ შენი წარსული გააცილე,
მაგრამ ის მაინც აქ დარჩა.
შენ ლამაზ ქალებს აკოცე,
მაგრამ მხოლოდ გარეგნობა ჰქონდათ ლამაზი.
შენ აყვავებული მდელოები დახატე,
მაგრამ აღარ იყვნენ მოდაში.
შენ ისევ გაქვს ცხოვრების სურვილი,
მაგრამ მე ათასი სიკვდილით ვკვდები.

საითკენ მიფრინავ

ამ ერთ-ერთ ყვითელ ნაშუადღევს,
გამძორებულს და
გადატვირთულს სამუშაოთი.
გული რომ ცდილობს
გაიპაროს სახეტიალოდ.
უჩინარი გიტარები უკრავენ სამბას.
მიმწუხრი მოდის
ივნისის გრილ ნაშუადღევს.
გვერდით მეზობლის აივანზე
ჰკიდია პალტო ზამთრის
გარედან ტყავის
და ნიავდება სარეცხ თოკზე
და ყოველთვის გესალმება,
როცა აივანს მიაშურებ
შიდა ეზოში,
როდესაც გინდა ხის ტოტების
რწევას უცქირო.

ბიჭი

ქუჩაში ბიჭი, ახალი წლის ყინვიან დილას
მიდის, აცვია შავი ჯინსი,
ჭრელი პერანგი. საყელო მაღლა აწეული,
ჩამოშვებული ყურდამცავებით.
სუსხში ლოყები უღაჟღაჟებს,
თვალი უბრწყინავს. საზეიმო ნაბიჯით მიდის,
ღრმად ისუნთქავს
ჭირხლიან ჰაერს.
ქალაქი დაიპყრო. მისია.



ამონარიდები

„რალფ თენიორის ლექსები სიცოცხლის ქებათა ქებაა. მათში გულიანი სმა-ჭამაა აღწერილი. აქ მრავლად შეხვდებით ფილმებსა თუ მუსიკაზე მინიშნებებს. მისი ლექსები უცხო სინამდვილის მიმართ უდიდესი ინტერესიდან გამომდინარეობს, სულერთია, სად ცხოვრობს მკითხველი – ბირმასა თუ ნიუკასლში – ის ამ ლექსებში შინ იგრძნობს თავს“.

ბიანკა ბოერი, როტერდამი

„ძუნწი და, ამავდრულად, ღრმა და მძაფრი მხატვრული სახეები“.

„აახენერ ცაიტუნგი“

„მეამბოხურად, თამამად, თვალის ჩაკვრით ქმნის თავს ლექსებს სრულიად ურთიერთგამომრიცხავი ელემენტებისაგან: „ფიჭვების შრიალის“ იდილიიდან ერთბაშად გადადის სატრანსპორტო უწყების სარეკლამო ტექსტზე, გერმანულს ინგლისურის ნაკუწებით აზავებს, სიზმრისა და ლანდშაფტების აღწერასაც უმატებს, უზუსტესად ჭვრეტს ყველაფერს და უცნაურ არარსებულ სურათებსაც თხზავს. მოგზაურობის წყურვილი მსოფლიოსა და მასში საკუთარი თავის აღმოჩენის წყურვილია. თენიორი მსოფლიოს აღწერს და ჩვენც მისთვის მიბაძვის სურვილს აღგვიძრავს“.

აგნეს ჰიუფნერი, „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“

„მთელ კრებულს უფრო პესიმისტური ელფერი დაჰკრავს, თუმცა ეს განცდა ნატიფი ირონიითაა განმსჭვალული და იუმორით შერბილებული. ამ ლექსების კითხვისას მე

პირადად არ მტოვებდა სიკვდილის სიახლოვის შეგრძნება“.

ჰარალდ გრიოლერი, „დი ჰორენ“

„რალფ თენიორს ჩუმი, ნაკლებპათეტიკური კილო უყვარს... ბევრი ახალგაზრდა ავტორი ლიტერატურაში თავდაჯერებითა და ბევრი ძახილის ნიშნით შემოდის. თენიორის პირველ წიგნს კი ყბადაღებული აღტკინების უარმყოფელი სახელწოდება ჰქონდა: „ნაღვლიანი ყიჟინები“. („Traurige Hurras“).

„თანამედროვეობა, რეალური არსებობა – სწორედ ესაა, რაც თენიორს აინტერესებს. ის მუდამ ყურადღების ცენტრში აქცევს იმას, რაც თითქოს პატარა და უმნიშვნელოა და მოულოდნელ ბრწყინვალებას ანიჭებს. მასთან გამოხატვას ჰპოვებს დეკლასირებულთა ღირსება, ეგრეთ წოდებული „პატარა ადამიანების“ ტანჯვა და სიხარული“.

მიჰაელ ცელერი, OMNIBUS-ის ბოლოთქმა

„რალფ თენიორის ბოლოდროინდელმა ექსპედიციებმა პოეტი არნახული პროდუქტიულობით დაასაჩუქრა. საით ექნება შემდეგი მოგზაურობა? ავტორმა ეს, ვფიქრობ, მკითხველზე ნაკლებად იცის. თუმცა განა ეს, საბოლოო ჯამში, სულერთი არ არის? მასთან ერთად მოგზაურობა არ გვწყინდება. საგზაო ნიშანი „Global Lingo“ გზას გვიჩვენებს“.

ვალტერ გიოდენი, „ვესტფალენშპიგელი“

„ლანდშაფტების ამ სურათებიდან შმორიანი ბერიკაცული პროზის ნაცვლად თანამედროვე, ხალისიანი წერის მანერა გვეგებება, რომელიც გაუმაძღარი ცნობისმოყვარეობით თამამად აკვირდება ფლორას, ფაუნასა და წელიწადის

დროთა ცვლას. „შემოდგომა მბზინავ წაბლივით დევს კარის ზღურბლზე“.

ლუც ჰაგეშტედი, „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“



მოამზადა თამარ კოტრიკაძემ

2. პოეზია

ნინი ელიაშვილი

* * * (მოუქნელია ჩემი გული...)

მოუქნელია ჩემი გული. მკვდრებზე მლოცველი.
ჩემს გულზე აღარ საუბრობენ. მხოლოდ დარდობენ.
ორმო. ის ორმო, რომლიდანაც ვერ ამოვძვერი.
როგორ ვუვლიდი ყველა სიტყვას, შენთვის მოწერილს,
სანამ სხეულში გაჩნდებოდა მილიარდობით
უაზრო ეჭვი, რომ მკვდარი ვარ. რომ დამივიწყეს.
მოუქნელია ჩემი გული. ვეღარ ისწავლა,
როგორ არ უნდა. როგორ უნდა. თვითონ კი ვიცი...
მოუქნელია ჩემი გული. მცირედ ტკივილზეც
იკუმშება საბედისწეროდ.
და მასზე აღარ საუბრობენ. მხოლოდ ნაღვლობენ.
ხელიდან ხელში გულუბრყვილოდ გადააწვდიან
ერთმანეთს. რომ გულს, ჩემს უფორმო და უნაყოფო
გულს ოდნავ რამით შეეშველონ, თუმცა ცხადია…

* * * (მწიფდება. დიდი ტკივილისთვის უკვე მზად არი...)

მწიფდება. დიდი ტკივილისთვის უკვე მზად არი
სიტყვა, რომელიც ქერქს იძრობს და სულმთლად შიშველი
დგება შენ თვალწინ, რომ უშველო. ცამდე მართალი,
ცამდე კეთილი საოცნებო დღეებს გიშენებს.
გპირდება. ნანობს. უხარია. კვდება. გაღმერთებს.
და მხოლოდ შენი თვალებიდან ხედავს სიმშვიდეს.
რომ იმ წარსულში მიტოვებულ, დაშლილ სახეთა
შიშებში ცხოვრობს. შენთან მოდის ბოლო შიშიდან.
და შენც უწყრები ამ დამპალი სიმართლისათვის,
რომ გპირდება და უხარია. ნანობს. გიკვდება.
შენს ხელებში რომ ვეღარასდროს გამოიზამთრებს,
უნდა იცრუონ მკვდარშობილმა, ფუჭმა სიტყვებმა.

* * * (დიდი სახლიდან გამოსულმა ბაღს მიაშურე...)

დიდი სახლიდან გამოსულმა ბაღს მიაშურე,
რომ ფერად სკამებს სიმარტოვით გამოეკვებე.
შენი ოცნება – რეალური. არაბავშვური.
შენს ოცნებაში მოწკმუტუნე ძაღლის ლეკვები.

დიდი სახლიდან გამოსულმა წყალი იშოვე.
და წყალი მოსვი. და სინათლეს გულით ატარებ.
მატარებელი. ავტობუსი. გზა. შუქნიშანი.
და შენი მზერა – გულგრილი და ცამდე მართალი.

დიდი სახლიდან გამოსულმა ფრთები დამალე.
ფრთები ჟანგის და არა – ბროლის, რაღა თქმა უნდა!
და გიხარია, შენს ტკივილში რომ ნატამალიც
არ არის შვების. არც იქნება სავარაუდოდ.

* * * (დღეს შორს ვარ ყველა ოცნებისგან და იმედები...)

დღეს შორს ვარ ყველა ოცნებისგან და იმედები
გავუშვი. გავათავისუფლე. ახლა შორსა ვარ
შენგან. ჩვენგან და უფრო სხვა ვარ, ასე მგონია.
ის, ვისაც ერთი ხელის მოსმით გაიმეტებენ.
ვინც ეცადა და ვერაფერი ვერ ამოშალა.
დღეს ყველაფერი სიმშრალემდე. წვამდე შორია.

დღეს ვეღარაფერს ვერ გიყვები. გამომეცალა
ძალა და მხოლოდ ის თუ მინდა არ გეშინოდეს.
არ გაურბოდე წარსულს მხოლოდ რამის შეცვლამდე.
გაზაფხული რომ ვერ გვახარა მკვდარმა მერცხალმა,
ახლა მხოლოდ ის ტკივილები გვაკავშირებენ
და ვნატრობ, მასაც უეცრად არ ჩამომრეცხავდეს

დრო. შორს ვარ ყველა ოცნებისგან და იმედები
გავუშვი.
გავათავისუფლე.

* * * (არც სიძულვილი...)

არც სიძულვილი. აღარც ბრაზი. მხოლოდ შენახვა
რაღაც ძვირფასის. ხელუხლებლის. რაღაც მარადის.
რომ ერთროულად გავიზარდე. დავპატარავდი.
რომ ერთდროულად და ღუპვაც და გადარჩენაც ხარ.

არც დავიწყება. აღარც ხსოვნა. მხოლოდ დამარხვა
რაღაც ძვირფასის. ხელუხლებლის. რაღაც მარადის.
მე მიხაროდა და სიხარულს ვეღარ ვმალავდი.
ასე მნაღმავდი სიყვარულით, თუმცა დანაღმვას

არ მიპირებდი. აღარც ნატვრა. აღარც ლოდინი
რაღაც ძვირფასის. ხელუხლებლის. რაღაც მარადის.
გფარავდეს, ჩემო სიყვარულო, ღმერთი გფარავდეს!
წყალი იყავი და მე, ვიწრო კალაპოტივით,

ვერ დაგიტიე, ვერ გადინე, როგორც გინდოდა.
და ვიუწყები უსასრულო უამინდობას.

* * * (**რაც შენი დიდი თვალებით ვცხოვრობ...**)

რაც შენი დიდი თვალებით ვცხოვრობ,
რაც დღეებს ძალა თავისით მისდით,
რაც ცაზე, როგორც ყვითელი სორო,
მზე თავს მთავაზობს და რაც მე მზისთვის
ვერ ვიცლი, რაც მზე, რაც თოვლი, წვიმა
ვერაფერს ცვლის და ყველანი ფუჭად
იხარჯებიან, რაც ყველა წვრილმანს
ვიხსენებ მშვიდად და თვალებს ვხუჭავ...

რაც შენი დიდი თვალებით ვცხოვრობ,
რაც ნისლში ვცხოვრობ, რაც უკვე ნისლმა
დაფარა ჩემში, მე ის ვარ მხოლოდ.
რაც ვერ დაფარა, ან მხოლოდ ის ვარ.

რაც არაფერი არ ისმის ჩემგან,
რაც ყველა სიტყვა მხოლოდ ექოა,
რაც ყველას ჩემთან მოსასვლელი და
წასასვლელი გზა ამოექოლა,

მე ვცხოვრობ. თითქოს ანგარიშს მიწევს
გარშემო ყველა და მანებებენ,
რომ როგორც სუსტი დავალებები,
ამოვხსნა. მერე უაზროდ ვიწვე.

რაც შენი დიდი თვალებით ვცხოვრობ...

ხსოვნისათვის

მუქი დღეები ამოვიდნენ. არც ისე ახლოს,
მაინც მესმოდა, ჩიტის ხმაზე როგორ გალობდა
ხსოვნა და როგორ მახსენებდა, რომ ჯერაც მახსოვს.
მუქი დღეები ამოვიდნენ სასაფლაოდან.

არ მიტირია. მოვითმინე. ასე მერჩივნა.
იმ დროს ყველაფრით, ყველა მკვდარი ცრემლით
მახსოვდი.
შენ არ შეგეძლო ჩემი გული გადაგერჩინა.
ამას არავინ გაძალებდა. შენ არასოდეს

დაგვალებია ჩემი გული. მისი არათუ
გემართა რამე, ყველაფერი შენით შეიცნო.
მე დავმშვიდდები და დავუცდი, როდის შეიწოვს
მიწა სიყვარულს. ჩვენს სიყვარულს. როდის წამართმევს.

სტამბიდან ვერის სასაფლაომდე

(შოთა იათაშვილს)

შენ ნაგლეჯ-ნაგლეჯ მიყვები ამბავს,
რასაც თავს აბამ.
რომ ახალ სტამბას
ძველი გერჩია.
რომ ახლა აღარც რომანტიკაა,
სადღაც გულს შიგნით, წლებია, ჩალპა.
დღეს კი იხსენებ, რაც დაივიწყე
და მე ვისრუტავ, როგორც წყალს ბამბა.
ვერა და ვერა
ვერ დავიძინე.
და შენც ვერაზე წვალობდი თურმე.
ამ თენებაში შევრჩით ერთმანეთს
და როგორც ყველას, მეც, დილის სტუმარს
შემომთავაზე ვერის გიდობა,
რომ ვერის ბაღში შეჭრილ კიდობანს,
რომ ვერის ბაღში ძინავს ჭონქაძეს,
რომ იქვე ძინავს პირველ პედიატრს,
რომ მღვიძავს, რადგან მეტისმეტია,
არც ხელფასია, არც – ჰონორარი, არც – სტიპენდია.
შენ ნაგლეჯ-ნაგლეჯ მიყვები ამბავს,
რასაც თავს აბამ.
რომ მზერა დალბა
და სულერთია რას გაუსწორებ,
ქვებს თუ რაფაზე შემოდგმულ ბალბას.

* * * (ტალახი მოგაქვს. რას მიგზავნი ან რას წამართმევ...)

ტალახი მოგაქვს. რას მიგზავნი ან რას წამართმევ.
ტალახი მოგაქვს. რას წამართმევ. კიდევ რის გამო
არ ვიმსახურებ შენს სხივებში ხელი ვურიო.
გამომიგზავნე, რომ წამართვა კვლავ! მისამართი
გაქვს. ყველა კარის, ყველა ჩიხის, ყველა გზის გავლით
მოხვალ და ნახავ, როგორ მშია, როგორ მწყურია.
ხელისგულებით როგორ ვიკლავ შიმშილს, ჩემივე
თვალებით წყურვილს თუ რამდენჯერ გადავრჩენილვარ.
ნახავ, იმ წვრილ-წვრილ სიხარულებს როგორ ვიმშრალებ,
შენ რომ მიგზავნი. მერამდენედ ჩამოიშალე
და ისევ ჩემი გამოღრღნილი ხელით გაშენებ,
რომ გაპატიო ყველაფერი. რომ ჩემ გარშემო
გაქრნენ სახლები. ჯებირები. გაქრნენ ტალღები.
რომ გავიხსენო, ყოველ ჯერზე როგორ აღებენ
კარს და მე მყოფნის ყველაფერი, რაც არ მექნება.
და თუნდაც თითო საყვედურად, თითო შექებად
შევძლებდი ყოფნას. ცხოვრებას კი მოვიგონებდი.
ტალახი მოგაქვს. და მჭირდები, როგორც ყოველთვის.

ზაზა ბიბილაშვილი

მამაო ჩემო

საიქიო მმართველობის მძიმეუღელშებმულებმა
როცა მომცეს სასიცოცხლო მნიშვნელობის შვებულება,
შემეგებე, როგორც კარგი სააგენტო ტურისტული,
რათა შენთვის მოიკრიბო მთელი ჩემი გულისყური.

მერე მითხრა, მამა, რომ –
მზე მიცინის ამ ფანჯრიდან,
კიდევ მითხრა, მამა, რომ –
მე მიგალობს ნაცარჩიტა,
ისიც მითხრა, მამა, რომ –
ჩემი ხათრით გადაჩითა
დანარჩენი სამყარო
ყვავილების სამყარომ,

მერე – მითხრა, მამა, რომ –
ქვებიც ნაყოფს მოისხამენ,
რაკი – მითხრა, მამა, რომ –
აქ მზიანი მოდის ღამე...
ესე იგი – მამა, რომ –
კარგ ადგილზე მომიყვანე,
შენ, ყველაზე კარგო და
შენ, ყველაზე მაგარო.

მგონი, გინდა, მეგონოს, რომ ეს სასტუმრო საოჯახო
იმად გინდა – შენი არა – ჩემი ბედი გამოჩარხო,
და საერთოდ – იმის გამო – მომიტყუე აი, აქ რო –
თავი ასე იმართლო და იმართლო და გაიმართლო.

და მიყვები, მამა, რომ –
მზე მიცინის ამ ფანჯრიდან,
და მიყვები, მამა, რომ –

მე მიგალობს ნაცარჩიტა,
და მიყვები, მამა, რომ –
ჩემი ხათრით გადაჩითა
დანარჩენი სამყარო
ყვავილების სამყარომ,

უფრო მეტიც – მამა, რომ –
ქვებიც ნაყოფს მოისხამენ,
ეგ კი არა – მამა, რომ –
აქ მზიანი მოდის ღამე,
ესე იგი – მამა, რომ –
კარგ ადგილზე მომიყვანე,
შენ, ყველაზე კარგო და
შენ, ყველაზე მაგარო!

ეგ სიტყვები მეშაქრა და მეთაფლა და მეკომპოტა,
თუმცა გითხრა რო სიმართლე – მე სიმართლეც მეყოფოდა,
ანუ ტკბილო მამილო და მამიკო და მამიკონა,
მეყოფოდა, მაგის ნაცვლად, თუნდაც ეს რომ გამეგონა:

– ჩემთან გიხმე ამიტომ,
შენგან ამის მნდომი ვარო:
სიჭაბუკე გამირთო,
სიბერეში მომიარო,
შენი ძარღვი დამითმო –
დაწრეტილმაც რომ ვიარო,
სხვა სიცოცხლე ამინთო,
სხვა ლეველი ჩამირთო,

გამიგრძელო გვარი და
გამიმრავლო ნათესავი,
არ დადუმდეს კარი და
არასოდეს დაცხრეს ალი,
ჩემი მონაგარი და

ნაქნარი და ნამწყემსარი
რომ არ წიწკნოს ხვალიდან
ვინმე ჩხიკვის მამიდამ...

ანდა იქნებ სულ სხვა რამე მიზანი ან მიზეზია,
რა მიზნით ან მიზეზითაც ჩემი თესლი გითესია –
გულის ლოდზე მიბმული რომ, შიშობ, ენამ არ აუშვას –
მაშინ, როცა მერე რა და რა მოხდა და არა უშავს –

სულაც თუ არ გინდა, რომ –
სულის მარაგს სანამ დალევ,
არყოფნასთან იდავო –
მაინც მისმა სანადავლემ –
და უბრალოდ – წინდაუ-
ხედავად თუ დაამთავრე
მიმოქცევა წინ და უ-
კან და ისევ წინ და უ...

სამყაროსთვის – გინდა თუ
არა – შენც ხომ პატარა ხარ? –
მერე რა, რომ წმინდა რუ
შენმა წვიმამ ატალახა! –
აკი ეგრე – წინ და უ-
კან რუების გადალახვა
შეუძლია მამალსაც,
გინდა – მამალ ინდაურს...

რა ქნა – იქნებ არავინ გყავს, ვინც დიდურად მოგივლიდა,
შეგასმენდა, რაც შენ თვითონ აზრადაც არ მოგივიდა...
აბა, გულშიც ვინ გაივლოს ამისთანა შეფარდება –
რომ აზრად კი მოგივიდა, მაგრამ სულ არ გედარდება –

რომ მიყვები, მამა, რომ –
მზეც ჩემია ამ ცაში და

რომ მიყვები, მამა, რომ –
მე მიგალობს ნაცარჩიტა,
რომ მიყვები, მამა, რომ –
ჩემი ხათრით გადაჩითა
დანარჩენი სამყარო
ყვავილების სამყარომ –

მერე თუ ვითავცემებ –
თუკი ახლა დავიჯერებ –
სიკეთისთვის გამცემენ,
სიმართლისთვის დამიჭერენ,
ქვაფენილზე დამცემენ,
ყელში ბაწარს წამიჭერენ,
გულში დანას ჩამცემენ,
ანდა – ზურგში ჩამცემენ...

რომ არასდროს მელოდება ან გათელვა, ან გარიყვა –
რაკი გმირის მაგვარი ხარ და იმაზეც მაგარი ხარ;
რომ თვითონვე ნამიწარი, მიწიერი, სამიწევე
ყოველთვის აქ დამტოვებ და არასოდეს დამიტევებ;
როგორც ქსელი პროფილების, ქავერების თუ ნიკების –
რომ სავსეა სინამდვილეც კოცნებით და გულიკებით,
არსად – ქატო, არსად – ჭირი, არსად – ჩაგვრა-ბულინგები...
– ნუ მიყვები ამას, მამა – მამა, ზღაპრებს ნუ მიყვები!

ნუ მატყუებ, მამა, რომ –
მზეც ჩემია ამ ცაში და
ნუ მატყუებ, მამა, რომ –
მე მიგალობს ნაცარჩიტა,
ნუ მატყუებ, მამა, რომ –
ჩემი ხათრით გადაჩითა
დანარჩენი სამყარო
ყვავილების სამყარომ!

ნუ მატყუებ, მამა, რომ –
ქვებიც ნაყოფს მოისხამენ,
ნუ მატყუებ, მამა, რომ –
აქ მზიანი მოდის ღამე,
ნუ მატყუებ, მამა, რომ –
კარგ ადგილზე მომიყვანე,
შენ, ყველაზე ალალო,
შენ, ყველაზე მართალო!

...ოღონდ ჩემო კენწერო და მთავ და ზეცის კაბადონო,
სანამ რამეს შეგაგონებ, ჯერ ხომ უნდა გაგაგონო.
მაგრამ ენად ღვედი მქონდეს, სიტყვა – წონად ერთი ტონაც –
როგორ გითხრა, ჯერჯერობით რაც არ ვიცი მე თვითონაც –
ვთქვათ, თუ ჩემკენ რამე იძვრის დოლაბების მთა-გორებად –
და ვინ იცის, რისიც ახლა არც კი მინდა გაგონება,
და ვინ იცის, ამჯობინებ – არც იცოდეს, ვინც არ იცის,
და მაგონებ მხოლოდ იმას, გაგონება მინდა რისიც –

და მიყვები, მამა, რომ –
მე მიცინის ცხრათვალჭიტა,
ჰო, მიყვები, მამა, რომ –
მე მიგალობს ნაცარჩიტა,
კი მიყვები, მამა, რომ –
ჩემი ხათრით გადაჩითა
დანარჩენი სამყარო
ყვავილების სამყარომ

და მიყვები, მამა, რომ –
ქვები ნაყოფს მოისხამენ,
და მიყვები, მამა, რომ –
აქ მზიანი მოდის ღამე,

და მიყვები, მამა, რომ –
კარგ ადგილზე მომიყვანე,
შენ, ყველაზე კარგო და
შენ, ყველაზე მაგარო.

მაია ჯოლბორდი

მელნის ტბა

ფრაგმენტები პოემიდან

თინათინის წერილი ფატმანს

დიახ აქ ცივა საშინელი ქვენა ქარია მთვარეს ლაქები
გაუჩნდა ისევ
გეშინოდეს მკვდრები დგებიან შენს დღეებს იფარებენ
სახეზე
გაყვითლებული შეადნები წუთისოფლის მოწყენილობას
და ინანებ ფიქრი რომ შეგეზარა აღმა ხტომამ დაგამარცხა
თემშარის უკიდეგანობასთან
ცრემლებს გაგიშავებს ჭეშმარიტების ნათელი და ვერ
შეძლებ ცულის ყუაზე დატევას
მერე რა თუ მოკლე სხეული გაქვს მაინც მძიმეა შენი
თეძოები სამოთხისათვის
იქ ხომ ერთფეროვან სიმშვიდეს მღერიან
შენ შენს შვილებს დაჭამ კბილებით
ეს ჩემი სასჯელია
სისხლიან პირს ეშინია ამაოების
ხვალ აცრემლდება სინანულის მწვანე ბალახი
დაიმალე.

თინათინის წერილი ავთანდილს

ჩემი ცხოვრება დაბადებამდე გადაყლაპეს ძაღლებმა
უსუნო გავჩნდი
იქნებ ამიტომაც გამამეფა მამაჩემმა
იყო მეფე ნიშნავს საკუთარი თავი დაკარგო
ინტერესები მუყაოს კოლოფში უწესრიგოდ ჩაყარო და
უკანმოუხედავად იცხოვრო
უარი თქვა დიეტაზე რომელიც შენი ჯანმრთელობის

პარალელურია
დაუნაყრებლობა გაიხადო ყოველდღიურ საკვებად და
დატკბე გზით
რომელიც შენი არასოდეს იქნება
ხელი ჩაკიდო მგზავრს ახედ-დახედო საყელო გაუსწორო
და უთხრა
წინ ბედნიერებისაკენ
შენი უჩინარი ხუთი თითი სიხარულის საწინდარია
გაზაფხულდება
უპატრონო მოხუცების წარმოსახვაში და უკვირთ
მბრძანებელი მეფის სიცხადე და ხუთი თითი
ჩვენი თანხვედრა შეუძლიათ უმიზნო დღეებს და
გულისცემას
არაფრობაში ვმართავ სამეფოს
მერე რა თუ მზე და მთვარე ცვლიან ერთმანეთს
ეს დროს არ უშლის უძრავად დგომას
ცრემლები ისევ წვავენ ხელისგულს
მარგალიტები უსაფუძვლოდ არ იკრიფება
წადი.

თინათინის წერილი მამას

ღალატს წვალობენ ისევ ისე ნაცნობი მთები
დაღამებულ დღეს მარადიულს ჩახერგილს სულში
უარაფრობა არ უხერხდება ხელმწიფევ და მამაო ჩემო
დაღლილს ცრემლმდინარს განჯინებში მოხეტიალეს
დრო დროს მთავაზობს და უარს ვამბობ ერთადყოფნაზე
ვრჩები იქ სადაც სვავები ნისკარტს ილესავენ და
მსხვერპლს ელიან
ჩემი სისხლი სწყურიათ ლაშებს
ეს მითქმა-მოთქმაც მამამ შვილი გაამეფაო
კუდგამობმული კოშმარივით
დარბის ქუჩებში უწყისებს ვავსებ

ვინ სად და როდის აიტკიებს თავსა და მუცელს
ის მიდის
მინდოდა ქალი ვყოფილიყავი ოქროს სავარცხლით
მევარცხნა თმები
მთვარიან ღამით ვარსკვლავებში მემოგზაურა
მაგრამ მეფე ვარ მამაკაცთან თანასწორობა მომისაჯე
და სასჯელს ვიხდი
ჩემი ცრემლები ამიტომაც მიბანენ ღაწვებს
ამას სჯობდა მინდვრის ყვავილი ვყოფილიყავი თუნდაც
უსუნო
ახლა თავად ვდარაჯობ პეპლებს
ათეულებად ათასებად ვაწყობ ასისთავები იწყებენ
ბრძოლას
ამას კი ჩემი ფეხშიშველა სიარული სჭირდება
მიჯნურმა მითხრა ისე სამშობლოს სიყვარული სიყალბეაო
მიწა სავსეა ეკალ-ბარდებით სისხლს წვიმის
იეროგლიფები გამოჰყავს
იქნებ ასე მაინც განელდეს ტკივილი რომელიც სხეულში
მეტასტაზებად დატოტვილა
ვერსად გავექცევი შენც კარგად იცი მამაო ჩემო
თაროდან თაროზე თუ მოუხერხებ გადანაცვლებას ესეც
დიდი შეღავათია
არაფერში მიგიძღვის ბრალი არის დრო როცა ძუ ლომი
ხვადობს
ეს ჩემი მემკვიდრეობითობაა ნოტარიუსით დამოწმებული
ღალატს სწავლობენ ნაცნობი მთები.

თინათინის სიზმარი

საიმედოში მკვდრები ისევ ფეხზე დგებიან
მთვარე ამოდის წარმოდგენას მართავენ მკვდრები
ძილში მოხარშულ ბეჭდიან თითს სულს შეუბერავ
დამწვრობა რომ

ოდნავ შენავლდეს
და სწორედ ამ დროს მოდის მხედარი პირქუში კუშტი
ბილიკს აკვდება მხრებშიმოხრილი მისი სხეული
შენი სახე უნდა მეხილა როცა მარაო ცეცხლს შეაგრილებს
და დასავლეთის ხორშაკი ქარი აღმოსავლეთს
ჩაანაცვლებს
წავალ-მეთქი შევპირდი ჩემს თავს
შენი თვალები ბოროტებას ზიზღს ასხივებენ რისთვის
მოხვედი
საჩუქარი მოგიტანე დაკარგულ დროს უნდა გაუძლო
ჩახედო სიზმარს იქ ის ტირის მოთქვამს და გოდებს
ჩემი სატრფოს მსუქან სხეულში გკარგავს და გპოვებს
საიდუმლო უნდა ამოხსნას ომში გმირები მარცხდებიან
მე გავიმარჯვე მოხეტიალე სულად ვიქეცი
ნაჩუქარ სიზმარს არნახული ცხოვრება ჭარბობს
თქვა თინათინმა მზის თანხლებით გაათბო არე.

ი-ა

უარაფრობამ მოიცვა სული და ეს ნიავიც სიცივეს უფრო ეთამაშება
ჭრიჭინები უშინაარსო ტექსტს ჭრიჭინებენ ხეებს ფოთლები აცოცხლებენ
ამ დროს მოდის შენი მონატრება ჯერ სწორხაზოვნად
მერე იტოტება მთელს სხეულში ავსებს სისხლძარღვებს
აღარა აქვს მნიშვნელობა ნათელს და ხედვას
განსაცდელების ტბაში ვიხრჩობი უკანასკნელი ჩასუნთქვა დარჩა
ჯარს უჭირს ფეხის მოკიდება მიწაზე და ნესტიანი ჰავის მიუხედავად
ხავსიც არ არის დროდადრო რომ ჩამოისვენო შენი ფიქრების დაპურება შეძლო
სწორედ ამ დროს მასწავლი ცურვას ღვარად მოდენილ ცრემლებს
იაგუნდის კალაპოტს უშენებ დროის მიღმა მტოვებ და ერთად ვაკვირდებით
რა შეიძლება მომხდარიყო რა უნდა მოხდეს
მერე ნიავიც თბება თანდათან სამელნეში აგუბებ სევდას
და იეროგლიფები გამოგყავს
კითხვას და წერას ვსწავლობ
შენით.

მარტო ოთახში

როცა სამყარო ფეთქვას აჩერებს განახლების მოლოდინში
დუმილს აქვავებენ ფერმკრთალი ჩიტები
სიცოცხლის პულსი ბეწვის ხიდზე მიდის და მოდის
მხოლოდ მდინარე არ წყვეტს დინებას და მოაქვს მკვდრები
ხელფეხშეკრული აზროვნება მუჭში მოთავსებას გაურბის ებრძვის
სუფრაზე ატარებენ ხაშლამასა და ჩახოხბილს
ფლავსა და შილაფლავში მარხავენ მიცვალებულებს
სწორედ ამ დროს დგება ჟამი უვადო შეხვედრის
მზე და მთვარე უცრემლოდ თხრიან ერთმანეთის საფლავებს
წარღვნის მოლოდინს უყუჩდებიან თევზები
და სწორედ ამ დროს მერამდენედ აღდგება ფეთქვა
უარაფრობით მოსილს ცარიელი ფურცლებიდან ფიქრის
აკრეფა მასწავლე ღმერთო.

ჩემთან მოვიდა მისი აჩრდილი და შენი ცრემლები მომიტანა
არ ვიცი რატომ მაშინ როცა გზა ასე გრძელია და საჭეს მართავ
არაცნობიერს მღერის ბუნება
იცი მე უკვე მხრები დავკეცე
ჩამოღამებულ მზეს დავუწყე ხელით ფერება
დამცხა ხმაურში ფსკერზე უნდა ვიმოგზაურო
მერე რა თუ დაიტკეპნა სიტყვები
მერე რა თუ ჩიტები სიცოცხლეს ეთამაშებიან
მე დამხრჩვალ თევზებს დავასაფლავებ
ფიქრებს დავალბობ მარილწყალში ობი რომ არ მოიკიდოს

მთების ზიდვა გაცილებით იოლია ვიდრე ყურება
ლოდინი ამოაშრობს თვალებს
ჯარმა თავის საქმე აკეთოს.

* * * (ისევ თბილი თოვლი მოვიდა...)

ისევ თბილი თოვლი მოვიდა
გამოგონილ ზამთარს კენკავენ ბეღურა ჩიტები და
სიზმრებში
ღრმად რგავენ თავს მთელი საგვარეულო ბჭობს
გაფრინდნენ თუ
დარჩნენ თბილ თოვლში
მაშინ როცა უმინო ფანჯრიდან კატა ფიფქებს ეთამაშება
ხვდებიან რომ დააგვიანდათ
რომ ბევრი ფიქრით მიეჯაჭვნენ სამშობლოდქცეულ
ყოფიერებას
და ნამდვილ ზამთარს შეერკინნენ წვრილი ფეხებით
მერე რა თუ ცივია თოვლი და კატაც ფიფქებს ეთამაშება
მზე ხომ ამოდის
მოჩვენებითი მზე.

ზამთარმა სიტყვები გაყინა
თვალში ჩამდგარ ჩრდილს მზის დანახვა არ შეუძლია
თუ შეინანე იქნებ იგრძნო კიდეც სურნელი ჯერარშობილი
იაიისა
ჩვენ ყველამ ერთად უარი ვთქვით ფეხშიშველა სიარულზე
სამხედრო ჩექმა ენივთა სხეულს და დავტკეპნეთ წარსული
გაუცნობიერებლად დავკეპეთ მომავალი
ხსნა ბეწვის ხიდზე გადავფინეთ
იმედი გვქონდა ნაწვიმარ ცრემლებს შეიშრობდა ქარი
ის აღარ ქროდა
უცხო მოხუცი ხელისგულზე მოთმინებით ათბობდა
სიტყვებს
უცხო.

* * * (გზა ამერია ჩემო მამავ ისევ ვბნელდები...)

გზა ამერია ჩემო მამავ ისევ ვბნელდები
ეპოლეტები აცილებენ დღეებს სევდიანს ნისლში
ჩამარხულს
მის ვაჭრულ სამოსს ასხივებდა შიდა სინათლე
თვალი მოჰკარ და არ ინანე
მერე დიდხანს დიდხანს ფიქრობდი როგორ გეამა
არკუთვნილი სხვისი სითბოთი
მოიკირწყლე გზები ათასი
ფიანდაზად გაუშალე ფარჩა-ატლასი
მისი ცრელმები მძივდებიან ჩემს ხელისგულზე
ჯარი კი მღერის.

* * * (მე სიყვარული გაგატანე საგზლად...)

მე სიყვარული გაგატანე საგზლად
მეგონა მინდვრებს გაიფერადებდი ვარსკვლავებით
მოხატავდი ცას
შენ მეძავი ქალის თეძოებში ჩაღვრილ სიტკბოს დაეწაფე
ხორციელმა სძლია სულიერს და გააფუჭე თვრამეტი წელი
რომელიც ღმერთმა მისახსოვრა
რა რჩება ყოველივე ამის შემდეგ ტკივილი
რომლის გაქვავებას ველოდები
ზამთარმა შემომიძარცვა სამოსი გაძლება უშედეგოდ
ძნელია
სამეფოს მართვას ძველებურად მავალებს მამა
ის თვალს უხუჭავს ყოველივე პირადს და მზეზე ფიქრობს
იმ მარადიულ მზეზე მე რომ მთელი გულით მაჩუქა
მეც მოვალე ვარ კლდედ ჩამოვისხა სული
მთებისაგან სიძლიერე ვისესხო და დგომა გავაგრძელო
ქარებისა და ქარიშხლების მიუხედავად
შენს სახეს კი ჩემი ისტორია შემოინახავს.

* * * (სასახლეში მე და მამა ვართ დედაზე არასოდეს ვსაუბრობთ...)

სასახლეში მე და მამა ვართ დედაზე არასოდეს
ვსაუბრობთ
მისი სახე არ მახსოვს
ერთ მთვარიან დღეს გრძელ მოსასხამში გახვეული გაქრაო
მითხრა
მაშინ მხოლოდ სუნთქვა ვიცოდი უჰაერობის განცდა არ
მქონდა
ხანდახან ვგრძნობ მის სუნს ოთახებს ათბობს
ხანდახან მთვარის ყუაზეც იცის ჩამოჯდომა
მოსასხამს იცილებს სახიდან და მთვარიანი თვალებით
მიმზერს
სასახლეში უამრავი ოთახია ამ ოთახებში მამის ისტორია
იკეტება
ახლა როცა ჩემი ისტორია იწერება ვხვდები
დედა მამის ისტორიას გაექცა თავის წყვდიადში ჩაიკეტა
და გაქრა
ამიტომაც ის ყველგანაა სასახლეშიც და სასახლის მიღმაც
ჩანს და არ ჩანს
მეც დედას უჰაერობა დამჩემდა
მაგრამ სასახლის დატოვება ამიკრძალა მამამ
თავზე გვირგვინი დამადგა ხელში სკიპტრა მომცა და
მწყემსობა მომისაჯა
ჰოდა უბრალო მწყემსი ქალი ვარ
სხივების მწყემსი.

* * * (ეს ყველაფერი ძნელად ასათვისებელ გაკვეთილს ემსგავსება...)

ეს ყველაფერი ძნელად ასათვისებელ გაკვეთილს ემსგავსება
გამეორებას რომ საჭიროებს
შენ ფანჯარასთან დგახარ და აკვირდები როგორ შრიალებენ
ფოთლებში ჩიტები
მათი ნისკარტი უჩვეულოდ გლუვია
მერე იწყება თოვა გაზაფხულის ატმის კვირტების არომატით
დაატკბობ ჩაის
და დალევ დღესა და ღამეს რომლებიც ერთმანეთის მონაცვლეობაში
პოულობენ თავისთავს სადაც მე და შენ არ არსებობს
სადაც ჩვენ და გაზაფხულია
ეს ყველაფერი აჩრდილამდე მარტივი იყო მამი.

* * * (ვერ დაინახე ხელისგულზე ცეცხლი რომ მენთო...)

ვერ დაინახე ხელისგულზე ცეცხლი რომ მენთო
ვერ შეაფასე ღამეს დღე რომ მუდამ მოსდევდა
ამიტომაც ჯობია თვალებზე ხელები ავიფარო
დიდხანს შევიკავო სუნთქვა და ერთიანად წარმოვთქვა
შენი სახელი
იქნებ მაშინ მაინც გაიხსნას დაკოპლილი ფილტვები
იქნებ მაშინ გახდეს ნათელი რომ მზე მზის გარეშე ვერ
გამოყოფს სითბოს
ჩემს საძებნელად უნდა წახვიდე ტყეში დაგუბებული
ჰაერის მოსმენა ისწავლო
დაითვალო წელიწადის დროებში უდიერად გაჩრილი
დღეების ტკივილი
დილა მოიწმენდს ღამის ცრემლებს
შენს მოსასმენად ნადირები შეყოვნდებიან
მე ქსოვას ვსწავლობ ფიქრების ქსოვას წაღმა უკუღმა
ჯვარედინად
რას მისახსოვრებ?

* * * (რაც შენ წახვედი გაორება დასჩემდათ დღეებს...)

რაც შენ წახვედი გაორება დასჩემდათ დღეებს
მოთიბულ ბალახს აღარ ასდის თივის სურნელი და
მკვდარი მიწა ტირის თავისთავს
დაკემსილ თითებს უერთგულებს თეთრი ფურცელი
მელნის ტბაში ამოწებულ გულს ძველებურად გასერავს
მთვარე.

პაპუნა გიორგაძე

წარმოსახვითი თაობა

წარმოსახვითი თაობა მოძრაობს ქალაქის ქუჩებში,
ასუფთავებს ქალაქს საბჭოთა ნარჩენებისგან,
უსმენს ძველისძველ დელტა ბლუზს
და რიონის პირას დგამს მომავლის დადგმებს.
წარმოსახვითი თაობა მოძრაობს საფიჩხიის სასაფლაოზე,
ეძებს ცისფერყანწელთა დაკარგულ საფლავებს,
დემონსტრაციულად კითხულობს მათ ლექსებს
და უფრო ხშირად კითხულობს ძველ იაპონურ ლექსებს,
პოეზიის დასაბამს.
წარმოსახვითი თაობა არ სწავლობს ადგილობრივ
უნივერსიტეტში,
ის მხოლოდ ისაქმებს მის ეზოში
და ამის გამო იხდის ჯარიმებს,
ან რამდენიმე დღით რჩება საპატიმროში,
სადაც პატიმრებს უკითხავს წარმოსახვითი თაობის მიერ
დაწერილ ლექსებს.
წარმოსახვითი თაობა აწყობს მშვიდობიან
დემონსტრაციებს,
მისი ეშინიათ პოლიტიკოსებს, მერიის თანამშრომლებს,
და იმ სამსახურის უფროსებს,
სადაც მუშაობს წარმოსახვითი თაობის წარმომადგენელი.
წარმოსახვითი თაობა მემარცხენედ პოზიციონირებს,
ყვირის მაღაროსთან,
და თვლის რომ არაფერია თუნდაც ერთი სიცოცხლის
გადარჩენაზე მნიშვნელოვანი.
წარმოსახვითი თაობა ერთობლივად განიცდის
ბევრი სხვადასხვა ეპოქის საინტერესო გავლენას,
და ცხოვრობს ისე, რომ ოდესმე სხვამაც განიცადოს მისი
გავლენა.

წარმოსახვითი თაობა ვეგეტარიანელია.
წარმოსახვითი თაობა ლიბერალია.
წარმოსახვითი თაობა პაციფისტია.
წარმოსახვითი თაობა უარყოფს ეროვნულ მენტალობას,
არ სვამს მესამე სადღეგრძელოს,
და ქმნის ახალ მენტალობას, უფრო მსუბუქს, თავისუფალს
და მისაბაძს.
წარმოსახვითი თაობა არსებობს ქალაქის ქვესკნელში,
და ბოლო ასი წლის განმავლობაში
ყოველ წამს არსებობს მისი ამოხეთქვის საშიშროება.
წარმოსახვითი თაობა იმახსოვრებს წარსულს, ტკივილით
იბერება და გასკდომას ცდილობს.
წარმოსახვით თაობას გული ერევა და თავის დაღწევას
ცდილობს შეცდომების გასასწორებლად.
წარმოსახვითი თაობა ზევსობას უცდის, რომ გადაურჩეს
კრონოსს
და არ ჩაკვდეს დედის წიაღში.
წარმოსახვითი თაობა – ეს არის წარმოსახვითი თაობა და
სხვა არაფერი.
წარმოსახვითი თაობის შექმნა შესაძლებელია, თუმცა არა
სასურველი.
წარმოსახვითი თაობა არის უნივერსალური ეპოქა,
ბარიერდაუძლეველი.
წარმოსახვითი თაობა არის შიში, იმედი და ემოცია.
წარმოსახვითი თაობა არის წარსული, აწმყო და მომავალი.
წარმოსახვითი თაობა...
უბრალოდ წარმოსახვითი თაობა...
ბურუსით მოცული წარმოსახვითი თაობა...
გაუაზრებლად მოკლული წარმოსახვითი თაობა...
დაბადების მოლოდინში მყოფი წარმოსახვითი თაობა...
დაბადებადაგვიანებული წარმოსახვითი თაობა...
და არაფერი მეტი...

მკვლელობა ბჟოლებში

იყო ხმა წარსულიდან,
მანამ კი გზაზე მიდიოდნენ ოთხნი. და წინ შემოხვდათ სიკვდილი.
სამი მათგანი პოეტი იყო, ერთი კი მხოლოდ ბავშვობაში ყვებოდა დადაისტურ ლექსებს.
თავად სიკვდილიც პოეტი იყო, ოღონდ არა სულიერი, არა ხორციელი,
არამედ რაღაც უცხო და უცნაური სიკვდილი იყო,
იყო სიკვდილი მომავლის, მიზნებისა და პერსპექტივების,
და მაშინ, როცა მათი გზები საბოლოოდ გადაიკვეთა,
იყო ხმა წარსულიდან, რომ გზა გააგრძელა ოთხმა,
და ამ ოთხიდან ერთი პოეტი იყო, ხოლო დანარჩენ სამს არასოდეს დაუწერია ლექსი.

ორი მდინარე

დიდი ხნის წინ, როცა ჩემს ქალაქში წითელი მდინარე ჩამოედინებოდა,
როცა ღამესთან ერთად ვიძინებდი,
მას შემდეგ, რაც დილა ვარსკვლავისღილიან პიჟამოს გაიხდიდა,
შემიყვარდა შემოდგომის ხორბლისფერთმიანი გოგო,
რომელიც იმ ქალაქში ცხოვრობდა, სადაც თეთრი მდინარე ჩამოედინებოდა.

მახსოვს, მისი თვალები დილის ბალახივით მწვანე იყო,
ამბობდა, წვიმაში შუადღის ზღვასავით ლურჯიაო,
მე არც ზღვა მქონდა ნანახი, და არც მას შევხვედრივარ წვიმიან ამინდში.
ჩვენ ვსეირნობდით თეთრი მდინარის ნაპირებზე,
და ყოველთვის, როცა ერთმანეთს ვცილდებოდით,
მე ხელთათმანებს ვუტოვებდი, იგი თავსაფარს გამატანდა,
რომ ერთმანეთის სუნი გვესუნთქა ღამით, მარტო დარჩენილებს.
მაშინ კი, როცა წითელი მდინარის პირას ვსეირნობდით,
მე ვუბრუნებდი მის თავსაფარს, ის ხელთათმანებს მიბრუნებდა
და ისევ ვავსებდით მათ ჩვენ-ჩვენი სუნით,
თეთრი მდინარის პირზე, განშორების დროს გასაცვლელად.
ერთ დღეს კი, როცა შევამჩნიე, რომ ჩემს ქალაქში მდინარის ფერი იყო თეთრი,
და მან შეამჩნია, რომ მისი მდინარე სისხლივით წითელი იყო,
ვთქვი, რომ ჩვენი ქალაქის მდინარეებმა ადგილები

გაცვალეს.
მან კი მითხრა, რომ არ გაუცვლიათ ადგილები, უბრალოდ იცვალეს ფერი,
მერე მე ისევ გავუმეორე, რომ მდინარეებმა ადგილები გაცვალეს,
ის კი დაჟინებით მიმტკიცებდა, რომ მათ უბრალოდ იცვალეს ფერი,
მერე გავბრაზდით ერთმანეთზე, და იმის მერე აღარასოდეს შევხვედრივარ.
ყოველთვის, როცა მასზე ვფიქრობდი, მივდიოდი ჩემს მდინარესთან,
და ვუყურებდი როგორ უცვლიდა მის მდინარეს ადგილს.
ყოველთვის, როცა გავახსენდებოდი, მიდიოდა მის მდინარესთან
და უყურებდა, როგორ იცვლიდა ფერს მისი მდინარე.
სინამდვილე კი ასეთი იყო:
არ არსებობდნენ თეთრი და წითელი მდინარეები,
ისინი არც ფერს იცვლიდნენ და არც ადგილს,
უბრალოდ ჩვენ დავიღალეთ ერთმანეთით,
და სულ ეს იყო, სულ ეს!

ფარანი
ფეხები რომ ჰქონდეს,
აითრევდა ფეხებს ფარანი
და დაკოჭლებამდე ათრევდა ჩრდილოეთისკენ.

ახლა ღამეა.
ფარანმა ოთხი პეპლით მეტი მოკლა გუშინდელზე
და კაბარე "ფარვანას" უნათებს კარს.

ბებერი ჩაკი ფარნის მეგობარია,
მას უფასოდ ეკუთვნის ფარვანაში თუთის არაყი,
მაგრამ იგი არ არსებობს.

მეორე დილით,
ჩაკის შვილმა, ამბობდნენ, ფარანი გატეხაო.
არცერთი პეპელა არ მომკვდარაო იმ დღეს,
ისიც კი თქვეს, ფარნის დაბადების დღე იყოო მაშინ.

პომიდვრის გამყიდველი

დასვრილი სახით,
მამის გამონაცვალი სპორტული სამოსით,
თვალებში ჩადებული მუქი ფერის ლინზებით,
ყოველ დილით გავდივარ სახლიდან და პომიდორს ვყიდი.
საუბედუროდ, ჭილოფის ქუდი ძალზედ უხდება ჩემს ხორბლისფერ თმებს,
ჩემს ხორბლისფერ თმებს მზეზე გახუნებაც უხდება,
ამის გამო ორი ზომით დიდი კეპი მახურავს,
ნიუ-იორკის ინიციალებით,
და შიგ შეკეცილი ჩემი თმების გადმოცვენის ყოველდღე მეშინია.
ასე ჩაცმული, ყოველ დილით გავდივარ სახლიდან,
მივდივარ ბაზარში, დახლს ვაღებ და პომიდორს ვყიდი.
ვუფრთხი ნაცნობებთან საუბარს,
ვცდილობ, მალე მოვიშორო ყველა თავიდან და იაფად ვაძლევ პომიდორს,
მახარებს უცხოებთან ურთიერთობა,
რადგან არასდროს უკითხავთ ჩემი მისამართი,
არ გამოუთქვამთ შინ გაცილების სურვილი,
და არასოდეს აღუნიშნავთ
რომ ისე ლამაზი ვარ, პომიდორს კი არ უნდა ვყიდდე,
შინ უნდა ვიჯდე და ველოდო ისეთ ქმარს,
რომელიც ჩემს ცხოვრებას უზუნველყოფს.
სხვა გოგოების მამები თუ ლამაზად ჩაცმას უშლიან შვილებს,
მე მამაჩემი მეუბნება, რომ უფრო გამომწვევად ჩავიცვა.
მეუბნება რომ მოვიცილო პროვინციული კილო,
რომელიც პომიდორის გაყიდვის დროს ავიკვიატე,
მეუბნება, რომ ვიყო უფრო თავაზიანი,

განსაკუთრებით ჩემი ტოლი, და ცოტა დიდი ბიჭების მიმართ,
თითქოს ის ხურდა ვიყო, რომელიც პირველ მუშტარს ვერ დავუბრუნე
და გვერდით მყოფი გამყიდველისაგან ვინათხოვრე დილით,
თითქოს ის ყუთი ვიყო, რომელსაც პომიდორით სავსეს ვატან მუშტარს,
ის კი სანაცვლოდ უპომიდოროს მიტოვებს,
თითქოს ის სპორტული ზედა ვიყო, მამაჩემისგან რომ ვნათხოვრობ ყოველდღიურად,
არადა ბევრი ოცნებაც კი არ გამაჩნია,
მართლა მინდა რომ დავიხურო ჭილოფის ქუდი,
ჩავიცვა ჩემი ასფალტისფერი კაბა,
ვიყურებოდე ჩემი ცისფერი თვალებით და ღიმილს ვჩუქნიდე ყველა მუშტარს,
და ამ ყველაფერს ვაკეთებდე შიშის გარეშე,
შიშის, რომელიც წყევლასავით გვტანჯავს გოგოებს,
შიშის, რომელიც აგზნებული თვალებიდან მოდის,
შიშის, რომლის საბაბი სულაც არ არის უსაფუძვლო,
სწორედ ამიტომ, ყოველ დილით, დასვრილი სახით,
მამის გამონაცვალი სპორტულებით და ორი ზომით დიდი კეპით,
გავდივარ სახლიდან, ვაღებ დახლს და პომიდორს ვყიდი.

ფარანი

ფეხები რომ ჰქონდეს,
აითრევდა ფეხებს ფარანი
და დაკოჭლებამდე ათრევდა ჩრდილოეთისკენ.

ახლა ღამეა.
ფარანმა ოთხი პეპლით მეტი მოკლა გუშინდელზე
და კაბარე "ფარვანას" უნათებს კარს.

ბებერი ჩაკი ფარნის მეგობარია,
მას უფასოდ ეკუთვნის ფარვანაში თუთის არაყი,
მაგრამ იგი არ არსებობს.

მეორე დილით,
ჩაკის შვილმაო, ამბობდნენ, ფარანი გატეხაო.
არცერთი პეპელა არ მომკვდარაო იმ დღეს,
ისიც კი თქვეს, ფარნის დაბადების დღე იყოო მაშინ.

ნენე გიორგაძე

ანთოლოგია

სიტყვა “ანთოლოგია” კარგად იყიდება.
აი, მაგალითად, “სასიყვარულო პოეზიის ანთოლოგია”.
ნუ ფოკუსირდები სიტყვაზე “სასიყვარულო”,
მას ადვილად ჩაანაცვლებს მრავალი სხვა,
გასაღებია “ანთოლოგია”.
რატომ? იავნანასავით ტკბილი სიტყვაა.
აი, წაუმღერე და ნახავ.

ხიდი

არა აქვს სახლი
ქალს
და აგერ მთელი ცხოვრება
ლექსებსა და ბავშვებს შუა
გადაჭიმულ
ბეწვის ხიდზე
ჯამბაზივით გადი-გამოდის

საშობაო

მოკრივეების სავარჯიშო მძიმე ტომარა
საშობაო საჩუქრებად ჩამოგვირიგე ყველას, ღმერთო!
ყველაგან დავკიდებთ,
სადაც ხელი მიგვიწვდება ადამიანებს,
რომ მუშტებში მომწყვდეული ყოველი სიტყვა
მას მოვარტყათ, მათრახივით მოღერებული ყოველი მზერა
მას დავახალოთ. ყველგან დავკიდებთ –
პოლიციის გაუმჭვირვალე შენობებში,
ბანკებსა და ეკლესიებში, ქუჩებსა და ტროტუარებზე
და მთელ ქალაქს საახალწლოდ
მოკრივეების სავარჯიშო ტომრებით მოვრთავთ...

შობის ღამეს სასწაული ხომ უნდა მოხდეს?
ბავშვებს გაანდე, ღვთისმშობელო,
ღამით ფიფქებზე ჩამომსხდარი ანგელოზები
სულის ერთი ჩაბერვით როგორ გადააქცევენ
მძიმე ტომრებს მსუბუქ ბუშტებად

წერტილი

როცა ლექსი ჩამიმთავრდება,
ამ წირპლიან წერტილს არა ვსვამ,
კარს ღიას ვტოვებ,
რომ ყველაფერი მერე დაიწყოს, დასასრულიდან

სევდიანი სიმღერები

#1

“კრესტიკი” და “ნოლიკი”
ერთმანეთს ეჯიბრებიან
კვადრატულ სევდაში
ნიანგი გენას უჯრებიანი რვეულის გვერდზე.
საკუთარ თავთან თამაშს ასეთი უპირატესობა აქვს:
წააგებ და მაინც მოგებული რჩები, –
ხმამაღლა ამბობს გენა.
თან არ იმჩნევს, რომ საპირისპიროც სიმართლეა

#2

თეფშიდან
თევზის ორი თვალი მომშტერებია.
ვჭამ თევზს და ბრინჯს.
ბრინჯში ვპოულობ
შენს ორ თვალს...
სუნი ჩინური რესტორნის
ცხელ ზაფხულის დღეს შეეწება

#3

ოთახი-ილუმინატორი.
წყვილი ყვითელი მსხალი.
ვარდის ფურცლებში შეხვეული
ფერმკრთალი სიტყვები.
შავი ბილიკი მთავრდება იქ,
სადაც სძინავთ ვარსკვლავებს

#4

ისე უეცრად ამოტივტივდა
შენი სახელი ჩემს მეხსიერებაში,
თითქოს ვიღაცამ გამაწნა სილა და
მაგრძნობინა ჩემი სიმარტოვე...

#5

შევისუნთქე ქალაქის რკინასავით მყარი ჰაერი
და მაშინვე უკან ჩავყვინთე
ფოსფორისფერი ნაპირების სიფაფუკეში,
სადაც ამორფულ წყალში დაცურავენ
ლამაზქერცლიანი პლანეტები
და კოსმონავტი ანგელოზები

#6

ირგვლივ ყველაფერი წითელია.
ცეცხლი ცივია,
სახლი – ჰორიზონტალური,
ქალაქი მოტორტმანე გემია
და გემი – მდუმარე თვიმფრინავი,
რომელიც ღრუბელივით უსასრულოდ იცვლის ფორმას...
ჩემი კლავიატურა მდინარეა,
რომელიც ჯიუტად მიედინება ერთი მიმართულებით
ქალაქში – სადაც მილიონობით ადამიანს არ შეერევი,
სადაც ფეთქავს თვითმფრინავის პულსი ღამეში,
სადაც მთვარე შენი შავ-თეთრი ფოტოს ჩარჩოა

#7

ბავშვების ღია სამყაროში
მუქი დიდები ვერ შედიან –
ყველა კარი უნდა გააღონ,
რომ გაღიავდნენ

#8

ბავშვის საჩხარუნო სათამაშოში
დახტიან პლასტმასის გულები
სანაგვიდან გამოქცეული ემბრიონების.
სათამაშო ბავშვს ეუბნება,
არ ისწავლოს დიდების ენა,
უსმინოს მხოლოდ იმას,
რაც შიგნითაა და არ ჩანს

#9

ბავშვობის ქუჩაზე დგას სახლი,
როგორც დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ადამიანის
შავ-თეთრი ფოტო – წიგნის თაროზე

#10

სევდა – ფუმფულა ლეკვია,
რომელიც გოგონას კალთაში უზის
და ხელისგულს ულოკავს.
“ჯერ პატარაა და საყვარელი,
გაიზრდება და ავი გახდება,
მერე დაბერდება და დაცვივდება ფაფუკი ბეწვი…
ნეტა, როგორია მოხუცი, ბეხრეკი, ვეტერანი სევდა?”
– ფიქრობს ქალი.

#11

Cut and Paste სიყვარული
ერთი უჯრიდან მეორეში
და ორიგინალის ცუდი ასლი გამოვიდა.
ისევ უკან დავაბრუნებ-მეთქი, ვიფიქრე,
მაგრამ არ მომყვება ჭირვეული ბავშვივით.
აღარ ვიცი, რა ვუყო,
ვეღარც გარეთ ვაგდებ, ვეღარც ვიშინაურებ.

გზას და გზაჯვარედინს
ერთი და იგივე ფეხები ტკეპნიან.

ეკა კვიციანი

ხსოვნის ლუკმები

1

“ჩემი ყოველდღიურობაა
ჩემი პოეზია”
ეს სიტყვები მაშინ ასე
იკითხებოდა: –
“აქ ვერ შემოხვალ!”
ამაოდ ვუარე გარს,
ერთი ბზარიც კი ვერ ვუპოვე
გულგრილობის კედელს,
საიდანაც ამ პოეზიაში
შემოვაღწევდი...
მას შემდეგ გზაში ვარ
და თავს ვაჯერებ,
რომ მდინარეებს
მივყვები აღმა.
სინამდვილეში კი
ჩემივე თავის ირგვლივ
ვტრიალებ
და ხან კბილებით,
ხანაც ზურგით
დავათრევ უშენობას –
საკუთარ,
პოეზიადქცეულ
ყოველდღიურობას...

2

დილის სისხამზე
ხმაურისგან დამფრთხალი ძილივით
შევიბრუნე მარტოობა.

ახლა დროდადრო
ნესტიანი სიზმრები
გამომაქვს გარეთ
და თეთრ ფურცლებზე
გასაშრობად ვფენ.
ამ ძილ-ღვიძილში
მათი ადგილიც კი აღარ არის...

3

იხუმრა ღმერთმა, გაიარა
გულის ფიცართან,
მის ნაკვალევზე ერთი
სიტყვა ამოიზარდა.
ჯერ ხმაური და
უცხოობის ერქვა
თავზარი,
მერე ქვად იქცა,
ადგილიდან ვეღარ
დავძარი.
ის დარჩა ჩემში –
დამარცხების ზარიც და
ტაშიც,
და ლურჯად იწვის,
გაბლანტებულ
დუმილის ტბაში...
ამ დუმილიდან შენს
სიზმრამდე თუ ვეღარ
მოვალ,
გადმოაბიჯე უსარგებლო
სიტყვების გროვას,
შეხედე, როგორ
ძლიერდება ცეცხლი

შებერვით,
იგრძენი სუნი
ბიბლიური
ნელსაცხებელის.
რომელიც ახლა,
განურჩევლად დარის და
ავდრის,
ამ სიტყვისაგან
ალმოდებულ სხეულზე
ამდის...
იქნებ, ამოხსნა,
სიყვარული როგორ
დაერქვა,
გზაარეული, უხილავი
ღმერთის ნატერფალს...

4

მე შენზე ვწერდი.
ლურჯი, უძირო
სამელნედან
წვალებით ამომქონდა
სიტყვები,
მხოლოდ შენთვის რომ
ლაპარაკობდნენ.
მაგრამ ისინი გაშრნენ და
გახმნენ,
ფორმა და ფერი ისე
იცვალეს,
ვერცერთი მათგანის
ამოცნობა
შენ ვერ შეძელი.
დიდია ხანია, აღარ ვიცი,

სად დავმალო სველი
თითები,
რომ ლურჯი ტბისკენ არ
გამექცნენ
უცხო სიტყვების
ამოსაყვანად...
დიდი ხანია,
ვერიდები
ლურჯ სამელნეში
თითების დასვრას –
ვაითუ, დაგივიწყეს.
ვაითუ, სხვისთვის წერა
ისწავლეს...

5

განა მართლა სახადია
სიყვარული,
რომ უმღერო,
წითელი ბაფთებით
მორთო,
მოიმადლიერო და
თავის გზაზე გაუშვა.
ან ხანძარი –
მოგეკიდოს და ჰა და ჰა –
დაგწვას.
ის მარცვალია,
ქარებმა რომ წამოიღეს
ჯოჯოხეთიდან
მარტოობაში
ჩასათესავად.
რომ იქიდან ლურჯად
ამოიეკლოს,

მარადიული ტანჯვისა
და სიამის თავთავებ
გამოსხმული...
ყველა კარი უნდა
დაგმანო,
ყველა დარაბაც –
როცა ასე ნოყიერია
მარტოობა,
ქარები კი საშიშად ქრიან –
ზენაც და ქვენაც...

6

იმდენჯერ მოვთხარე
საფლავის ლოდი,
რამდენჯერაც ჩემი
მკვდარი მომენატრა.
მოვგლეჯდი,
გადავაგორებდი და
ჩავხედავდი.
დღეს ცარიელი დამხვდა
საფლავი.
მკვდარი გაპარულა.
დგას ბნელი ორმო და
ამომყურებს –
დიდი, მძიმე და შავი
წერტილი,
ადგილიდან რომ ვერაფრით დაძრავ...

7

რა ლამაზად
ამოუშენებიათ სახლი
ახლიდან.

რა ლამაზად
გადაუღებავთ მამაჩემის
ნათითურები.
რა ლამაზად წაუშლიათ
ჩემი ბავშვობა.
რა გულმოდგინედ
ამოუყვანიათ
უცხოობის გლუვი
კედლები
ჩემი სიზმრების
ნანგრევებისგან...

3. პროზა

რატი რატიანი

თრილერი

ვასტერვიკში, პატარა შვედურ ზღვისპირა ქალაქში ბევრი არაფერია სანახავი, თან ცივი ქარი ქრის, ამიტომ პირდაპირ სადგურში მოვედი და მოსაცდელში მოვეწყვე. ავტობუსის გასვლამდე მთელი 4 საათი იყო დარჩენილი. მოსაწევად გამოსული კონდუქტორს გამოველაპარაკე და ერთი-ორი გემრიელი ტყუილი ჩავუკაკლე. რას წერო? ურბანულ ლიტერატურას-მეთქი, ხომ ვერ ვეტყოდი, დეტექტივებს-მეთქი – მოკლედ და მარტივად. რამდენი წიგნი გაქვს გამოცემულიო და ფართო მკერდი ქარს მიუშვირა. ღიმილით, მაგრამ სიძულვილით გულდასიებულმა, რომ ამ საძაგელი, სუსხიანი ქარით ვიღაცა ისე ტკბება, თითქოს ზაფხულის გრილი სიო იყოს, სამი-მეთქი, ვუთხარი. კარგად იყიდებაო? ბესტსელერებია, ხალხი სიამოვნებით კითხულობს დეტექტივებს-მეთქი.

მერე ავტობუსებისკენ გაძუნძულდა და დავბრუნდებიო, დამიბარა, მაგრამ მე თბილ მოსაცდელს შევაფარე თავი.

ცუდი აზრი არ უნდა იყოს დეტექტივის დაწერა. სულ მინდოდა.

(ამასობაში უკვე სამი საათია ქალაქში, ხალხში ვარ და ვცოცხლდები, მისიკვდილებული ვამპირივით. თითქოს დიდი ხნის შიმშილის მერე ვიღაცას სისხლი გამოვწოვე).

ჩემი აქ ყოფნიდან იქნებ თრილერი მაინც გამოდნეს. მარტოხელა მწერალი ქალი ჩადის ღვთისგან და კაცისგან დავიწყებულ სოფელში რომანის დასამთავრებლად. მასპინძელი მაღალი, გულისრევამდე სიმპათიური ტიპია, ჟურნალის ყდიდან გადმოსული. რა შეიძლება ამაში იყოს საშიში და იდუმალი?

მაგრამ ქალი მალე მარტო რჩება უზარმაზარ სახლში, რომელიც ადრე ეკლესია ყოფილა. დიდ დარბაზში პასტორის მოაჯირიანი კათედრაა, კათედრის თავზე კი დიდი, მომრგვალებული ასოებით გამოყვანილი: გწამს ძე ღვთისა?

ფსიქოლოგიური ტრილერი? ჯანდაბა.

ფანჯრის მიღმა გადაშლილ ველზე ცხვრები ბალახობენ. ველების მიღმა ტყეებია და კანტიკუნტად ხეებს შორის ამოწვერილი სახლების კრამიტის სახურავები მოჩანს.

მართალია, გზის პირას, 50 მეტრში, ფერმერი კალე ცხოვრობს ტაილანდელ მეგობარ ქალთან ერთად, მაგრამ მისი ხსენება არ ღირს. იმიტომ რომ, ჯერ ერთი, გინდ ყოფილა გინდ არა. მეორეც, მთელ იდუმალებას წყალში ჩამიყრის. რა ტრილერი შეიძლება გამოვიდეს სიუჟეტიდან, სადაც მეზობლად სრულიად ჩვეულებრივი კალე ცხოვრობს.

უცნაურობები იმით იწყება, რომ სახლში არცერთი კარი არ იკეტება, სამი შემოსასვლელი კარის ჩათვლით. ქალი სკამებით ცოდვილობს კარი ჩახერგოს, ბოლოს ჩანთის ზონარს ახვევს სახელურს და კიბის მოაჯირზე ამაგრებს.

პირველივე დღეს ჩაუჯდება რომანს, მაგრამ აზრებს თავს ვერ უყრის. მაშინ სახლის თვალიერებას შეუდგება, ყველა კუთხე-კუნჭულში შეიხედავს. საკუჭნაო ვადაგასული, ათი წლის წინანდელი პროდუქტებით და ათასი წვრილმანით არის სავსე. რატომ უნდა გააფუჭო ამდენი პროდუქტი, როცა ჯერ რაც გაქვს, იმას ვერ ერევი – უკმაყოფილოდ აქნევს თავს ქალი.

რომის, ვისკის და სხვადასხვა სასმელის სავსე ბოთლებით გამოვსებულ პატარა კარადასაც პოულობს. დიდი დარბაზი,

სადაც ნახევარი საუკუნის წინ პასტორის ქადაგების მოსასმენად იკრიბებოდა ხალხი, ჟურნალის ყდიდან გადმოსულ მასპინძელს სპორტულ და გასართობ ადგილად უქცევია. შუაში ჩოგბურთის სათამაშო უზარმაზარი, მწვანე, მახინჯი მაგიდა დგას. სადაც არ უნდა გაიხედო, ეს მაგიდა გეჩხირება თვალში.

ერთი კუთხე დიდ, ბალიშებიან დივანს, ტელევიზორს, დივიდი ფლეიერს, დისკებს, ვინილის ფირფიტებს და ჟურნალების სტენდს უკავია. ამ კუთხეში ყველაფერია, ჟურნალების ყდიდან გადმოსულმა ხალხმა საღამოობით რომ დაისვენოს, ფილმს უყუროს, დივანზე ფეხებმოკეცილმა მოდური გამოცემები ათვალიეროს, მუსიკას უსმინოს, ვისკი წრუპოს.

კათედრის პირდაპირ, დარბაზის მეორე ბოლოში დიდი, ძველი შავი ღუმელია, რომელსაც ალბათ ეკლესიაში შემოსული, შემცივნებული მორწმუნეები ეფიცხებოდნენ ხოლმე. კიდევ ერთი კუთხე ტრენაჟორებს უჭირავს.

ქალი მეორე საძინებელშიც შეიხედავს. არაფერი საინტერესო – ლოგინი, ტანსაცმლის კარადები, მაღვიძარა.

დარბაზი სახლს ორად ჰყოფს, ერთ მხარეს სამზარეულოა, სადაც ქალი თავის კუთხეს მოიწყობს, დარბაზი მისთვის მეტისმეტად დიდია და აზრების მოკრებაში ხელს უშლის. სამზარეულოს თავზე საძინებელია, რბილზე რბილი ლოგინით. ისეთი რბილით, რომ თავის მაგარ საწოლზე წოლას მიჩვეულ ქალს ხერხემალს ატკიებს.

ჟურნალის ყდიდან გადმოსულ ტიპს მაცივრის კარზე ცოლთან ერთად გადაღებული სურათები მაგნიტებით მიუკრავს. ცოლიც ჟურნალის ყდიდანაა გადმოსული. ნამდვილი ხალხი არც გეგონება. ფეხსაცმელების კარადა

სავსეა სპორტული ფეხსაცმლით, სახლის მეორე ფრთაში, სხვენში ჩოგნები და სპორტული აღჭურვილობა ყრია.

ქალს, ამ ყველაზე არასპორტულ არსებას, ტანში ცრის – რატომ უნდა დაატანო კუნთებს ძალა, როცა შეგიძლია სავარძელში მოკალათებულმა ტვინი ავარჯიშო.

აქაურობა გამსჭვალულია ჯანსაღი ცხოვრების წესით, სავსეა ფერადი, პრიალა ჟურნალებით და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებით. პირდაპირ სათრილერო ადგილია. ღამე რომ ჩამოწვება, ძველი სახლი-ეკლესია უცნაური ხმებით ივსება. იქნებ კათედრის ქვეშ, სარდაფივით ემბაზში მონათლული მორწმუნეების სულებია, ჯანსაღი ცხოვრების წესს დიდად რომ არ დაგიდევდნენ.

პირველ ღამეს ქალი თავზე საბანწაფარებული იძინებს. ძილის წინ სარკეში ყურებისას, უზარმაზარი, ავბედით-მწვანედ მანათობელი თვალები აშტერდება. სახის დანარჩენი ნაკვთები თითქოს გამქრალა და მარტო ეს თვალები მისჩერებია მუქარით. როგორ შეიძლება საკუთარმა თავმა ასე შეგაშინოს? ტყუილად კი არ უთხრა ერთმა ყოფილმა, მეშინოდა ძილში ჩემთვის ყელი არ გამოგეჭრაო.

უცნაურია, არადა, ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება სძულს.

მეორე დღეს ქალს შვიდ საათზე ეღვიძება. მაღვიძარას გარეშე ასე ადრე დიდი ხანია არ გაღვიძებია. ნორმალურ ყავას მაინც დალევს, იმ გაუგებარი ნაყენის მაგივრად, მისი უბნის მაღაზიაში რომ იყიდება, ათასობით კილომეტრის მოშორებით.

მერე დაჯდება და... არაფერი. თავში ერთი აზრიც არ უჭაჭანებს. რომანის პერსონაჟებიც ათასობით

კილომეტრის იქით დარჩნენ, პეტერ შლემილის ჩრდილივით, ეშმაკს ფორტუნატის ქისაში რომ გაუცვალა. აქ მარტო მიხატული ჩრდილებია, ცვილის ფიგურები.

ყოველ დილით ქალი სამზარეულოს ფანჯარასთან, სავარძელში ჯდება და კათედრის თავზე წარწერას შეჰყურებს: გწამს ძე ღვთისა?

მისტიკური ტრილერი?

უცებ საკუთარ თავს ხედავს კათედრაზე, 14 წლისას. თავი გადაპარსული აქვს. სულ არ სწამს საკუთარი თავის.

ზის და საათობით აიძულებს თავს ორიოდე წინადადებას დაწერას.

წერა კი არ ეზარება, აქაურობა აღიმართა უჩინარი კედელივით მასსა და პერსონაჟებს შორის, სათითაოდ ადიან კათედრაზე, უპოვარები, დაღლილები, სასოწარკვეთილები, ავტორივით ნახევრად შეშლილები და უსიტყვოდ დასცინიან, რომ აქ, ამ თბილ ბუდეში ჩამოვიდა მათზე დასაწერად, მერე ტუჩებს მაგრად კუმავენ და ისევ ცვილის ფიგურებს ემსაგვსებიან.

რასაც ეს ქალი წერს, შეიძლება საცოდაობად, გადაჭარბებულად, ძველმოდურად მოეჩვენოთ ამ მშვიდ სოფელში, ამ მშვიდ ქვეყანაში, სადაც კარგა ხანია უცხოა შიმშილი.

ჟურნალის ყდიდან გადმოსული მასპინძელი კი პირველივე გვერდზე მთქნარებას დაიწყებს.

ბოლოს ნებდება და მზიანი დღით დასატკბობად სახლის უკან, პატარა ტერასაზე გადის. ცა, რომლის ქვეშაც “ლიოვენშოლდების საგის” ავტორი წერდა, უჩვეულოდ დაბლაა ჩამოწოლილი, ცოტაც და თხელი ღრუბლები

არყის ხეების კენწეროებს წამოედებიან. მიწიდან ვაშლს კრეფს და ცხვრებს მავთულის დაბალი ღობის მიღმა უყრის. ღობეში დაბალი ძაბვის დენი გადის და ცხვრებს მინდვრიდან გასვლის საშუალებას არ აძლევს.

იმ საღამოს, აბაზანაში ფერდზე მიკრული ტკიპა შეამჩნია და შიშისგან იღმუვლა. ალბათ მაშინ ააღოღდა, ხბოსავით რომ გორაობდა ბალახებში – მართალია, მიწასთან ნაადრევი კონტაქტი სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა (მილულული თვალები, გვერდებში შერჭობილი ბალახის ღერები და მიწაზე ჩამოწოლილი ცა).

კანში თავით ჩაფლული ტკიპას დანახვაზე გული კინაღამ აერია. წარმოიდგინა, როგორ შეუძვრებოდა მწერი სხეულში, იქ ისეირნებდა, გამრავლდებოდა და შიგნიდან გამოჭამდა. მერე ქალი დაიშლებოდა, ტკიპებად გაიფანტებოდა, როგორც განრისხებული კალიფსო გაიფანტა ზღვის კიბორჩხალებად "კარიბის ზღვის მეკობრეების" რომელიღაც სერიაში.

"კანთან რაც შეიძლება ახლოს, მწერს წვეტიანი პინცეტი წავავლოთ და ამოვწიოთ. არავითარ შემთხვევაში მოწვა არ სცადოთ, თორემ ინფექცია ნამდვილად შეაღწევს კანში. შეიძლება მწერის ნაწილი ნაკბენში ჩარჩეს. დარჩენილი ნაწილის ამოღება პინცეტით ან სტერილური ნემსით სცადეთ, თუ არაფერი გამოვიდა, ნაკბენს ნუღარ გაიღიზიანებთ, თავისით მოძვრება. მწერი სტერილურ კონტეინერში მოათავსეთ გამოკვლევისთვის" – ფრჩხილით გააფთრებული იძრობს წყეულ სისხლისმწოველს და პირდაპირ ონკანში რეცხავს. ნაკბენს ჯერ ნემსით იჩიჩქნის, მერე ცხელი დანით იწვავს, ისე რომ ტკიპის პირი საფუძვლიანად გაღიზიანებულ ჭრილობაში იკარგება.

სოდერბერგის “დასნებოვნება”?

ტკიპა რამე ახალ დაავადებას გადასდებს და ქალი ურჩხულად გადაიქცევა? საინტერესოა, ბაყაყების პრინცი რომ მოეჯადოებინა ვინმეს, რად გადაიქცეოდა?

ახალი გასართობი ნახა – ზის და ტკიპის ნაკბენებს გუგლავს. ტკიპა ლაიმის და ტკიპისეული ენცეფალიტის გადამტანია. მეათასედ კითხულობს ლაიმის პაციენტების ისტორიებს და სიმპტომებს და ეჩვენება, რომ ხან ერთი სჭირს, ხან მეორე. შიში რომ გაუვლის, გამოგონილი ტემპერატურა და სახსრების ტკივილიც ქრება ხოლმე. ერთადერთი ხარის თვალისებრი ლაქები ვერ დააბრალა თავს – გუგლის სურათებზე ეს ლაქები დიდია და წითელ-ყვითელი, ვერ მოიგონებ.

ამიერიდან გარეთ ფეხისწვერებზე ივლის. ეზოდან შეშას რომ შემოიტანს, მთელ სხეულს გულმოდგინედ დაითვალიერებს, მერე კი შხაპში დიდხანს იბანავებს – ტკიპებს მეორე შანსს არ მისცემს. ტყეში სასეირნოდ წასვლა ისედაც ეზარებოდა, ახლა საერთოდ გადაიფიქრა.

ვინ თქვა, რომ რახან აქაა, აუცილებლად უნდა გაისეირნოს ტყეში? აქ სასეირნოდ არ ჩამოსულა. საერთოდაც, ქალაქის ვირთხაა და ბუნების ხედები, სურათებზე იქნება თუ საკუთარი თვალით ნანახი, მისთვის სულ ერთია. ჯერ არ მიუღწევია იმ სრულყოფილებამდე, რომ ხეებს ელაპარაკოს და მიწა კოცნოს. რომ არაფერი ვთქვათ ათასი ჯურის მწერზე, ამ ბუნებაში ყველგან რომ დაფუთფუთებენ და ერთი სული აქვთ, მარწუხები ჩაგასონ და რამე საშინელი დაავადება გადაგდონ. ამ მხრივ სურათები ნამდვილად ჯობია, უსაფრთხოა.

დილით, მოსაწევად გასული, კარის მინაში პატარა კამერით საკუთარი თავის გადაღებას ცდილობს. პირველივე ფოტო მშვენიერი გამოვიდა – კარის ძველი ხის ჩარჩო, მინაზე არეკლილი ვაშლის ხე, მინის მიღმა ბუნდოვნად სამზარეულოს ონკანიც კი მოჩანს, კამერის ადგილას – პატარა, ნათელი ლაქა. ერთი პრობლემაა – თვითონ ქალი არ არის ფოტოზე. ელვა ყოფილა ჩართული, გამორთავს და თავიდან გადაიღებს. იგივე. ქალის ნასახი არ არის, თითქოს საერთოდ არ არსებობდეს.

თავს დადებს, რომ ჯერ კიდევ გუშინ არსებობდა.

იმიტომ რომ გუშინ ქალაქში პროდუქტების საყიდლად იყო წასული და ზურგჩანთით, ავტობუსით მოათრია მთელი კვირის საჭმელი. გზაში სომალელ ემიგრანტს გამოელაპარაკა. 22 წლის ფაისა წუხდა, არჩევნებში რადიკალმა მემარჯვენეებმა გაიმარჯვეს და ემიგრანტებს შავი დღე დაგვადგებაო. კიდევ წუხდა, ვის უნდა მისთხოვდეს ქალი, სად უნდა იპოვნოს კაცი, საღამოს დივანზე რომ არ გაიშხლართება და მომსახურებას არ მოგთხოვსო. გზაში ვიღაცამ დაურეკა და ფაისა კარგა ხანს ეკამათებოდა გაცხარებული. შეიძლება მომავალი საქმრო იყო და ოჯახური მოვალეობების განაწილებაზე აქედანვე ვერ თანხმდებოდნენ.

ფაისა ავტობუსიდან საავადმყოფოსთან ჩავიდა, სადაც ექთნის პრაქტიკას გადიოდა, და ხელი დაუქნია დამშვიდობებისას.

ასე რომ გუშინ ნამდვილად არსებობდა.

კამერას ექნება რამე ფუნქცია ჩართული, იმიტომ რომ ფოტოებზე ქალი არც აბაზანის და არც საძინებლის სარკეებში არ ჩანს. საბედნიეროდ, თვითონ მაინც ხედავს

თავის გამოსახულებას, ასე რომ გაქრობაზე ლაპარაკი ზედმეტია. თანაც შეუძლებელია ადამიანი არ არსებობდეს და ასე ეშინოდეს. ღამღამობით ეშინია ხოლმე, ფანჯრებს მიღმა სიბნელე რომ ჩამოწვება და საშიში მწერები მინებზე აფხაჭუნებენ, დღისით უწყინარი ვარდის ბუჩქი კი გრძელხელება ურჩხულად იქცევა და ფანჯრებს ეხლება. ქარი გამუდმებით ზუზუნებს და ძველი სამლოცველოს ხის ფიცრებს ჭრიალი გაუდის. სამზარეულო ნათელი და თბილია, სამაგიეროდ დარბაზიდან, ოთახებიდან, საკუჭნაოებიდან საშიში სიბნელე მოჟონავს, ფუტურო სიბნელე და ქალს ეს სიცარიელე უზარმაზარი ობობასავით ისრუტავს.

რას არ მისცემდა ახლა, თავის პატარა, ნაქირავებ სოროში რომ იყოს ათასობით კილომეტრის იქით, თავის შვილთან და კატასთან ერთად, ჭუჭყიან, ხმაურიან, უჟანგბადო ქალაქსა და ქვეყანაში, რომელსაც ნახევრადშეშლილი ორკები თავის ნებაზე მართავენ და გამვლელებსაც კი ერთმანეთი სძულთ.

განთიადებზე, ტბებსა და ცის ლაჟვარდზე ლექსებს რომ წერდეს, მისი აქ ყოფნა კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ ქალის ტექსტებს სწორედ იმ ქალაქის სიბინძურის, შეშლილობის სუნი უდის, რომელსაც პირწმინდად ანიავებს აქაური სუფთა ჰაერი.

ყოველ დილით ქალი მტკიცე განზრახვით ჯდება ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელში, ყავადანს გვერდით იდგამს და წინა დღეს დაწერილს კითხულობს.

ამ აუტანელ სიჩუმეში კიდევ უფრო მჭახედ ისმის სიტყვების რახარუხი. თითქოს ახალბედა პოეტი იყოს და მიბნედილი, მოგუდული ხმით უკითხავდეს გულისმომკვლელ ლექსებს “ძვირფას მარიამს”.

მახეშია გაბმული, დასჯილი ბავშვია, უგულო მშობლებმა სხვენზე რომ ჩაკეტეს, დაავიწყდათ და სტუმრად წავიდნენ. ფული რომ ჰქონდეს, ახლავე სხვა ბილეთს აიღებდა და უკან გაფრინდებოდა. ასე ჯიბეგაფხეკილი ფეხსაც ვერ მოიცვლის. თვის ბოლოს დაჯავშნილი ბილეთიც კი არ უყიდია თავისი ფულით. თვის ბოლომდე თითქმის მთელი თვეა. ცოტა ნაკლები.

ირონიაა, მაგრამ აქ მარტო იმიტომ ამოყო თავი, რომ ვიღაცას მაინც სჯერა მისი. ასე რომ, ბოლომდე უნდა გატოპოს ამ მძღნერში, წერა განაგრძოს.

ტექსტთან ჭიდაობით დაღლილი, სახლში ბოდიალობს და ყოველ კუთხე კუნჭულს თავიდან ჩხრეკს. ყველა კუთხეში და უჯრაში ძვრება. ამ სახლში იმდენი რამეა, ომი რომ დაწყებულიყო, ალბათ წლობით უზრუნველად იცხოვრებდა ადამიანი. მაგრამ ომს დაწყების პირი არ უჩანს, ამასობაში კი სხვენზე უამრავი ტანსაცმელი უქმად იმტვერება, საკუჭნაოში საჭმლის მარაგი ობდება. ჟურნალის ყდიდან გადმოსული ტიპი ყოველ კვირას სულ ცოტა თითო ჯინსს და სპორტულ ფეხსაცმელს მაინც უნდა ყიდულობდეს. სუპერმაკეტში, აქციებზე ფასდაკლებული პროდუქტები დიდად არ სჭირდება, მაგრამ ციყვივით მაინც ეზიდება, იმიტომ რომ იაფია.

ნეტავ აქ ყველა ასე აობებს საჭმელს?

“სიხარბე – ამბობს ჟურნალის ყდიდან გადმოსული მასპინძელი და გზას თვალს არ აშორებს – სიხარბის ბრალია. ვისაც ბევრი ფული აქვს, კიდევ უფრო მეტი უნდა. სოციალ-დემოკრატების დროს ყველაფერი შედარებით თანაბრად იყო. ახლა მდიდრები გადასახადებზე წუწუნებენ, თითქოს ამ ყველაფრის მოვლას (საჭისგან თავისუფალ ხელს დაუდევრად მოავლებს იქაურობას –

სუფთა, მოვლილი გაზონები, ფერადი, პატარა სახლები ამწვანებული ეზოებით) ფული არ სჭირდება, თითქოს უფასო ჯანდაცვა, განათლება მათი შვილებისთვის არ იყოს. მშობიარობა, მაგალითად. სრულიად უფასოა. არადა, თითო მშობიარობა 100 ათასი ევრო მაინც ჯდება".

ქალს ახსოვს, რა იფიქრა მაშინ. ასი ათასი ევრო ძალიან ბევრი იყო. რომ მის ქვეყანაში ასი ათას ევროდ ალბათ ასი ქალი მშობიარობდა. ტიპი ისე ლაპარაკობს, თავს საერთოდ არ მიიჩნევს მდიდრად. ალბათ არც არის. ეს ქალის ქვეყანაში ითვლება მდიდრად ადამიანი, ყოველ კვირას ახალ ჯინსს რომ ყიდულობს და მაცივარი სავსე აქვს. დანარჩენები ძირითადად კრედიტებს იღებენ, სადილი რომ მოამზადონ, მერე კი ახალ კრედიტებს ძველის დასაფარად. მსუბუქ ავადმყოფობას ექიმის გარეშეც იტანენ, მძიმე ავადმყოფებისთვის კი ონლაინ ან ქუჩაში აგროვებენ ფულს.

მაგრამ სოციალისტური იდეები ჟურნალის ყდიდან გადმოსული ტიპის დაკუთხულ ყბებს ადამიანურ იერს აძლევს. სწორედ ამიტომაა, რომ ქალს თითქმის უყვარდება და მთელი სამი დღე ჰგონია, რომ უყვარს, სანამ ვადაგასული ლობიოს კონსერვით არ მოიწამლება და სიყვარულს დედის ხსენთან ერთად არ აღებინებს. ეს კაცი პირველად ავტობუსის ფანჯრიდან დაინახა, სადგურში რომ დახვდა. მაღალი და გამხდარი, კიბეზე იდგა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, ფეხსაცმლის წვერით პატარა ბიჭივით აგორავებდა კენჭს, თითქოს უხერხულობის დაძლევას ცდილობდა. გაჩერებაზე, ორ დიდ ქოთანში, წითელი ნემსიწვერები ყვაოდა. ეს უმნიშვნელო სურათი ქალის გონებაში აკვიატებული გიფივით დარჩება. მაშინაც, სიყვარული რომ გაუვლის და მაშინაც, აქედან რომ წავა.

რომიანი ჭიქით ხელში უმიზნოდ დაბოდიალობს მუსიკის მჭექარე ხმით სავსე სახლში და მოთქვამს. გული ტკბილად ეკუმშება. შეიძლება არც არსებობს, მაგრამ სიყვარული ჯერ კიდევ შეძლებია, თუნდაც გამოგონილი.

ნაწილებად იშლება. ეჩვენება, თითქოს აქ დარჩენა უნდა. სიმწვანეში, სიმშვიდეში, ხანდახან ასე რომ აღიზიანებს. ყოფილ პროტესტანტულ ეკლესიაში, ჟურნალის ყდიდან გადმოსულ მასპინძელთან ერთად.

რა მნიშვნელობა აქვს, თუ ასეთ ტიპებს შეუხედავი, მოუქნელი მწერალი ქალები არასოდეს უყვარდებათ. იქნებ უყვარდებათ კიდეც, თუ ამ შეუხედავ მწერალ ქალს გამორჩეული თვისებები აქვს, მაგალითად, ცნობილია და წარმატებული. მაგრამ ღატაკ, უხასიათო და უცნობ მწერალ ქალებს შანსი არ აქვთ.

მაცივარზე მიკრულ ფოტოებს აკვირდება.

ხეოფსის პირამიდის ფონზე, ქერათმიან, მრგვალსახიან ქალს ქმრის მხარზე ჩამოუდია თავი. კაცს ბედნიერი და ცოტა არ იყოს დაბნეული სახე აქვს, თითქოს თავისი ბედნიერების არ სჯერა. ცოლის გვერდით სულ ასეთი სახე აქვს, დაბნეული პატარა ბიჭის, სუფრასთან ქცევის წესებს რომ იხსენებს. ესტრადის მომღერლის გარეგნობის მიუხედავად, ქალი მოსამართლეა (ოცდაათ წლამდე იხვის მახინჯი ჭუჭულის დაუღალავი შრომა, წიგნები, გამოცდები. 30-ის მერე დამსახურებული სამსახური, განტვირთვა, სავარჯიშო დარბაზი, ჯანსაღი კვება და ძვირი კოსმეტიკა). სასამართლო დარბაზში შესვლამდე წითელ მანტიას მოისხამს ხოლმე, ტყავის მაღალსაზურგიან სკამზე ჯდება და მტყუან-მართალს არჩევს. ქმრის არყოფნაში რესტორანში სადილობს. თავის მოვლას დიდ დროს უთმობს და ყოველთვის ფორმაშია.

ნეტავ როგორ უყურებს იმ ამბავს, მისი მეორე ნახევარი საზაფხულო სახლში მხატვრებს, მწერლებს და სხვა საეჭვო ხალხს რომ მოათრევს? შემწყნარებლურად – ქალს ასე ჰგონია. ქმარი ხომ თვითონაც მხატვარია, ყოველ შემთხვევაში, უნდა რომ იყოს. ხელოვნება ის სამკაულია, ყველაზე ძვირ მაღაზიაშიც რომ ვერ იყიდი. თან გაჭირვებული არტისტებისთვის ხელის გამართვა მადლიანი საქმეა, როცა შენი არაფერი მიდის. მით უფრო, თუ ადგილობრივი ბანკებიც ხელს წაგიკრავენ.

შეიძლება ცდებოდეს და ყველაფერი სულ სხვანაირადაა. აქ ყველაფერი ისეთი სწორია და მოსალოდნელი, რომ ფანტაზია გჭირდება ადამიანს. ქალი კი წარმოსახვის უნარით არ გამოირჩევა, გაუმართლა, რომ იქ დაიბადა, სადაც დაიბადა – არაფრის გამოგონება არ უწევს.

მარტო სიყვარული კი არა, აქაურობაც მოგონილია, უტოპიაა, სამზარეულოს კედელზე დაკიდებული არაფრისმთქმელი სურათი, არარსებული მომავლის ხატი, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ არასოდეს იქნება – ვაშლის ხეები და სანთლები, დარიჩინიანი ფუნთუშები და ღუმელში მოტკაცუნე ცეცხლი – თვალს მოაშორებ თუ არა სუფთა, თეთრ ფურცლად იქცევა. ქალი კი არა, ეს ყველაფერი არ არსებობს.

“სადღაც ზღვის გადაღმა” – მღერის ფრენკი – “სადღაც მელოდება ჩემი საყვარელი ოქროსფერ ქვიშაზე მდგარი და ზღვაში გასულ გემებს გასცქერის”.

* * *

დღეები მონოტონურად გადის. არც ნელა, არც სწრაფად. ისე, როგორც უნდა გადიოდეს. აქ დრო ბუნებრივ კალაპოტში მიედინება, არავინ აკონტროლებს, არ

აჩქარებს, არ ანელებს. თითქოს ჰამაკში ირწევი და უსიზმრო ძილით გეძინება.

ჟანრის კანონებით, ტექსტში დიდი ხანია სისხლიანი ტანსაცმელი ან სარდაფში ნაპოვნი გახრწნილი გვამი უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ სანთლით რომ ეძებო, არ არის – არაფერი მსგავსი, მოზრდილი გველის სიფრიფანა გამონაცვალი ტყავის გარდა, პატრონს ნებით რომ დაუტოვებია ეზოში, შეშის გროვის ქვეშ.

ის საღამო იყო, ქალი ლობიოს კონსერვით რომ მოიწამლა. მთელ სხეულში თითქოს ადუღებული, დამპალი, ბლანტი სითხე უბუყბუყებდა და ყელში აწვებოდა. დიდი, მსუქანი, მოუქნელი ფარვანასავით აწყდება უნიტაზს და თავბედს იწყევლის. ეს უკაცრიელი სახლი აბლაბუდასავით შემოხვევია და ახრჩობს. პატიოსანი ხალხი რა ჯანდაბად შეინახავს ვადაგასულ საჭმელს, თუ ვინმეს მოწამვლა არ განუზრახავს. ყველაფერი მის წინააღმდეგაა, მწერებიც კი. ეს წყეული სიბნელეც, გულისგამაწვრილებელი ქარი და გულისრევამდე სიმპათიური მასპინძელი, ცოცხალ ადამიანს რომ არ გავს – ხვნეშით რეცხავს სიყვარულის ნარჩენებს უნიტაზში და სარკეში იხედება.

ონკანის ვერცხლისფერი ხორთუმი, შხაპის ფარდა, შამპუნების თარო, თეთრი ფილები. ცარიელია. სარკე ცარიელია. იმასაც ვერ ხვდება, ცოცხალია თუ თვითონაც უნიტაზში ჩაირეცხა. ყვირილი უნდა და კნავილი აღმოხდება. მკლავზე მაგრად იჩქმეტს. მაინცდამაინც არ სტკივა. კიდევ იჩქმეტს. ახლა თითქოს ცოტათი მეტად ეტკინა. დაიღალა მკითხაობით, არსებობს თუ არა. ჯობია წავიდეს, დაიძინოს. იქნებ დღის სინათლეზე მაინც გამოჩნდეს. რბილ საწოლში ჩაძირულს შეუმჩნევლად ეძინება.

დილით ქალი საძინებელში უზარმაზარი, მთელ კედელზე აკრული სარკის წინ დგას და დაწირპლულ თვალებს იფშვნეტს. გამორიცხული არ არის, ის ტიპი სარკეებს თავის ნებაზე მართავდეს. რაღაც სენსორი უნდა ჰქონდეს დაყენებული, გამოსახულებას აქრობს. მანიაკია და ადამიანები ჭკუიდან გადაჰყავს.

ქალს დიდი ხანია ეჭვი აქვს, რომ უთვალთვალებენ. სახლში სადღაც კამერებიც უნდა იყოს, ისე საიმედოდ დამალული, რომ ვერაფრით ვერ იპოვნა.

მეზობელ კალეს მიუკაკუნებს. დიდი ამბავი თუ კალე ამ ტექსტში საერთოდ არ უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება, ახლა კი სწორედ ასეთი შემთხვევაა, ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, პირდაპირი მნიშვნელობით. რამეს მოიმიზეზებს. ვითომ შაქარი გამოელია (კალემ რა იცის, რომ შაქარს საერთოდ არ ხმარობს), ან სარდაფში გველი ნახა და შეშინებული სახლში ვეღარ შედის.

ქალი სამზარეულოში ჩადის, შტორებს წევს და ყავას იმზადებს. ქარი ჩამდგარა და წვრილი წვიმა ცრის. საავდრო ღრუბლები მიწისკენ მოიწევენ. ყავას რკინის საზიზღარი გემო დაკრავს. ონკანში ჭის წყალს რკინა მოჰყვება და ფრჩხილების გარშემო მოშავო, ჟანგიან ნადებად რჩება, თითქოს ხელები საუკუნეა არ დაებანოს.

თუ კალე გამოხედავს, ესე იგი არსებობს. თუ გამოელაპარაკება – მით უკეთესი. ქალს ახსენდება, რომ კალემ შვედურის გარდა არცერთი ენა არ იცის (პირველივე დღეს გააფრთხილა მასპინძელმა. იქნებ ესეც ხრიკი იყო. შეამოწმებს).

უცებ ქალს საზარელი აზრი გაუელვებს – იქნებ კალეც მასპინძელთანაა შეკრული? ხომ დაინახა, როგორ ჭუკჭუკებდნენ ვაშლის ხის ქვეშ შეყუჟულები, აქ პირველად რომ ჩამოვიდა. ნამდვილად ასე იქნება. კალე ეხმარება ჯოჯოხეთური გეგმის განხორციელებაში.

ეგ არაფერი. სუსტადაა, მაგრამ თავს აიძულებს ქალაქში წავიდეს. ქალაქში ნამდვილად დარწმუნდება, რომ არსადაც არ გამქრალა. საჭმელად ვარგის პროდუქტებსაც გამოაყოლებს, თუ რა თქმა უნდა მისმა მომნელებელმა სისტემამაც არ ჩათვალა, რომ აღარ არსებობს და ისევ უნიტაზზე არ მოუწია ღამის გათენება.

თბილად შეფუთული ქალი გზის პირას გადის და კომუნალურ ტაქსის ელოდება. ამ ტაქსიმ უნდა მიიყვანოს მთელი 12 კილომეტრით მოშორებულ ავტობუსის გაჩერებამდე. აი, ტაქსიც მოდის. გზის პირას მდგარს რომ დაინახავს, მძღოლი გააჩერებს, კარს გაუღებს და თავაზიანად გაუღიმებს.

ტაქსი უბოდიშოდ ჩაუქროლებს გვერდით. ფანჯარაში თითქოს ფაისას გაღიმებულ სახეს მოკრავს თვალს. მაშინ კი აღრიალდება ქალი. აღრიალდება და ტყისკენ გარბის, ხეებს შორის ამოწვერილი სახურავებისკენ. თან ქარის წისქვილივით იქნევს ხელებს.

ეს სახლები ცარიელია. ბუტაფორიაა, სცენის დეკორაცია.

კარ-ფანჯარა მიხურულია. კოხტა კართანაზე, ხეივნის ვარდი რომ ამშვენებს, თითქოს ახლახან სვამდა ყავას დიასახლისი. ადამიანის ჭაჭანება არ არის. ეზოებში ვაშლის ხეებს დახუნძლული ტოტები მიწისკენ დაუხრიათ. ხრეშიანი ბილიკები და ყვავილების კვლები მოვლილია, მაგრამ მომვლელი არსად ჩანს. მოშორებით თოჯინების

სახლებივით კოხტა ფარდულებია ჩადგმული. ქალი პატარა, ვარდისფერი ფარდულის ფანჯარაში იჭყიტება. დიდი-დიდი ორი კვადრატული იყოს. მინიატურულ, თეთრად შეღებილ ფანჯრებზე მოქარგული ფარდები კიდია. ქალი სახელურს აწვება. კარი იღება.

ხის ფიცრებს შორის ფართო ხვრელი და ხვრელის თავზე შუაში ამოჭრილი სკამი.

ტრისეს ფარდული. ტრისეს ფარდულია. აი, თურმე როგორი ყოფილა.

თურმე ასეთ ჩეჩმა-ტუალეტებს აშენებდნენ აქ, ამ გაუსაძლის სამოთხეში, სანამ კანალიზაცია გამოჩნდებოდა. ქალს მუცელი უბუყბუყებს. სკამზე ჩამოჯდება და შვებით ამოისუნთქავს. თაროზე წინდახედულად დაუტოვებიათ ძველი გაზეთების დასტა.

* * *

ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, თუ სარკეში საკუთარ თავს ვერ ხედავს (როდის ხედავდა?); ან ტაქსიმ გაუჩერა თუ არა (ტაქსის მძღოლები არასდროს წყალობდნენ, რამდენიმემ უმიზეზოდაც გამოლანძღა); ან არსებობს თუ არა (არსებობაც ხომ დროებითია) და ა.შ. მთელი თვეა თავი ასე კარგად არ უგრძვნია, როგორც აქ, ტრისეს ფარდულში. კედლები მზრუნველი ხელითაა შეღებილი, თეთრად ქათქათებს. საღებავის და ნოტიო მიწის სუნი დგას, კიდევ ხის სასიამოვნო სურნელი, აქაურ სახლებში ყველგან რომ ტრიალებს (ყოველ შემთხვევაში, ტრიალებდა, სანამ ქალი იატაკში ამოჭრილ ხვრელს დანიშნულებისამებრ გამოიყენებდა).

ზის და ორი წლის წინ გარდაცვლილ მამამისზე ფიქრობს, რომელიც ტუალეტიდან ყოველი გამოსვლისას

საყვედურობდა, ჩარეცხვა დაგვიწყებიაო. მაშინ უკვე ცხრამეტის იყო და საყვედურები ცუდ აღზრდას ვერ გამოასწორებდა. სამაგიეროდ, სამუდამოდ დაუტოვა უსიყვარულობის, გაუცხოების მტრული შეგრძნება, მისი სიკვდილის მერეც რომ გაჰყვა, თუმცა ტუალეტის ჩარეცხვა აღარ ავიწყდებოდა.

მამასთან გატარებული ერთი თვის თავზე აღთქმა დადო თავი მოეკლა, თუ ოდესმე უსიყვარულობა ასე გამოათაყვანებდა.

უსიყვარულობა, გულგრილობაა ყველაფრის მიზეზი. არსებობის გამო გამუდმებული შიშისაც და არარსებობისაც; იმისიც, რომ ვერავინ გხედავს; სიგიჟის, შეთქმულების თეორიების. უსიყვარულობისგანაა, თავს რომ ათასი საზიზღრობით ვირთობთ, ფანტომებს ვძერწავთ და შიშით ვაცოცხლებთ.

ზის ქალი ტრისეს ფარდულში, ცრემლები ღვარად ჩამოსდის და ფიქრობს, იქნებ აღთქმის შესრულების დრო დადგაო. გული ეკუმშება – ტყუილად ეძებდა დამნაშავეებს და აწყობდა შეთქმულების თეორიებს. გულგრილობაა ის ურჩხული, ასე რომ აშინებს. თვითონაა ყველაფერში დამნაშავე.

ფარდულის ჭერში მშვენიერი ძელია გადებული, ყელზე კი გრძელი, თბილი შარფი აქვს შემოხვეული. ალბათ კიდევ ერთი თვე ვერ იპოვნიან. შეიძლება ვინმემ შემთხვევით გამოიაროს და სუნი ეცეს. ტრისეს ფარდულში ნაპოვნ გვამზე ცნობას ადგილობრივ გაზეთშიც დაბეჭდავენ. ჟურნალის ყდიდან გადმოსული მასპინძელი დაკარგულ რეზიდენტს ამოიცნობს და თავს გააქნევს; გარშემო ამხელა ტყეა, ამან კიდევ მაინცდამაინც ფარდულში... დაინახა თუ არა, გულმა უგრძნო, რომ უსიამოვნება არ

ასცდებოდა. ცნობილი მწერალი მაინც ყოფილიყო, ტურისტებს მოიზიდავდა.

სამახსოვრო დაფას ფარდულის კედელზე დაკიდებენ. ღმერთო, რა უხერხულია.

ქალი ცრემლებს იმშრალებს და შარვალს იწევს. მერე პატარა ვედროდან ხვრელში ქვიშას ჩაყრის და ფარდულის კარს გამოიხურავს. გულზე უსიყვარულობის ცივი ხელები უჭერს.

ეკა ქევანიშვილი

სრული გასხივოსნება

თამრიკოსთან მიდი. ნომერი გამომიწოდა. მე მაგას აღარ ვაკეთებ და თამრიკოს ჩემი სახელით სთხოვე.

რეცეპტისთვის განკუთვნილ ქაღალდზე ნომერი მიმიჯღაბნა და მომაწოდა.

იცის თავისი საქმე. პირველად იკეთებ?

არა – მოკლედ მოვუჭერი. არ დამათვლევინოს-მეთქი, ვინატრე.

ჩაიდგი შენ კიდე სპირალი, ალამ მზრუნველად მიმალანძღა თუ დამარიგა. თან ჩემს გაუნათლებლობა-სამედიცინო-კულტურულ ჩამორჩენილობასაც გაუსვა ხაზი. ახლა არსებობს პლატინის სპირალები, ჩაიდგამ და არაფერს დაგიშავებს. გინდა?

სახეზე შემატყო, რომ იმ წამს ყველაფერი მინდოდა პლატინის სპირალის გარდა და შემეშვა. და მეორეზე იფიქრეეე! მომაძახა, მისი კაბინეტიდან რომ გავდიოდი.

ეკას დავურეკე.

მაგის დედაც-მეთქი, გამომყევი.

რა ქვეშაფსიობა დაგემართაო, ვითომ მეხუმრა, მაგრამ ვიგრძენი, აღელდა.

სახლისკენ წამოვედი. მსხვილად ბარდნიდა.

ალბათ მოსამართლეებიც ამას გრძნობენ, რასაც მე, როცა განაჩენი გამოაქვთ, ვფიქრობდი და მეჩვენებოდა, რომ მუცელში რაღაც მიფეთქავდა.

ალბათ მშია. დავამშვიდე ჩემი პატარა მე და ავტობუსში ავედი.

* * *

ფეხები მიკანკალებდა, იმ ბნელ დერეფანს რომ გავუყევით. ფეხებში ალაგ-ალაგ აგლეჯილი ლინოლიუმი მებლანდებოდა. ძველი პოლიკლინიკის შენობა იყო, სამედიცინო პუნქტისთის დამახასიათებელი სუნით – სპირტის, წამლების, მომლოდინე ადამიანების სუნის ნარევი. დერეფანში ჩამწკრივებული ოთახების მიხურული კარიდან დროდადრო სინათლე იპარებოდა და გზად შემხვედრების სახეებს სანახევრად ანათებდა. სიარულისას იატაკიდან ავარდნილი მტვერი ბრჭყვიალებდა.

თამრიკოს კაბინეტთან შევჩერდით.

ალასგან ვართ. ეკამ ითავა ჩემი წარდგენა, როცა ჩვენმა რიგმა მოაღწია.

თამრიკოს თეთრი, თითქოს ბეზესგან გაკეთებული ქოშები ეცვა. შარვალიც თეთრი და პერანგიც. მარჯვენა მხარეს, მკერდთან კაშკაშა წითელი “მ” ჰქონდა ამოქარგული – თითქოს გულმა გამოუჟონა.

ალასგან, ესე იგი, ისე ჩაილაპარაკა, რამდენიმე წამი ქაღალდებიდან თავი არ აუწევია.

ვეკიდე თამრიკოს. ერთ-ერთი ვიყავი. მის კართან ატუზულთა არმიიდან.

ნუ გეშინია, გადარჩები, ეკამ ჩამჩურჩულა. ცდილობდა, დუმილი დიდხანს არ გაგრძელებულიყო. დრამები არ გვჭირდებოდა. მეორე დღეს მივლინებაში მივდიოდით.

თუ გინდა, გადავდოთ, მითხრა.

გაგიჟდი? ნახევარი წელია, ამას ვგეგმავთ.

მხეცები ვართ, რა. გეუბნები, – თავის თავსაც დაუდგინა.

იმ სირს უთხარი?

ვუთხარი, რა მექნა.

მერე სადაა?

არ შემიძლიაო.

რა არ შემიძლიაო? დამპალი. თუ, მაგას თხრიან რამეს ყვერებში? ნაბიჭვარი – ხმამაღლა ჩურჩულებდა. მხოლოდ სისინა თანხმოვნების ხმა ისმოდა.

ბოლოს და ბოლოს, თამრიკომ, როგორც ბოლო საცოდავს დედამიწაზე, ისე შემომხედა და ამოიოხრა.

პირველია?

არა.

შვილი გყავს?

კი.

კაი, მაშინ. ეხო გადაიღე, ხო? ფურცლები მივაწოდე. ცოტა ხანს უყურა. სამი კვირა ,ესე იგი. ხოოო.

ააბა, აძვერი.

დაღლილი იყო ჩვენნაირების მომსახურებით.

50 ლარი იქნება, ხო იცი. ხო არ გეშინია? რა არი საშიში, მაგრამ მაინც. ფერი არ გადევს, მართლა ხო არ გეშინია, გოგო? ნუ გე ში ნი ა, დამარცვლა. გესმის, დედიკო? (რა დედიკო?), უცებ მორჩება და არც გეტკინება. გაშალე ფეხები. ასე. ასე. ცოტა ზემოთ აიწიე. კარგია. ლუბა, მომაწოდე ეგ – თვალით რაღაც ინსტრუმენტზე ანიშნა.

მერე ისევ მე მომიბრუნდა. ხუთი წუთია სულ. ხანდახან მაგისთვის წლები შრომობენ (რა შრომობენ?) და არ გამოსდით. მოდუნდი აბა.

გაჩერდეს ეს ქალი. პირველმა ოფლმა დამასხა.

შემომხედე, დედიკო. მე მიყურე. ხო არ გტკივა? არ გეტკინება. ჯერ არ დამიწყია.

დგმც. დგმც. დგმც. დგმც.

ამოვიკვნესე.

* * *

ნეტა, ახლა რას აკეთებს.

დილით რომ დავურეკე, მივდივარ-მეთქი, ჩაჯმული ხმა ჰქონდა. ესე იგი, გადაწყვიტე, ისე მითხრა, თითქოს ბინას ვყიდულობდი ხანგრძლივი ჭოჭმანის შემდეგ. ესე იგი, რას ნიშნავს, სხვა რა გზა მაქვს?

ჩვენი სიყვარულის ნაყოფია! მეგონა, მომესმა – არა, ნამდვილად ასე თქვა, "ჩვენი სიყვარულის ნაყოფიო".

უცებ მომინდა ეს ჩვენი "სიყვარული" გამეხსენებინა და, ბოლო ხუთ წელში ჩავიხედე. იქ კი მარტო უფსკრული მოჩანდა. გადაჩეხილი მანქანების ჩონჩხებით ამოტენილი პირღია ხრამი. შეიძლება, უფრო ღრმად ყვავილებიც იყო. ადრინდელი ბალახიც, მაგრამ მე ვერაფერი დავინახე.

აბა, რა ვუქნა, მარტომ გავზარდო?

რას მიპასუხებდა. ყველა შესაძლო ბანალური პასუხი ზეპირად ვიცოდი. მანამდეც მომესმინა. ისე კი, მინდოდა მეთქვა, რომ არც ახალი ადამიანის გაზრდის ძალა მქონდა და არც ფული. ამის ნაცვლად რაღაც უბადრუკი სლუკუნი ამომდიოდა პირიდან. ის ძირითადად დუმდა და ამ

დუმილს დროდადრო ისე არღვევდა მომაკვდინებელი ამოოხვრა, როგორც მღვიმის სიჩუმეს უცებ ჩამოვარდნილი წყლის წვეთი.

მოხვალ მაინც?

არა. არ შემიძლია.

და მე შემიძლია?

რადგან გადაწყვიტე და მიდიხარ, ესე იგი, შეგიძლია.

ცუდად რომ გავხდე? იქნებ გარეთ დამელოდო.

ვერა. ვერ მივიღებ მაგ ამბავში მონაწილეობას.

იქნებ მოხვიდე. თავს დაგადებ, რომ გამოვალ. ხელს ჩაგკიდებ. არაფერი, უბრალოდ სადმე ჩამოვსხდეთ და მერე სახლში წავალ.

ეკას დაურეკე, – ამით დაამთავრა.

ეკას, რომელიც ახლა დერეფანში იდგა და მელოდა.

ეგ რომ იქ მოსული დაენახა, შუაზე გაგლეჯდა.

* * *

გრძელ, გამჭვირვალე მილში სისხლი წვეთავდა – ბლანტად, ზოზინით. მეჩვენებოდა, თითქოს ნაფლეთებიც მოჰყვებოდა და ყველა ნაფლეთს სხვადასხვა სახე ჰქონდა. თამრიკო და მისი ორი სანიტარი ბუნდოვნად ჩანდნენ. მათი ხმებიც ისე ჩამესმოდა ბოლოს, თითქოს გრძელი მილის ბოლოდან მიყვიროდნენ.

როგორ ხარ, გოგონა, აბა. ცოტაც და მოვრჩით. დიდი ყოფილა ეს ოხერი. აი, აი, ერთიც და მორჩა.

დიდი ყოფილა. თავი ზანზარებდა.

მეგონა, სხეულიდან მთელი სითხე ამომტუმბეს. უფრო სწორად, ჩემს საშვილოსნოს მტვერსასრუტი მიუშვირეს და მთელ სიმძლავრეზე ჩართეს, ყველაფერი რომ გამოეცალა.

აჰა. სულ ეს იყო, – თამრიკოს ხმა გავიგონე. და რეზინის ხელთათმანების მოხსნის ხმაც.

უნდა წამოდგე ახლა. მკლავში ხელი წამავლო და ძალით წამომაყენა. მუცელში არაფერს აღარ ვგრძნობდი – არცერთი ორგანოს არსებობას.

ჩაიდგი დედიკო, სპირალი, – მითხრა.

ვიცი, პლატინის, ვუპასუხე.

და იქვე, კედელთან მიდგმულ საწოლზე დავეშვი.

* * *

ორი დღის შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე წერილი გამომიგზავნა. გამიკვირდა, მისი სახელი რომ აციმციმდა ეკრანზე, რა ეპისტოლარული ჟანრით მეურთიერთება-მეთქი, მაგრამ წერილი მაინც გავხსენი.

მამა თეოდორე. შეგონება – ეწერა სათაურში.

გრძელი სასულიერო მონოლოგი აღმოჩნდა აბორტის ცოდვაზე. მოთმინებით ჩავედი ბოლომდე.

მერე ტელეფონი ავიღე, სიაში მისი სახელი მოვძებნე.

დიდხანს, დიდხანს ვუყურე და ბოლოს მშვიდად წავშალე.

რა დაგემართა? – ტელეფონში თავჩარგულმა ეკამ ამომხედა.

არაფერი, გინდა კარგი მოთხრობა წაგაკითხო ჩემზე?

და რა ხდება მაგ მოთხრობაში, შენზე.

არაფერი, ბოლოს ჯოჯოხეთში ვხვდები.

დავით შერგელაშვილი

ხორხე ლუის ბორხესი: შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“

ამ პოემას (ჰომეროსის პოემების მსგავსად), იშვიათი ბედი ხვდა წილად – ის ზეპირად იციან! უცნაური კანონზომიერების მიხედვით მისი ავტორი შოთა რუსთაველთან ერთად ქართველი ერია, თუმცა საქართველო პოემაში საერთოდ არ ფიგურირებს, რადგან გამოცანაში ერთადერთი სიტყვა, რომელიც არ უნდა გამოიყენო, არის ის სიტყვა, რომელიც გამოცანის პასუხია. ‘‘ვეფხისტყაოსანი’’ დიდი გამოცანა ან პარაბოლაა, სადაც ასეთი პასუხი რამდენიმეა.

‘‘ვეფხისტყაოსნის’’ დასაწყისი მაგონებს ‘‘მეფე ლირის’’ დასაწყისს. სამეფოს გადაცემა ქალიშვილზე (შექსპირთან ქალიშვილებზე), იწვევს ქაოსს, ქაოსი კი ახალი კოსმოსით უნდა დასრულდეს და ა.შ. ქაოსის და კოსმოსის ლიმინალური რიტუალი სამყაროს ლაბირინთად აქცევს, რომლის სახე პერიოდულად იცვლება, მაგრამ არსი უცვლელი რჩება. წმინდა ავგუსტინე ამ ლაბირინთიდან გამოსავალს ქრისტეში ხედავდა.

ტარიელმა სრულიად შემთხვევით, მოახლის მიერ ფარდაგის გადაწევისას, წამიერად მოჰკრა თვალი ნესტან-დარეჯანს და მისი სილამაზისგან გონი დაჰკარგა.[1] როგორც ჩანს, რუსთაველიც შოპენჰაუერივით ფიქრობს: "დიადი ვნება პირველი ნახვიდან იფეთქებს ხოლმე".

რუსთაველი ვირტუოზულად იყენებს "ოქროს კვეთის" პრინციპს, ხანდახან ვირტუოზულად არღვევს რა მის მკაცრ სიმეტრიულობას.[2] მკაცრად გეომეტრიული და მექანიკური სტილი ნიშანდობლივია ნიუტონის სამყაროსთვის, და მკვეთრად უარყოფილია უილიამ ბლეიკის მიერ, – უარყოფილი მეტისმეტი სისწორის და მოძრაობის რაციონალიზაციის დამთრგუნველობის გამო. ასეთი სამყაროს ღმერთი იყო Nobodaddy,[3] ხოლო საზოგადოებას ამ სამყაროში მხოლოდ "კანონით შექმნილი ბორკილების" შეთავაზება შეეძლო. ნიუტონის სამყაროს მექანიკურობას ბლეიკი უპირისპირებს პარადოქსის და ინვერსიის ლირიზმს. ლექსში "ვეფხვი" ის ირონიულად კითხულობს:

What immortal hand or eye

*Could frame thy fearful symmetry?**[4]***.

"შემზარავ სიმეტრიას", დაფუძნებულს პერიოდულ გამეორებაზე, რუსთაველი და ბლეიკი უპირისპირდებიან თავისუფლების და მოძრაობის სასარგებლოდ. ამიტომ "ვეფხისტყაოსანში" ყველაფერი ერთხელ ხდება და ყველაფერს სხვანაირი ნამდვილობა გააჩნია.

მორის აბრამოვიცის შენიშვნით, პოემის კითხვისას იბადება შეგრძნება, რომ მოქმედების ადგილი მთელი სამყაროა. რუსთაველი მოქმედ პირებად თვლის არა მხოლოდ კონკრეტულ ადამიანებს, არამედ მზეს, მთვარეს და პლანეტებს.

რუსთაველის უნივერსუმი გეოცენტრული სისტემაა, რომელიც ჰელიოცენტრულობისკენ ისწრაფვის. ცის თაღზე გაჩენილი ბზარი რუსთაველისათვის თავისუფლება იყო. გაივლის წლები და ბლეზ პასკალისთვის ის შემაძრწუნებელ სფეროდ იქცევა.

მზე – მთავარი მეტაფორაა რუსთაველთან. პერსონაჟები მისკენ ისწრაფვიან, მას ეტრფიან და მისი გულისთვის ყველაფერს სჩადიან, მკვლელობასაც კი! (ეს ყველაფერი თანამედროვე ადამიანისთვის ძალიან უცხოა).

ადრე ნებისმიერი წამოწყება წარმატებულად მთავრდებოდა. ერთი გმირი მოიპოვებდა ოქროს ვაშლებს, სხვას გრაალის მოპოვება ხვდებოდა წილად. ახლა ძიებანი ჩავარდნისთვის განწირულია. კაპიტანი აქაბი დაჭრის ვეშაპს, მაგრამ ვეშაპი მაინც ანადგურებს მას; ჯეიმსის და კაფკას გმირებს მხოლოდ მარცხი თუ ელოდება. ჩვენ ისე ღარიბნი ვართ შემართებით და რწმენით, რომ ბედნიერ ფინალში მასების გემოვნების უხეშად შეთხზულ წაქეზებას ვხედავთ.

დასასრულს, მინდა გავიხსენო, რომ ჩემს მეგობარს, რაფაელ კანსინოს-ასენსს ბუენოს-აირესში მოღვაწე რუსთველოლოგმა გაუმხილა ამ პოემის ორი საიდუმლო ვერსია, თუ გაგრძელება:

ქორწილის დამთავრების შემდეგ ტარიელი სანთიობოში შევიდა. ზღურბლზე გადაბიჯებისას უცებ ორი დურგალი და მათი ორი სამეფო გაახსენდა, მაგრამ ბუნდოვან ხატებას აღარ ჩაუღრმავდა..

სიზმარში მამლის ყივილმა გამოაღვიძა. ჯერ კიდევ ძალიან ბნელოდა. მხოლოდ ერთგან, დასალიერზე, თითქოს ოდნავ გაბაცდა ცა. რქის კარი გააღო. გარეთ გამოსულმა, სიცივე

იგრძნო, მაგრამ სამოსისთვის მაინც არ მიბრუნდა. ერთთავად მარცხნივ უხვევდა, მხოლოდ ბოლო გზაჯვარედინზე შეუხვია მარჯვნივ. ბაღში შევიდა და მცირე ზომის ტბასთან ლოდზე ჩამოჯდა. განთიადმა ვარდისფერი თითები გამოაჩინა. ტარიელი დუმდა, ისე, როგორც მზის ჩასვლისას დუმან ხოლმე ძალიან დაღლილები. უნდოდა ეთქვა: ის მოკლული სასიძო მე ვარო, მაგრამ ეს გაიფიქრა და წარმოთქვა: მე შენ ვარ!

დუმილმა, რომლის სიღრმე სარკის სიღრმეზე მეტია, აუწყა, რომ მისი ამბავი, ხელიხელსაგოგმანები და მრავალ გასაჭირში ძალის მომცემი იქნებოდა პოემაში არნახსენები ქვეყნისთვის, მაგრამ ვერავინ ვერასდროს გაიგებს, თუ რა გაუყუჩებელია მისი ტკივილი და სინდისის ქენჯნა...

მეორე ვერსია უბრალოდ წარმოუდგენელია ქართველებისთვის და შესაძლოა, მთლიანად დასავლეთისთვის: ამისათვის საჭიროა უფრო ძველი, დახვეწილი და დაღლილი სამყარო. ტარიელი უკვე აღარაა ტარიელი, არამედ მაკბეტია! დუნკანის გვამთან ის მიხვდა, რომ მკვლელობა და ჩასახვა ღვთაებრივი, ან ჯადოსნური ბუნების საქმეა და ადამიანის შესაძლებლობას აღემატება. მიხვდა, რომ მოკლულიც ისეთივე ილუზიაა, როგორც სისხლიანი ხანჯალი, მის ხელს რომ ამძიმებს, როგორც ის თავად და მისი წარსული ცხოვრება, და ყველგანმყოფი ღმერთები და მათ მიერ შექმნილი სამყარო...[5]

გოთი კოპალა

სკვარამიდან მოსულები

(ფრაგმენტი რომანიდან)

შიო შემჯდარია (პირდაპირი მნიშვნელობით) კონან დოილის ლიტერატურული გმირის, შერლოკ ჰოლმსის დედუქციურ მეთოდზე. მამამ აჩუქა მოთხრობების კრებული "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი". წაკითხვის შემდეგ შიო შეიცვალა. სოფელში ბებიას სახლი გადაქექა, გარდაცვლილი ბაბუის ძველი შინელის პლაში იპოვა, ძველი მონადირის ქუდი (ოდნავ ჩამოჰგავდა ჰოლმსის უცვლელ აქსესუარს), გატეხილი ჩიბუხი და გადაწყვიტა სოფელ იქსის შავბნელი საქმეების გამოძიება (ზაფხულს). თომას გაუხარდა მეგობრის უცნაური გარდაქმნა, ბაღში წაიყვანა, უცნაურად გამოწყობილი – "ფიქრში დაგეხმარება განმარტოება, მეგობარო, მაგერ გატეხილი ვედრო რომაა, ჩამოჯექი და არავინ შეგაწუხებს ფიქრის დროს!" (მიბაძა სიტყვებში). შიო ჩამოჯდა, მოქაჩა გატეხილი ჩიბუხი (ფიქრში მეხმარებაო, სუფთა ჰაერი მოქაჩა) და ჩაფიქრდა – ვინ შეიძლება იყოს სოფელში "კრიმინალური ელემენტი"?...

– ბებიაა... მოი ნახე, დღეს რომ სუნელები დათესე ბაღჩაში, ჩიტები არ ეკარებიენ შიშისგან!

– რეიზა ბებია? (გამოვიდა ძველი სამზარეულოდან თეკლე).

– შიომ მეიფიქრა ახალი მეთოდი, ცოცხალი საფრთხობელა ვიქნებიო, ვედროზე ზის...

– მაგიზა მომაცდინე ნენა? კეცზე ჭადი მაქ დაკრული, დამეწობოდა ამასობაში...

შერლოკას (როგორც თომამ შეარქვა) არ მიუქცევია ყურადღება მეგობრის დაცინვისთვის (არადა მართლა საფრთხობელას ჰგავდა) – “წვრილმანებია, ეს ყველაფერი, წვრილმანები”.

მთელი დღე ბაღში იჯდა სათლზე, ფიქრობდა.

– წამო ბიჭო, გეყოფა, ვჭამოთ. ბებიამ მაგარი ჭადები დააცხო, წაბლის ფოთლებით კეცზე, შენ რომ გიყვარს, იმფერია...

– ჭადი არ მინდა მე. “კრიმინალური ელენენტები” მინდა! (გამოსცრა, ხუჭუჭამ).

– რა უნდა მაგას, რეიზა ჯაჯღანობს? (მოულოდნელად არტისტი დაადგათ თავზე).

– “კრიმინალური ელემენტი” იცი, რა არი? (მიუბრუნდა ხუჭუჭა ლაშას).

– ქიმიური ელემენტი ვიცი, სამიანი გამომაყოლა მასმა, შენი ატანის თავი არ მაქ საშემოდგომოზეო (გაიკრიჭა არტისტი). კრიმინალური ქრონიკა ვიცი... ანუ ბანდიტების სია, რაფერც ქიმიური ელემენტების?...

– არა. აღიარებულ დამნაშავეთა გახსნილი საქმეები არ გვინდა. ჩანასახში მყოფი, შავბნელი ჩანაფიქრების გახსნა მინდა, ვინაა მასეთი უბედური სენთი სოფელში? ყველას რომ კაი ვინმე ჰგონია და სინამდვილეში “ტელეფონს უკრავს მიწაში”?!

– მოგცლიათ თქვენ! გეყოთ ახლა, წამო – ჭადი და ყველი ვჭამოთ... (ბრაზდება თომა).

– მაგფერი აფრასიონაა... უბედური სენთია, ბაბუა ამბობს – რაც ზევითაა, ორი იმდენი მიწის ქვევითააო, ბაბუაჩემი კიდე მაგფერ ამბებში არ ცდება...

შიოს თვალები გაუბრწყინდა მეძებარი ძაღლივით, რომელმაც ნადირის სუნი იყნოსა.

– წავედი სახლში. შენ (ლაშას მიმართა) დილით ადრე, ჭიშკართან ალვის ხე რომ არის, იქ დამხვდი.

– აუ, მეზარება მაგრა დილით ადრე ადგომა ამ არდადეგებზე, სკოლა არ მეყო?

– ხვალ დილით, ჩვენი პირველი საქმე იწყება "უოტსონ", აფრასიონას ნიღაბი უნდა ავხადოთ! – რაც აფრასიონას არ მოეწონება... (დააყოლა. იცის შიომ, რაც აფრასიონს არ მოეწონება, ლაშას ძალიან მოეწონება). ამ ხერხით მეგობრის დათანხმება არ გაუჭირდა. თომას მოელაპარაკა "ალიბიზე უფროსებისთვის".

* * *

"აფრასიონ კანანიძე" სოფელ "ხიდაში" მდებარე ცენტრალური სკოლის სასწავლო ნაწილია. ლაშას დაუძინებელი მტერია, ჩვენ (მე და თქვენ) ასე ვიცნობთ მას. ორმოცდაათიოდე წლის (მეტს არ მისცემდით) ჭაღარა კაცია. ფიზკულტურას ასწავლის პარალელურად სოფლელ ბავშვებს. ცენტრალური სკოლა ცენტრალური გზების გასაყარზეა, ერთი გზა ბახმარო-ნაბეღლავის მიმართულებით მიდის (ასე გვამცნობს ტრაფარეტი) მეორე – გურიის სოფლების გავლით ოზურგეთის მიმართულებით (ტრაფარეტზე "მახარაძე" გადაუღებიათ და ოდნავ ქვემოთ ოზურგეთი წაუწერიათ – ტრაფარეტის გამოცვლა იმდენად ძვირი დაუჯდებოდა მუნიციპალიტეტს, რომ გამგებელმა რაულს, ადგილობრივ "ხელმარჯვე ოსტატს" ერთი ბოცა ღვინის ნაცვლად (ღვინო ადესაა, ცოლიკაური არ გეგონოთ) შეასრულებინა რთული მისია და თავისთვის "ელექტროგენერატორის ფული" გადაარჩინა.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან საახაწლო საჩუქარს გამგებელი ამ გზით თუ გაუკეთებდა ოჯახს. სოფლელებს მაგოდენა მიხვედრა სად ჰქონდათ – თავად გაეკეთებინათ. ცენტრალურ სკოლას რომ გავცდებით, ხიდია მდინარე გუბაზე (მთავარი ხიდია – ოზურგეთის მიმართულებით). ძველი დროიდან მოყოლებული, იმდენჯერ წაუღია ადიდებულ მდინარეს, რომ სოფელს ამბის აღსანიშნავად "ხიდა" შეარქვეს. ხიდა რაიონის სოფლებისთვის ცენტრია. ცენტრი ჰქვია: სამ მაღაზიას (რომლიდანაც ორი ჯიხურს ჰგავს), მდინარის ნაპირთან მდგარ, მაღაზიისთვის მიშენებულ ფურნეს, ორსართულიან გამგეობის შენობას: პირველ სართულზე ბიბლიოთეკაა (სადაც არავინ დადის), პატარა საავადმყოფოს (აფთიაქიც არის შეთავსებით) და გადახურულ ავტობუსების გაჩერებას, სადაც ადამიანების ნაცვლად სოფლის პირუტყვი იკრიბება. ხალხი რაულის გაკეთებულ ჭადარზე მიჭედებულ ფიცართან იყრის თავს. ხიდიდან ხიდას ცენტრში რომ ჩამოვდივართ (ცენტრალური სკოლის მხრიდან), ხიდის მოაჯირია. ბოლოს ორი ჭადრის ხე გხვდება (ორივე მხარეს), როგორც მცველები. ასფალტიანი გზა დაქანებულია (ხიდი მაღალ ბორცვზეა გაკეთებული), მარჯვნივ, მდინარის სანაპიროზე, საავტომობილო გზა გრძელდება ოზურგეთისა და სხვა სოფლების მიმართულებით, ხოლო მარცხნივ ცენტრალური მოედანია (სოფლის ცენტრი), რის გარშემოც, ზემოთ აღწერილი შენობა-ნაგებობანი მდებარეობს. სოფლის ცენტრალურ მოედანს თუ გაცდებით (გამგეობის შენობის ბოლოს) სოფლის ძველი ფოსტაა, სადაც მოასფალტებული გზა სრულდება (სოფლის მოხრეშილი გზები იწყება) და ორად იყოფა. მარჯვენა სოფელ ჭანჭრეთში მიდის, სადაც აფრასიონი ცხოვრობს. პირდაპირი გზა (რომელიც არსად არ უხვევს) ძველ დიდ ჭადრის ხეს გასცდება, ასევე მეორე მსოფლიო ომში

დაღუპულთა ობელისკს (სტალინის ძეგლს უფრო მოგაგონებს ადამიანს) და მდინარე ჭურაზე გაკეთებულ დიდ ხიდზე რომ გადავალთ, სოფელ იქსის აღმართი იწყება (მთის გზა). გზის გარშემო, სოფლის ახალმოსახლეთა ღობეებია.

დილის ბინდი იფანტება, "ხიდას" ცენტრში თუ დავდგებით და სოფელ იქსისკენ გზას გავხედავთ, ჭადართან, მდინარე ჭურაზე გადმომავალ (ხიდზე) ორ არსებას შევნიშნავთ. ერთი არაბუნებრივად დიდია, დიდი ზომის პლაშის ქვეშ დაკარგულა. ქუდის მსგავსი რაღაც აფარია თავზე, ხელები სახელოებიდან (პლაშის) არ ჩანს, არც ფეხები. თითქოს პლაში თავად მოაბიჯებს, პირში გაჩრილი გატეხილი ჩიბუხი ჯერ არ გამოჩნდება (მანძილი დიდია). პლაშის უკან გაუბედავი ნაბიჯებით (ოდნავ მოშორებით) მეორე ფიგურა ჩანს. ხშირად ჩერდება, აქეთ-იქით იყურება, აყურადებს რაღაცას. თანამგზავრის ჩაცმულობაა უფრო ამის მიზეზი, ვიდრე სიფრთხილე. იქსის მოსახვევიდან (ეს გზა გუბას სანაპიროზე მდებარე სოფლებისკენ მიდის) ველოსიპედზე შემჯდარი ჭაღარა კაცი გამოდის (ამას ბავშვები არ ელოდნენ). ორი პატარა მაძებარი მომენტალურად ფრთხება და ხეების უკან იმალება. კაცი გზას აგრძელებს, მალე ობელისკს უნდა ჩაუაროს. ბავშვები ობელისკის ბაღში გადადიან ღობიდან მოკლეზე, გარბიან. უკვე ობელისკთან არიან (ამ მომენტში კაცმაც უნდა ჩაუაროს), პლაში იჯგიმება ადგილზე (სტალინის გამოსახულების გვერდით), მარცხნივ იხედება სმენაზე. თანმხლები მაძებარი ობელისკის უკან იმალება. კაცი ყურადღებას არ აქცევს უცნაურ საპატიო ყარაულს (შეიძლება, ახლომხედველობის გამოც, სათვალე არ უკეთია), გზას აგრძელებს. პლაშმა ამოისუნთქა შვებით, თვალთვალი გრძელდება. კაცი (რომელშიც, ალბათ, აფრასიონი

ამოიცანით) გზას აგრძელებს. ცენტრი უკაცრიელია. ველოსიპედი აფთიაქთან ჩერდება, აფრასიონი ფანჯარასთან მიდის და არა კართან, რომელიც დაკეტილია. ფანჯარაზე ფარდა ოდნავ ირხევა (მაძებრებს ეს არ გამორჩათ, ერთმანეთს გადახედეს), აფრასიონისთვის ეს საკმარისია, გზას აგრძელებს, მთავარ ხიდზე ადის, სკოლისკენ მიდის. ლაშამ აფთიაქთან მიირბინა და ფანჯარაში იჭვრიტება, უარის ნიშნად თავს უქნევს პლაშს (არაფერიაო). პლაში ანიშნებს რაღაცას. მაძებრები მდინარის სანაპიროზე ჩადიან.

– დაინახე? (ჩურჩულით)

– ხო, აფთიაქში ვინცხაა, მარა ვერაფერი დევინახე...

– სკოლისკენ ფონით გადავალთ, ხიდზე არ ვარგა, შეგვნიშნავს, საეჭვოა...

– მასე გადმოხვალ? (ანიშნა პლაშზე). დეიხრჩო გინდა?...

ბავშვებმა ტანისამოსი დიდ ქვასთან დატოვეს მდინარის სანაპიროზე... ტანისამოსია: პლაში (ქუდს და ჩიბუხს ვერ შეელია), მოკლე შარვალი და მაისური (ორივეს ასე აცვია, გურიაში ამ დროს ზაფხულია, ჩაცმულობაც ლოგიკური)...

– სკოლაში შენ წახვალ (ლაშას). უკეთ იცი, ყველაფერი მაქ...

– კაი...

– მერე ვმოქმედებთ გარემოების შესაბამისად, გააჩნია, რას აღმოაჩენ.

მდინარე გუბა ხიდის ქვეშ ორად იყოფა, კალაპოტი ფართოვდება. სკოლის მხარეს წყალი უფრო ღრმა არის, ხელოვნურად დაუგუბებიათ, რომ შემდეგ არხში გაუშვან, რომლის ბოლოსაც წყლის წისქვილია. მეორე წყლის

განშტოებას, ხიდას ცენტრისკენ, უფრო პატარა სიღრმე აქვს, მაგრამ ქვიანი ფსკერი და ფართო კალაპოტიც (შუაში ქვის ხელოვნური კუნძულით არის გაყოფილი მდინარე). მოშორებით ეს ორი განშტოება ერთიანდება და მოდიდო ტბორს ქმნის, სოფლელებისთვის საყვარელი საბანაო ადგილია (ჩამოსულებისთვისაც). მაძებრებმა ქვის ფსკერიან მდინარის სანაპიროსთან დატოვეს ტანისამოსი. ფონით ქვის კუნძულამდე გადავიდნენ, შემდეგ ტბორისკენ გასწიეს, სადაც წყალი (ტბორში ჩასვლამდე) მეჩხერდება და სიღრმეს კარგავს. ფონით სასურველ ნაპირზე გავიდნენ, იქვე სოფლის მოსახლის ეზოა, ბაღში თხილის ნერგებია გაშენებული. სკოლა მოსახლის ბაღის მოპირდაპირე მხარეს არის, საავტომობილო გზის მეორე მხარეს.

– ახლა შენი ჯერია (ანიშნა ლაშას).

ტრუსის ამარა დარჩენილი არტისტი ბაღიდან ფრთხილად გამოდის, გზას ზვერავს, ცარიელია ჯერ, მხოლოდ მსხვილფეხა საქონელი ჩანს (მაგათი არასდროს ერიდებოდა), გადარბის, სკოლის ეზოს პატარა რკინის ღობეს ახტება, პატარა ნაძვის ნერგებში და დეკორატიულ ბუჩქნარში ვარდება. იქვე იმალება, ღობის გასწვრივ გაშენებულ სიმწვანეში. ერთ-ერთი საკლასო ოთახის ფანჯარა ღიაა, ამჩნევს, მიირბინა და საკლასო ოთახში გადაძვრა. ამის შემდეგ შიოს თვალთახედვის არეალიდან გაქრა (ყველაფერს თხილნარის ბაღში დამალული ადევნებდა თვალს). მოლოდინი გამეფდა, სოფელიც ნელ-ნელა იღვიძებს. კვირა მნიშვნელოვანი დღეა ხიდასთვის და გარშემო სოფლებისთვის. სკოლის პირდაპირ, ბახმარო-ნაბეღლავის გზის გასწვრივ, საფეხბურთო მოედანია. რაც საბჭოთა წყობა დაიშალა, სტადიონის დანიშნულებაც მოიშალა. ადრე რაიონული დაბალი ლიგის ჩემპიონატები იმართებოდა. ახლა ზოგჯერ ფიზკულტურის გაკვეთილებს

მართავს აფრასიონი, პარალელურად – მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი ძოვს ბალახს, შინაური ფრინველი ჩინჩლავს და სხვადასხვა სოფლის გამოჩენილი მუტრუკობა (ასე უწოდებენ გურიაში მათ – ვინც ბირჟას ამაგრებს) თამაშობს ფეხბურთს პურ-მარილზე (ეს უკანასკნელი, კვირა დღეს ხდება). საუკეთესო მოთამაშე-ბომბარდირად "ხელმარჯვე ოსტატი" რაული ითვლება. რაულს ბევრი რამე ეხერხება: ელექტრიკოსია, მღებავი, ხარაზი, ოცლიტრიანი ადესის დაცლაც შეუძლია – მარტოს. ამ უკანასკნელის სიყვარულის გამო გახდა "ხელმარჯვე ოსტატი" (ასეა გავრცელებული ხალხში). წითური, ჭორფლიანი სახე, საშუალო სიმაღლის, გრძელი ცხვირით. ორმოცზე მეტს ვერ მისცემთ წლოვანებას. შიო იძაბება, დაზვერვის დრო გაჭიანურდა. შიშველი არტისტი სკოლის გაღებული ფანჯრიდან გადმოხტა და ღობის ბუჩქნარისკენ მორბის. ამ დროს გზიდან (რომელიც აღწერაში არ მიხსენებია) ხიდთან ახლოს არის, ბაღთან და არხთანაც, წყლის წისქვილის არხთან. რაული გამოდის ტრასაზე, ბადურის მსგავსი რაღაცით (სათავსი ან ჩანთა), ბურთი გადაუკიდებია, ღიღინით სტადიონისკენ მიდის. ლაშა ხტება სკოლის ღობეზე და ტრასაზე აღმოჩნდება ხელმარჯვე ოსტატის წინ, დაახლოებით ათ მეტრში. ოსტატი ჩერდება, ლაშაც ჩერდება, ერთმანეთს უყურებენ (ამასობაში ლაშას უკნიდან პატარა გოჭი უახლოვდება, რომელსაც ოსტატი ვერ ხედავს, ის ლაშას უყურებს), არტისტი ოთხზე დგება და ჭყივის გოჭივით, ოსტატი შეშფოთებით უყურებს ამ ყველაფერს და თვალებთან ხელები მიაქვს, რომ მოიჟღლიმოს (მოიწმინდოს, შეიზილოს). წამის უსწრაფესად ლაშა თხილნარის ბაღში ხტება ტრასიდან და იმალება, რაულის წინ მოჭყვიტინე პატარა გოჭი რჩება (რომელმაც ბანი ლაშას ხმას მისცა).

გაოგნებული ხელმარჯვე ოსტატი პირჯვარს იწერს, შემდეგ სამჯერ იფურთხება გოჭის მიმართულებით (წესია ასეთი გურიაში, როცა ეშმაკეულს გადაეყრები), ხელიც აუქნია, გოჭი დაფრთხა და გარბის.

– ნამდვილი ყოფილა, არ მომლანდებია, არ უნდა დამელია იალონზე... (ჩაილაპარაკა ოდნავ დამშვიდებულმა და სტადიონისკენ გზა განაგრძო).

იმპროვიზაცია, პრობლემის არაორდინალური გადაწყვეტა ბავშვის მოგონილია, მისი ფანტაზიის. როლთან ადაპტირება არ უჭირს, ეს თამაშის ნაწილია. ამას დიდები ვერ გაიგებთ, რადგან დაგავიწყდათ ბავშვობა, ან ივიწყებთ ნელ-ნელა.

ამასობაში მაძებრები თხილნარში სიცილით იჭაჭებიან.

– ეგ როგორ მოიფიქრე?(ლაშას) ცოტა სული მოითქვა...

– არტისტები მაგას ი მ პ რ ო ვ ი ზ ა ც ი ა ს უძახიან... რომ არ მექნა მასე, დამიწყებდა გამოკითხვას, ათას კუდს გამოაბამდა გაგონილს. ახლა ცხოვრებაში არავის მოუყობა, რა ნახა... (ჩაიფხუკუნა).

– იმედია, “უოტსონ” – დაზვერვამ როგორ ჩაიარა?

– აფრასიონა კაბინეტშია, სკოლაში მის გარდა დამლაგებელია – ლენა, მოხუცი ქალია. უთხრა, გევიგონე – “ფეხბურთის დროს უნდა წევიდეო, ცენტრშიო”, მარა ფეხბურთი საღამოს ხუთზე იწყება და მაგდენ ხანს აქანე რა ვაკეთოთ?...

– გაიმეორებ იმას, რასაც გავაკეთებ, ვიწყებთ გეგმა ბ-ს...

შიომ თხილის ახალი ნაყარი ნერგების ხელით შემოწმება დაიწყო (მათ სიმყარეს, დრეკადობას ამოწმებს) და საჭიროს რომ მიაგნო, მოტეხა.

– რად გინდა?

– ნახავ. შენც გაიმეორე, მაგარი დრეკადი ნერგი შეარჩიე, დაახლოებით ერთ მეტრამდე რომ იყოს, ორზე მეტი არ გინდა.

ბავშვებმა მოტეხილ ნერგებს ფოთლები იქვე გააცალეს. ერთმანეთზე გადააბეს ჯოხები და მდინარის ფონით თავის სალოკაციო ადგილს დაუბრუნდნენ, სადაც პლაში ინახება დიდ ქვასთან.

– რაღაც ამნაირი ვივარაუდე. თვალთვალში მთავარი მისი შენიღბვაა (ლეგენდა). ორი პატარა ბიჭი ამ დილაადრიან მდინარის ფონზე რომ გადავდივართ, ვიღაც მაინც დაგვინახავს და საეჭვოა, თან ამდენ ხანს მდინარის ნაპირთან რას ვაკეთებთ? რომ გვკითხონ? როცა დაინახავენ, რასაც ვაკეთებთ, არაფერსაც არ გვკითხავენ! (უხსნის ლაშას, თან პლაშის საიდუმლო გულის ჯიბეს ხსნის). ძუის გორგალი ამოაქვს ანკესის ტივტივებთან ერთად.

– კაუჭები არ წამომიღია, არც სიმძიმე. პატარა კენჭზე მოვაბამთ ძუას, რაც ტივტივას წყლის ზემოდან გააჩერებს და შორიდან ისე გამოჩნდება, თითქოს ვთევზაობთ.

– მასე ვერაფერს დევიჭერთ.

– უიღბლო დღე გვაქვს, თუ გვკითხავენ. მთავარია ხიდს ვუთვალთვალოთ, აფრასიონი რომ გადმოვა, დავინახავთ, მას ხომ სხვა გზა არა აქვს ცენტრისკენ. თვითონ თუ დაგვინახავს – ჩვენ მეთევზე ბიჭები ვართ (ცოტა ხანს ჩაფიქრდა) – ხო, მართლა, შენ მან ვერ უნდა დაგინახოს, გიცნობს. როცა განიშნებ, ქვის უკან დაიმალები, ისე, ვითომ ისვენებ.

არტისტი გაოცებული უსმენს: “გადამრევს აგი, რავა ყველაფერი გათვალა, ეშმაკის ფეხია”. ბიჭებმა აწყობილი ძუა ჯოხებს გამოაბეს და “თევზაობას შეუდგნენ”.

– თამამად მოიქნიე “ანკესი” უოსტსონ და არაფრის შეგეშინდეს, აქ წყალი მეჩხერია, პატარა სიღრმე აქვს, ქვიანი ფსკერია, რაც იმას ნიშნავს, რომ ცნობისმოყვარე, ბანაობის მოყვარული ადამიანებისგანაც დაცული ვართ, ისინი ქვემოთ შეიკრიბებიან ტბორთან და ჩვენ ყურადღებას არ მოგვაქცევენ... კარგად დაგეგმილი ოპერაციის შემდეგ, აფრასიონი უბრალოდ ვალდებულია შავბნელი საქმეების დაგეგმვით დაკავდეს – დღესვე!

მდინარეში მზემ ჩაიხედა, დილამ შუადღეში გადასვლა დაიწყო. მშვენიერი ამინდია. ყველანაირი, თევზი რაც კი არსებობს გურიის წყლებში, მოთვალთვალე მაძებრებთან იწყებს თავმოყრას. კალმახიც გამოჩნდა, გუბისთვის იშვიათობას წარმოადგენს, პატარა ჩქერიდან ხტება და პირდაპირ ლაშას ტივტივას გვერდით ადენს ზღართანს წყალში, არტისტის თვალწინ თევზის ქერცლიანმა ზურგმა მზე აირეკლა, ისე, რომ წითელი წინწკლებიც კი გაარჩია ...

– ვინცხა მაგრად მეღადავება, სად დეიკარგა ამდენ ხანს აფრასიონა?! გადამრევს აგი თევზები მე!

მდინარეში ხალხმრავლობაც შეინიშნება. ყველამ, ბანაობის მოყვარულმა, ტბორს მიაშურა.

– აჰა, ხედავ უოტსონ, ეგ არის მიზეზი – აი, რატომ არის მაგდენი თევზი ჩვენ გარშემო. მოცურავეებმა დააფრთხეს ტბორში და ჩვენსკენ გამოდენეს...

– ნემსები და ჭია რომ გვქონოდა...(დანანებით თავს აქნევს არტისტი).

– არავითარ შემთხვევაში! ორი საქმის ერთდროულად კეთება? – ერთიც არ გამოვიდოდა... ეს ელემენტარულია უოტსონ, ე ლ ე მ ე ნ ტ ა რ უ ლ ი.

– დროც რა ნელა გადის! (გახედა უკმაყოფილოდ ხიდს ლაშამ, დროდ წარმოიდგინა და შეუბღვირა).

– ასე მგონია, ჩვენც ვიღაც გვითვალთვალებს, აგერ, იმ ჭადრის ხიდან...

– რას არ მეიგონებ, აფრასიონაა უეჭველი (ეცინება ლაშას).

შიომ ეჭვით გააქნია თავი, მაგრამ თავად გრძნობა ვერაფრით მოიშორა. ასეთი გრძნობა ხშირად გეუფლება ადამიანს, ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე. თეატრში როცა ხარ, სცენას რომ ადევნებ თვალს, როგორ თამაშობენ პიესაში მსახიობები თავიანთ როლებს. როცა მაყურებელი ხარ ამ ყველაფრის, შემფასებელიც. მსახიობებს თავი ისე უჭირავთ, თითქოს შენ იქ არა ხარ! საუკეთესოებს ეს კარგად გამოსდით. მაგრამ უცებ რომ დაუშვა, რომ შენც (მაყურებელი) სცენაზე ხარ: შენს როლსაც თვალს ადევნებს უხილავი მაყურებელი, შენს თამაშს, და აფასებს, რამდენად კარგად გამოგდის.

სოფლების მაცხოვრებლები ჩვენი ისტორიის მიღმა დარჩნენ, ამ დროს ფუსფუსებენ, ცხოვრებაში არიან თავით ჩაფლულნი, ჯაფაში. ცენტრიც გამოცოცხლდა. მანქანებიც მოძრაობენ. პატარა მეთევზეებს ყურადღებას არავინ აქცევს, მათნაირი ბევრნი უნახავთ მდინარეზე, მსგავსება იმდენად დიდია ყოველდღიურობაში ჩაფლული ადამიანისთვის, რომ გამორჩეულ წვრილმანს ვერ ამჩნევს. თითოეული დღე რომ გამორჩეულია, მაგასაც ვერ ამჩნევს ან არ სცალია, ან არ აინტერესებს. იმდენად გამხდარა ერთფეროვნების ტყვე – მხოლოდ მე მაინტერესებს.

მარტო მე ვამჩნევ, მაგრამ მიუხედავად ჩემი სიფრთხილისა, შიომ მაინც შემნიშნა ჭადრის ხეზე დამალული, – ჯერ ადრეა, ყურადღებას ნუ მომაქცევთ, – ჩემი ჯერიც მოვა!

სოფლის ცენტრში მოფუსფუსე ადამიანები ძვალმსხვილმა ბიჭმა გადაჭრა შეუმჩნევლად. ხიდიდან მეგობრები შენიშნა და ხელის ქნევით მათთან დაეშვა სანაპიროზე.

– რამდენ ხანს უნდა იყოთ აქ? ბებიას დაცხობილი კეცის ჭადები ჩამოგიტანეთ, ყველთან ერთად, გაზეთშია გახვეული (დადო პარკი).

– ბებიებს ეჭვი ხომ არ აუღიათ?

– არა, რაფერც მოვილაპარაკეთ "შერლოკ", ექსპერიმენტს ვატარებთ ბაღჩის თხილებში ჩემთან – უფროსების შესვლა სასტიკადაა აკრძალული, ზღარბების ოჯახი რომ არ დაგვიფრთხონ, რომელსაც ვუთვალთვალებთ (ჩაარაკრაკა დაზეპირებული ტექსტი თომამ).

– მთავარ ზღარბს ქვია აფრასიონა (გაიკრიჭა არტისტი). ჩვენ აქანე ფეხბურთის დაწყებამდე უნდა ვიყოთ, აფრასიონა ფუღუროდან სანამდე არ გამოვა... (უკმაყოფილოდ ხსნის პარკს, იღებს შეხვეულ ყველის ნაჭერს, პირისკენ აქანებს და ჭადს შიოს აწვდის).

– კი იბანავებდა კაცი, ისეთი თბილი წყალია (ფეხს ჰყოფს წყალში თომა და ტბორთან შეკრებილ მოცურავეებს შურით უყურებს)...

– თევზებს ნუ გვიფრთხობ, ამეიღე ფეხი...(აგრძელებს არტისტი, თან ყველს ილუკმება)...

– არ შეიძლება, ლეგენდას საფრთხის ქვეშ ვერ დავაყენებთ.

– ჩემდა შეიძლება, აბა, თქვენთან როგორ მოვედი? – ბებიას ვუთხარი, ბიჭებთან ერთად მდინარეზე მივდივარ, შესვენებას ვაწყობთ ექსპერიმენტში, თქვენ ვითომ ადრე წადით და შუკაში მელოდებოდით – ასე რომ, ყველამ მის ლეგენდას მიხედოს (თვალს უკრავს ორივეს და ტბორისკენ გარბის)...

– წადი შენც, ორიდან ერთი ყოველთვის ნებდება ცდუნებას და დარდს წყალში იქარვებს... (ლაშა აგდებს "ანკესს" და თომას უკან მისდევს).

– მეიცა, დამელოდე!

– ლეგენდა?

– ცდუნებას ავყევი, უიღბლობას ვიქარვებ, დადარდიანებული ვარ.

ერთად მირბიან ტბორისკენ. შიოს ეცინება და თვალთვალს განაგრძობს.

იმ დროში, გურიაში, ტბორში ბანაობა პატარა ბიჭისთვის გართობას ნიშნავს და თვითდამკვიდრების ერთგვარი ტესტიცაა. ბიჭები და გოგოები ქმნიან საბანაო გეტოებს. ერთმანეთში აწყობენ შეჯიბრს, ცდილობენ გამოავლინონ საუკეთესო და ამ პროცესში შორიდან ადევნებენ ერთმანეთის მიღწევებს თვალს.

– ფუუ, გოგოებთან გვიწევს ახლოს ბანაობა, ყველა კაი ადგილი დოუკავებიათ ყაზილარებს, ფეხებში მოგვედებიან! (წუწუნებს არტისტი) გოგო, ლაშას ასაკში მყოფი გურული ბიჭისთვის არის: მოწუწუნე, თავხედი, გაურკვეველი არსება, რომელსაც საერთოდ არ ესმის მისი, ხელის შეშლის გარდა არაფერს აკეთებს. "ფეხებში მებლანდებიენ" (ასე ამბობს ხშირად).

– რას ერჩი, მიზდა არიან.

– რაიო? მაგი არავინ გეიგოს ბიჭებიდან, თვარა გოგოების მაჩალკას დაგვიძახებენ.

“გოგოების მაჩალკა” ნიშნავს: გოგოების საზოგადოებით დაინტერესებულ ბიჭს, რომელსაც ასევე გამოსდის მისი პერსონით დააინტერესოს (დაინტრიგოს) გოგოები. ტრიალებს მათ წრეში. ეს არ მოსწონთ სხვა ბიჭებს, რადგან არ ესმით (მათ ასაკში) რა არის საინტერესო გოგოებში. თან შურთ, რომ ეს საიდუმლო იმ გამორჩეულმა ბიჭმა მათზე ადრე ამოხსნა. იბოღმებიან მაგ ბიჭზე, გარიყავენ მათი საზოგადოებიდან და შეარქმევენ დაცინვით “გოგოების მაჩალკას”, რადგან მსგავსი რამ სხვამ ვერ გაბედოს (გაიმეოროს) მათი წრიდან. მაგრამ რამდენიმე წელიწადში ასეთი სტერეოტიპული აზროვნება გურულ ბიჭებში ქრება – იცვლებიან და თავადაც ზუსტად იმას სჩადიან, რის გამოც გარიყეს თავისი თანამოძმე ბავშვობაში.

– არ ხარ მართალი! არ დაეთანხმა მეგობარს თომა. და იმის საჩვენებლად, რომ გოგოებში საშიში არაფერია, რაც შეიძლება, ახლოს მიდის ტბორთან. ტბორის დასასრულს ბორცვი შენიშნა, სადაც ახლომახლო არცერთი ბიჭის ჭაჭანება არ არის. მხოლოდ ერთი-ორი გაბედული უფროსი გოგონა ბედავს ავიდეს ბორცვზე, რომლის კლდოვანი დაქანება ტბორში იყურება და გადახტეს წყალში.

– “მშიშრები”... (გაიფიქრა ბიჭების მისამართით).

ავიდა თამამად ბორცვზე, წყალთან მივიდა, ჩახედა (ჩაიღიმა, უფრო საშიში ეგონა თავიდან) გარემოს, გამარჯვებულის ღიმილით გახედა (გადასახტომად ემზადება). ბორცვის ქვემოთ, კუთხეში, მოფარებულში დანარჩენ სანაპიროდან (ბორცვზე თუ ახვალ, მხოლოდ

მაშინ ჩანს) გოგოებს ტანისამოსის გამოსაცვლელი კუთხე “მოუწყვიათ”. ზოგი მათგანი ირუჯება მზეზე, მოფარებული თვალთაგან.

სითამამე გურიაში წლების შემდეგ მოვიდა. სითამამემდე, გოგოები ერიდებოდნენ, როცა ბავშვობის ასაკს გადასცდებოდნენ და ქალობაში შეაბიჯებდნენ, ბიჭების თანდასწრებით თუნდაც საცურაო კოსტუმში გამოჩენას. ტაბუს მხოლოდ ჩამოსულები არღვევდნენ ხანდახან.

გოგოების კივილმა არემარე შეძრა. ჯერ პატარა გოგომ შენიშნა ძვალმსხვილი ბიჭი ბორცვზე, შემდეგ დანარჩენებმა. უფრო დიდებმა და თამამებმა ყვირილიც ატეხეს.

– გათახსირებულოო, უსირცხვილოო... უი, უი... (მოაღწია თომას ყურამდე).

ბიჭი დაფრთხა, თავდაპირველად გოგოების კივილმა გაახედა მათი სამალავისკენ. ყველას, რაღაცის აფარება მოესწრო (ყველაზე პატარასაც კი), არაფერი დაუნახავს ისეთი, როგორი ეპითეტებითაც შეამკეს გოგოებმა. კივილმა ერთ-ერთს გონება გაუნათა, მიახვედრა გონებამ, შური როგორ უნდა ეძია ძვალმსხვილ ბიჭზე. ჰაერში ქვამ გაიზუზუნა, თომას პირდაპირ მუცელში მოხვდა, ძვალმსხვილობისგან წარმოქმნილმა ღიპმა ქვა აისხლიტა და წყლის მიმართულებით გაუშვა, მაგრამ ანაბეჭდი მაინც დარჩა სხეულზე სიწითლის სახით (მიუხედავად ასხლეტისა, ძალიან მტკივნეულია).

– გ ა დ ა რ ე უ ლ ე ბ ო ო ო... (დაყვირებაღა მოასწრო და წყალში გადაეშვა) წამის უსწრაფესად, ქვების წვიმა დაეწია უკნიდან. ფილმებში ალბათ გინახავთ სცენები, როცა მთავარი გმირი შეიარაღებულ, გაავებულ მდევარს

გაურბის. და თავის გადასარჩენად წყალში ხტება. შემდეგ, წყალქვეშა კადრს გვაჩვენებენ, სადაც ტყვიები სასწაულად გვერდს უვლიან გაქცეულს, ხოლო რამდენად ახლოს ჩაივლის სხეულთან ტყვია, წყალში გაჩენილი ხაზები (ტყვიის ტრაექტორია) მიგვანიშნებს ამას. თომაც ანალოგიურ დღეშია. ოღონდ მას გაუმართლა. ტყვიისგან განსხვავებით, ზოგიერთი ქვა წყლის ზედაპირთან შეხების დროს ძალას კარგავს და წყლის ქვეშ უკვე ნელა ეშვება (მთავარია, თავი არ ამოყოს წყლიდან ცოტა ხნით, რათა სახიფათო ადგილს გასცდეს). ლაშამ თავისი თვალით იხილა, თუ რა დღე დააწიეს გოგოებმა მათ მიმართ ტოლერანტულად განწყობილ ბიჭს. იმდენად სწრაფად მოხდა ეს ყველაფერი, რომ არტისტმა ვერაფერი მოისაზრა, გარდა სეირის ყურებისა. ერთი ხანობა ქვაც კი აიღო, მეგობრის გასაჭირი რომ დაინახა, მაგრამ გავეშებული გოგოების არმიამ გადააფიქრებინა. (თომას ტანსაცმელს ხელი დაავლო და ტბორის სანაპიროს ხელის ქნევით ზემოთ აუყვა)

– თავი არ ამოყო, ჯერ არაააა! (უყვირის მეგობარს ნაპირიდან, თან ანიშნებს, საით გაცუროს).

გურული ქალი არავის არაფერს შეარჩენს! რადგან გოგოები მისი პატარა ვერსიები არიან, საქციელით ჰგვანან – მათი არმია ბორცვს გამოსცდა. სანაპიროდან ქოქოლას და ქვას არ აკლებენ ძვალმსხვილ მოცურავეს. ერთმანეთს ეცვლებიან კიდეც, ქვისმსროლელთა ათეული ცალკეა, ქოქოლისდამყრელების ცალკე.

– უკან არ მეიხედოო, გაღმა ნაპირზე გადიი (ანიშნა ძალიან შეშფოთებულმა არტისტმა, არანაკლებ გადარეულ-შეშინებულ, დაღლილ თომას).

– ჰაააიიიტ!...

დასჭყივლა წვრილმა, მაგრამ ბავშვურმა ხმამ.

ხმის მხარეს ჯერ ლაშა მიბრუნდა (დანახულმა პირი დააღებინა), შემდეგ გოგოების არმია.

პატარა ბიჭი გადმომდგარიყო, საავტომობილი გზის კუთხეში... შემაღლებაზე... საგარეო მოკლე შარვალი ჩაეწია (ტრუსიც), ხელები მაღლა აღემართა და წელსქვემოთა სიშიშვლეს თამამად უჩვენებდა გოგოების გაავებულ არმიას.

ცოდვა გამხელილი სჯობს. გიორგიმ "შოტლანდიური მეთოდი" ადრეც გამოიყენა. ოღონდ მაშინ ეს მეგობრის გადასარჩენად მოიმოქმედა. ბათუმი-ნაბეღლავის სამარშუტო ტაქსიდან ჩამოსულმა ბიჭმა (კვირა დღეს ციალამ ჩამოიყვანა სოფელში)... მდინარეს გადახედა, ბებია ამ დროს სოფლისკენ მიმავალ მანქანას ეძებდა და მანაც დრო იხელთა (სიამოვნებდა პატარას ტბორში მოცურავეთათვის თვალის დევნება)... თომას გაჭირვებასაც თვალი შეასწრო... სხვა ვერაფერი მოიფიქრა. დრო ცოტა ჰქონდა და ეშინოდა, თომასთვის ქვას თავი არ გაეტეხა. შიოს ამ ყველაფერზე თავისი აზრი გააჩნია. მისი ვერსიით გიორგი პატარა ექსჰიბიციონისტია. ასეთი ადამიანები სიშიშვლის შანსს ხელიდან არ უშვებენ, უბრალოდ მიზეზს ეძებენ. რატომ სჭირდებოდათ სიშიშვლე სხვების თვალწინ? შიომ არ იცოდა. სადაც ამოიკითხა, ამაზე არაფერი ეწერა. მაგრამ ის კი იცოდა, რომ ასეთი გამორჩეული ადამიანები ძველ ანტიკურ ხანაშიც ცხოვროდნენ და ძველი ბერძენი ფილოსოფოსების თვალწინ შიშვლდებოდნენ. ერთ ფილოსოფოსს თურმე ისე მოეწონა მათი მეთოდი, თვითონაც გაშიშვლდა და კასრში ჩაჯდა.

შემდეგ ამ გაშიშვლებული ფილოსოფოსის სანახავად თვით ალექსადრე მაკედონელიც მივიდა და მზე დაუჩრდილა.

შიოს სჯეროდა, რომ ეს განსაკუთრებული ნიჭი მომავალში გიორგის დიდ პოპულარულობას მოუტანდა. რაც მთავარია, პატარა ბუშმენის მეთოდმა გაავებული არმია ცოტა ხნით შეანელა და თომას დროს მისცა გაღმა ნაპირზე გასულიყო.

მეზღვაურები, ზღვაში დიდხნიანი ნაოსნობის შემდეგ, ხმელეთის (თუნდაც კუნძულის) დანახვისას, სიხარულისგან ყვირიან – მ ი წ ა ა ა... თომასაც გაუხარდა ფსკერის ფეხქვეშ შეგრძნება, ნაპირის სიახლოვე. ქანცგაცლილი გალასლასდა სანაპიროზე (მეორე მხარეს) და როგორც კი მის ფეხქვეშ ნიადაგის სიმყარე შეიგრძნო, ჯერ მუხლებზე დავარდა (თითქოს ლოცვის აღვლენას აპირებდა გადარჩენისთვის), შემდეგ დაღლილ მხრებს დაემორჩილა და მიწაზე დაემხო. ისვენებს, ხშირი სუნთქვით სულის მოთქმას ცდილობს.

– ... ს ი რ ცხ...ვ ი ლ ო ო... (ჩაესმა გაღმიდან, წყვეტილად, ნაცნობი ეპითეტი, დანარჩენი სიტყვები მდინარის ხმამ ჩაყლაპა), ფეხებს ძალა დაატანა, წამოდგა. წალასლასდა, სანაპიროს გასცდა. შემხვედრ ღობეზე გადაბობღდა და ბაღში გაშენებულ თხილნარში გაუჩინარდა.

საკუთარი თავით კმაყოფილმა გიორგიმ შარვალი აიწია. გოგოების არმიას დამცინავად გადახედა (ენაც გამოუყო) და ბებიასკენ გაიქცა, რომელსაც ამასობაში, ტაქსი ეშოვა (შიომ ანიშნა, რომ ბებიებისთვის არაფერი მოეყოლა... თან ცერი თითით საქციელიც შეუქო)...

ამ შემთხვევამ შიო და გიორგი ერთმანეთს დააახლოვა. რადგან ერთი ქალაქიდან იყვნენ ორივე და როგორც

ბოროტი ენები ამბობენ, “ბათუმი დიდი სოფელია”, ერთმანეთი ადვილად იპოვეს. შიომ ჭკუისდამრიგებლის როლი ადვილად მოირგო... ასაკში სხვაობის და ნაკითხობის გამო. მაგრამ ასევე საიდუმლოს გამოც. ისე არაფერი არ აკავშირებთ ბავშვებს, როგორც საერთო საიდუმლო. საქმე ასე გახლდათ: ციალა (გიორგის ბებია) ათეისტია. ეს მისი პროფესია არ არის. პროფესიით ბაგა-ბაგის ამღზრდელია. შანსს არ უშვებდა ხელიდან, რომ არ მოეყოლა ისტორია, თუ როგორ გახდა ათეისტი. ახალგათხოვილი ციალა დედამთილმა ეკლესიაში მიიყვანა. დედამთილები ყოველთვის ცდილობენ, რძლები თავის ჭკუაზე ატარონ (ასე ხსნიდა ამ შემთხვევას ციალა). დედამთილს სჭირდებოდა რაღაც საერთო რძალთან, რომელსაც შემდეგ გამოიყენებდა მასზე მანიპულირებისთვის (ესეც ციალას ვერსიაა)... ზაფხული იყო, ციალას ჩითის კაბა ეცვა და ახალგაზრდობაში მიმზიდველ ქალსაც ჰგავდა. ღვდლის ყურადღება ტაძარში შესვლისთანავე მიიქცია. ჩითისკაბიანი ქალი ღვთისშობელთან მივიდა, პირჯვარი გადაიწერა ხატთან... (მიბაძვით გადაიწერა, ზუსტად ისე, როგორც მისმა დედამთილმა სხვა ხატებთან)... უკნიდან ვიღაც მიუახლოვდა და ყურში ჩასჩურჩულა “შენ თვითონ ანგელოსო, ვისზე ლოცულობ?” თეძოზე ჩქმეტაც იგრძნო... ოღონდ ამ მომენტს ისტორიაში ყოველთვის გამოტოვებდა ხოლმე. ციალა წუთით გაიტრუნა (გაშტერდა). ღვდლისგან ამას არ ელოდა. ღვდელი დედამთილის მოძღვარი აღმოჩნდა. ოღონდ, დედამთილი ასაკში იყო და არც მიმზიდველი ქალი ეთქმოდა (ესეც ციალას ვერსიაა)... ამ შემთხვევის შემდეგ, ციალამ ეკლესიიდან ფეხი სამუდამოდ ამოიკვეთა... და ისტორიის დასასრულს სხვებსაც იგივეს ურჩევდა. მორალი ამბისა ეს იყო. გიორგი გაბრაზდა (ბებიაჩემს რაფერ აკადრა მაგი სიტყვებიო.

ჩქმეტაზე რომ გაეგო, სულ გადაირეოდა და დასამბელი გახდებოდა). დახმარება შიოს სთხოვა. მასზე ჭკვიანს ბათუმში არავის იცნობდა... თან, ვინ გაივლიდა შვიდი წლის ბავშვის ჭკუაზე?

დიდმარხვის ერთ დღეს, დილით ალიონზე, მოღრუბლული დღე თენდებოდა ზღვისპირა ქალაქში და ცა წვიმას (ან შტორმს) იუწყებოდა. როცა ღვდელი ტაძრიდან გამოვიდა, უცნაური რამ იხილა. ეკლესიის ეზოს შემოსასვლელში, ზუსტად ჭიშკართან, დედიშობილა პატარა შაგვრემანი ბიჭი დამდგარიყო (როგორიც მას ბათუმში არასოდეს უნახავს), ხელები ზეცისკენ აღეპყრო პატარას და მკაცრი სახით მას უყვიროდა...

– ანგელოსებს თავი დაანებე!... ანგელოსებს თავი დაანებე!

მკაცრად თორმეტჯერ გაიმეორა. ბოლოში "ცოდვილოო" დააყოლა (ზუსტად ისე, როგორც შიომ ასწავლა)...

ღვდელი დაფრთხა... ქვაფენილზე მუხლებზე დავარდა და შეძრწუნებულმა თავი ქვას ახალა. ბავშვები მისი რეაქციით შეშინდნენ და გაიქცნენ.

მეორე დღით წირვაზე, მრევლმა ყველაფერი შეიტყო. "ტაძარს თურმე შავი ეშმაკი ესტუმრა, დედიშობილა ბავშვის სახით, რადგან მოძღვარმა წინა დღეს მარხვა დაარღვია და აჭარული ხაჭაპური მიირთვა (ეს მან წირვაზე აღიარა)... უფლის რისხვამაც არ დააყოვნა, დამსჯელად პატარა შავი ეშმაკი მოუვლინა. ღვდელი ფიქრობდა, რომ უფალი მოწყალეა, ეშმაკმა ეკლესიის ეზოში ვერ შეაღწია (რადგან ეშმაკებს წმინდა მიწაზე და ტაძარში შესვლა არ შეუძლიათო), ხოლო მისი სიტყვები გაფრთხილება იყო, "მომავალში მასე აღარ მოიქცეო"... შიოს მოფიქრებულმა

“საკვანძო სიტყვამ” (ანგელოსებს თავი დაანებე!) არ გაამართლა ერთი მიზეზის გამო – ღვდელი სხვა აღმოჩნდა.

ბავშვებმა გამოუცდელობის გამო ვერ მოიფიქრეს... “ჟინმორეული კაცი, რომელიც ახალმოქცეულ ანგელოსებს თეძოზე ჩქმეტდა, ეკლესიაში დიდხანს ვერ გაძლებდა”. ისტორია ციალას საბჭოთა ბათუმში გადახდა, როცა ხელისუფლება რელიგიის მიმართ უფრო ტოლერანტული გახდა (ეკლესიებში ხალხს შესვლას აღარ უშლიდნენ). ანგელოსების მოყვარულმა მამაომ საბჭოთა კავშირი 80-იანებში დატოვა (ზღვით გადასცურა თურქეთში). ანკარაში პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. მაგრამ ანკარამ იგი ათენს გადასცა.

ათენში ჟინმორეულმა კაცმა პირველად იხილა ფილმი “ექვსი შვედი ბენინგასამართ სადგურზე” (Sechs Schwedinnen von der Tankstelle, 1980)... როგორც ბოროტი ენები ამბობენ, “ათენში საბერძნეთის მთავრობის პასუხისთვის აღარ დაუცდია... ფილმმა დაარწმუნა, ნამდვილი ანგელოსები სად ბინადრობდნენ სინამდვილეში და შვედეთისკენ მიმავალ გზას ფეხით დაადგა”... ბიჭების შურისძიების მსხვერპლი სხვა ადამიანი გახდა. “მაგიზა ბევრი არ უნერვიულიათ... უდანაშაულო მაგიც არ ყოფილა თურმე (შიომ)...” საიდუმლოდ შეინახეს და ცხოვრება განაგრძეს...

დროა გუბაზე დავბრუნდეთ...

გავა ხანი ამ შემთხვევიდან და გავრცელდება თქმულება – მდინარე გუბის შიშველ, მსუქან მანიაკზე, რომელიც შანსს არ უშვებს ხელიდან გოგოებზე საჭვრიტინოდ. იმასაც ამბობდნენ, “ჩემი თვალით მაქ ნანახი, რაფერ მიათრევდა ერთ გოგოს მაგი ავადმყოფი წყალში”. რატომ მიათრევდა? ეგ არ კონკრეტდება არასდროს. ყველა გოგოს რაღაც ბრილიანტი აქვს, რომლის ბრწყინვალება იმდენად დიდია

(იდუმალიც), რომ გამოცემული სხივები (სინათლე) ცნობისმოყვარეს თვალს სჭრის, და თუ გოგომ ჩათვალა ცნობისმოყვარეობა საეჭვოდ, ცნობისმოყვარე არასაინტერესოდ (არასიმპათიურად) – ის დაისჯება! დიახ, დაისჯება თავისი ცბობისმოყვარეობისთვის. ფაქტები არავის აინტერესებს! ფაქტები მხოლოდ ეჭვია იმისა, რომ მათი ღირსება შელახეს.

თქმულებაში გიორგის არ ახსენებენ. ლაშა და შიო დარწმუნდნენ, რომ გოგოები ყველა ბიჭს ერთი თვალით არ უყურებენ. ის, რაც ეპატიება პრივილეგირებულ კასტაში გაყვანილებს, სასტიკად ისჯება მის მიღმა აღმოჩენილთათვის. რატომ იქცევიან ასე? ეს მხოლოდ გოგოებმა იციან (ასე ფიქრობენ ბიჭები).

– რას უფრთხილდებით ამისთანაას? (დაუყვირა არმიას არტისტმა). რა დეინახა? (გაღმა ნაპირისკენ ანიშნა).

– დეეწიე, კითხე და გეტყვის თვითონ (უპასუხა მათმა საერთო ხმამ – ლაშას ასე მოეჩვენა)!

შეწყვიტა გოგოების არმიის გამოკითხვა. შიომ რაღაც ანიშნა და მას გაახსენდა, რისთვის იყვნენ აქ სინამდვილეში. ნებისმიერი სხვა რამ გამოიწვევს არაჯანსაღ ინტერესს მისი და შერლოკას თევზაობის მიმართ, რაც სპეცოპერაციას საფრთხის ქვეშ დააყენებს.

ახალი პრობლემაც გაჩნდა. საჭიროა თომას ევაკუაცია გაღმა ნაპირიდან, სასწრაფოდ! თან ისე, რომ ცნობისმოყვარე სოფლელებმა ვერაფერი შენიშნონ.

ორი მეთევზე-მაძებარი ერთმანეთში კონსულტაციებს გადის გადარჩენის გეგმაზე, უფრო სწორად, შიო მითითებებს აძლევს არტისტს, როგორ ჩატარდება ყველაფერი (თან უნდა იჩქარონ – ფეხბურთის დაწყებამდე

და აფრასიონის სავარაუდო გამოჩენამდე ერთი საათიღა დარჩა). ბოლოს ხელისგულები დაარტყეს ერთმანეთს, რაც ნიშნავს – გეგმა მოქმედებაში მოვიდა.

– აქანე ვერაფერი დევიჭირე, გაღმა ნაპირზე მოვსინჯავ, იქნება გამიმართლოს?! (თავს უკმაყოფილოდ აქნევს არტისტი, ხელებსაც შლის, სიტყვებს მეტი დამაჯერრებლობა რომ მისცეს).

– კაი აზრია, მოსინჯე!

ბავშვის ტვინი ისეა მოწყობილი, თამაშში ყველა ნიუანს იცავს. ვაიდა, ვიღაცამ იეჭვოს, ან გაიგოს ჩანაფიქრი?! (მერე რა, თუ ახლომახლო არავინაა და მათ საუბარს ვერავინ გაიგებს – ჟანრის კანონი მოითხოვს ამას და ბოლომდე ასრულებენ). ლაშა თომას ტანსაცმელს ისე დებს პარკში, როგორც თავისას. ასევე კედებსაც (რომელიც მდინარეზე მოსიარულე ბავშვის უცვლელი ატრიბუტია) თავს უკრავს პარკს, წყლის შხეფებმა რომ არ შეაღწიოს. ანკესის (თხილის ნერგი) ჯოხის წვეროზე ამაგრებს. ფონით ვერ ისარგებლებს (გოგოების არმიასთან ახლოა), ამიტომ მდინარის უფრო ღრმა წყალში მოუწევს გასვლა (რომელიც მეთევზეებთან პირდაპირ არის ქვიშის კუნძულის მიღმა). იქვე ტალახში ხელს ისვრის და თითებით თვალის გუგებსა და ლოყას შორის ორ ხაზს იკეთებს – “კომანდოში” უნახავს ასე (არნოლდ შვარცენეგერის გმირს ბაძავს). რიტუალები პატარა ბიჭებს სითამამეს მატებს, ჩანაფიქრის თანმდევი საფრთხე ქრება, ადვილად გეჩვენება, გულიც გიყუჩდება. ბიჭურად გადახედეს ერთმანეთს მაძებრებმა, ოდნავი შესამჩნევი თავისდაკვრით (ფილმებში ენახათ, დრამატულ ეპიზოდებში) გამოემშვიდობნენ საკუთარ ეჭვებს და შიშს. თვალებში სიმტკიცის ნაპერწკალი აინთო. ფათერაკებისთვის შემზადებულმა არტისტმა წყალში

შეაბიჯა. კუნძულზე ადვილად გადის. მდინარის განშტოება (ქვიანი ფსკერით) დიდ დაბრკოლებას არ წარმოადგენს. მოვიდა მდორე წყლის ჯერიც (რომელიც კუნძულს იქით ხელოვნურად დაუგუბებიათ, რათა მისი ნაწილი არხში წავიდეს). მდინარე აქ არხის ქვემოთაც საკმაოდ ღრმაა. შეაბიჯა წყალში, ფსკერი სილიანია და ქვემოთ მიიწევს. ძალიან სწრაფად წყალმა წელამდე უწია, ნახევარიც არ გადაულახავს ფსკერი, ისევ ქვემოთ მიიწევს. ჯოხზე მობმული პარკი რომ არ ართულებდეს საქმეს, მდორე წყალს გადასცურავდა ლაშა. აქ კი სიფრთხილეა საჭირო. პარკი თუ წყალში ჩავარდა, არ ივარგებს, დასველდება ტანისამოსი (პარკი მთელი არ არის), გასაშრობი დრო კი არა აქვთ, დროში ისედაც იწვებიან. გზას აგრძელებს, წყალი ყელამდეა. ჯოხი დროშასავით ტარით ზემოთ აუწევია, ალმის ნაცვლად პარკი ფრიალებს. წინათგრძნობა ეუბნება, წყალი ძალიან ღრმა შეიძლება აღმოჩნდეს (უკან დაბრუნება გვიანია). ფეხი გადადგა ფსკერის მოსასინჯად, არაფერია წყლის გარდა. შემობრუნებას აპირებს, ფსკერი, რომელზეც იყო დაყრდნობილი, ჩაიშალა. მალე დაყვინთავს, წყალი ცხვირთანაა. უცებ ფეხებით ფსკერს ეხება, ფსკერს არა, რაღაცას, ვერ გაურკვევია, რა უნდა იყოს. ეს რაღაცა ზემოთ ისვრის ლაშას, წინ. გაოცებული (და შეშინებული არტისტი) წყლიდან ამოხტა (ამოისროლეს), ბაყაყივით გაუფშეკია ფეხები, მაგრამ ჯოხი ხელში მაინც მყარად უკავია (მთელი იმედები მასზე დაუმყარებია რატომღაც), წყალში ვარდება ისევ, ოღონდ ამჯერად ორივე ფეხით სილის ფსკერში ერჭობა, წყალი წელამდეა. წარმოქმნილმა შხეფებმა პარკის დასველება ვერ მოახერხა. რაც მოხდა, ვერავინ დაინახა. შიოს კუნძული უფარავდა თვალთახედვის არეალს. ქვემოთ ტბორთან მხოლოდ წყლის შხეფებს შეამჩნევდნენ, ეს კი არავის გაუკვირდებოდა მდინარეზე. ბავშვობაში ბევრი

უცნაური რამ გინახავთ. მოზარდობის ასაკში სამუდამოდ ივიწყებთ გონებისთვის აუხსნელ უცნაურ შემთხვევას და ფანტაზიას მიაწერთ. შეიძლება უკვე ზრდასრულ ასაკში მყოფსაც გაგახსენდეთ ბავშვობის ანომალიური შემთხვევები, მაგრამ აქ დრო (გასული წლები) აღიმართება გადაულახავ კედლად და ვეღარ არჩევთ – სიზმარში იყო ეს ყველაფერი თუ ცხადში. ლაშას გონებაშიც ბავშვმა იმძლავრა. აქ მთავარია, რომ გადარჩა, საფრთხე ჩავლილია და თამაშიც გრძელდება.

სანაპიროზე გადის. გამოხედა წყლის მდორე დინებას, სადაც ცოტა ხნის წინ კინაღამ დაყვინთა, მაგრამ ვერაფერი შენიშნა საეჭვო. მდინარე მიედინება, როგორც მას სჩვევია. რამდენი რამ გადახდენია გზაზე, ჩქერებში, მორევებში. ბევრ საიდუმლოსაც მალავს პატარა ტალღებში. მაგრამ მდინარე, მხოლოდ იმიტომ, რომ პატარა ბიჭი ხარ – არაფერს გეტყვის! რადგან შენისთანა პატარა ბიჭი ბევრი უნახავს. – "ქვა იყო, უეჭველი. დიდი ქვა! გამიგია სპირიდონ ბაბუისგან – რო ადიდდება გუბა, ბაბუა, მოაქ ათასი რამე ბახმაროს მთებიდან. ობორნიაში როა, იგიც მუაქ (გააჟრჟოლა ზიზღით, ეს რომ გაიხსენა), მოგლეჯილი ხეები, ჩამოშლილი ქვა-ღორღი. ხოდა, მერე გზაში ამ ქვებით კი ავსებს კალაპოტს. – წყალქვეშა ქვა იყო, დავადგი ფეხი და ამოვხტი ზევით". დაასკვნა არტისტმა ფიქრებში. დროს მოცდა არ უყვარს, თავისი გრაფიკი აქვს. რაც არ უნდა განიცადო, რასაც არ უნდა აკეთებდე, დროის მსვლელობა გაბრუნებს იმ რეალობაში, სადაც შენი დრო გადის და სულიერი მდგომარეობა – სულ ფეხებზე ჰკიდია! (ნებისმიერი ასაკის ადამიანს ეხება). ეს მიზეზი აღმოჩნდა საკმარისი ფიქრის შეწყვეტისთვის. დასკვნა "წყალქვეშა ქვა" ლაშასთვის საკმარისია, თავისი დრამა დაივიწყოს და საქმეს მიხედოს. სანაპირო

შეათვალიერა, მოძებნა სასურველი ადგილი. ქვიშის სანაპირო ზემოთ ოდნავ მაღლდება (ხიდისკენ). ბორცვი ნიადაგისაა, სადაც თხემლის ხეა ამოზრდილი. ადიდებულ მდინარეს ნიადაგი ჩაუჭრია ისე, რომ ხის ფესვებიც კი ჩანს, მაგრამ ხეს ხელს არ უშლის მყარად იდგეს. ტოტები პირდაპირ მდინარეში იყურება, ხოლო ტანი, თუ მის უკან დავდგებით სათევზაოდ – ტბორიდან, ცნობისმოყვარეთა თვალთაგან დაგვფარავს. – "ახლა საჭიროა ქვა" – ქვის პოვნა მდინარის სანაპიროზე პრობლემას არ წარმოადგენს. საოცარი ფერის, ფორმის ქვებს შეხვდებით მდინარე გუბაზე... აი, პოულობს. ბრტყელი ფორმის – არც ძალიან მძიმე, არც მსუბუქი. ქვას ბორცვზე, ხესთან ტოვებს. ისევ ბრუნდება და ძებნას განაგრძობს. იდენტურ ქვას პოულობს ფორმით, ოღონდ ოდნავ მძიმეს – "ძაან კაი". ბრუნდება ხესთან. ნაპოვნ ქვას ქვაზე დებს, ჯდება ქვებზე და "თევზაობას იწყებს". შიოს აზრით – ნებისმიერ თამაშში საჭიროა – ჩანაფიქრის (გეგმის) ზედმიწევნითი შესრულება. თუ მაძებარი ხარ და ჯაშუშობა გიწევს, უნდა მოახერხო, არ გამოირჩეოდე საერთო ხედში, შენი ქცევა არ უნდა იყოს საეჭვო. – "ცოტა ხანში ვდგები ფეხზე და უკმაყოფილოდ ვაქნევ თავს" – ფუუ, აქანეც ვერაფერი დევიჭირე (ხელებს შლის და შემდეგ მჯიღს აჩვენებს მდორე წყალს) – ცოტას ვიქნები და მერე გადავალ მეორე მხარეს (აყოლებს ბოლოს). ბავშვების აზრით, ხმამაღლა საკუთარი აზრის თქმა, სხვას, რომელსაც უსმენთ, დააბნევს. წარმოდგენაც არ აქვთ, ვინ არის ეს "სხვა", მაგრამ ფილმებში, სატელევიზიო პიესებში ხომ "ფიქრობენ ხმამაღლა"? მერე რა, რომ ამის საჭიროება არ არის, ალბათ ამით იმ "სხვას" აბნევენ. ლაშამ ჯოხის (ანკესის) ტარი ქვებს შორის ამოდო (რომელზეც ზის), სიმყარე შეამოწმა (დრეკადობაც). რომ დარწმუნდა, არაფერი ემუქრებაო, გაიპარა ხის უკან გაზრდილ გვიმრნარში (გურიაში ბევრი

იზრდება გვიმრა). მიფოფხავს მიწაზე, თან ცალ ხელში პარკში გახვეული თომას ტანსაცმელი ჩაუბღუჯია.

შეშინებული ძვალმსხვილი ბიჭი მთელი ამ ხნის განმავლობაში არტისტის წარმოდგენას თხილნარიდან ადევნებდა თვალს. – "არ დამტიებენ ბიჭები მარტო, შიშველს." ამის იმედი ჰქონდა. მაგრამ გადარჩენის ოპერაციას შიო ასე თუ გაართულებდა (აბა სხვა ვინ?) ამას ვერ წარმოიდგენდა. გვიმრები თხილნარის ღობესთან სრულდება. თომამ ქვის სროლით ანიშნა ლაშას, სად უნდა მიფოფხებულიყო. ახლა ორივე ზურგით არიან ღობერს მიყრდნობილი სხვადასხვა მხარეს.

– რა დეინახე?

– რა? (არ ელოდა ასეთ დასაწყისს თომა).

– რამ გადარია გოგოები?

– რას გეიგებ მაგენისას! რა ვიცი მე?! მომეცი ტანსაცმელი და კედები!

– კაი (პარკი ღობერს გადააფრინდა). ახლა კარგად მომისმინე! რომ გახვალ ტრასაზე და ხიდთან მოხვალ, დეელოდე ხალხს ან ავტობუსს – გეიგე?!

– რატომ?

– შიომ თქვა: "ინციდენტის" შემდეგ, პატარა "ძვალმსხვილი" ბიჭის ხიდზე მარტო გადმოსვლა ზედმეტ ყურადღებას მიიპყრობს. სხვებთან ერთად, ტბორიდან, არ იქნები თვალში მოსახვედრი. თუ ავტობუსი გადმოვიდა მაგ დროს, მთლად უკეთესი – საერთოდ არ გამოჩნდები. ახლა მთავარი – პარკი დაკეცე და ჯიბეში ჩაიდე. როცა ხიდზე გადახვალ, ჩვენც ვერ დაგინახავთ. პარკს, სხვების შეუმჩნევლად, ჩვენს მხარეზე რომ წყალი ჩამოდის (სადაც

თევზაობენ), ხიდის საწინააღმდეგო მოაჯირიდან ჩამოაგდებ, წყალი პარკს ჩვენ წინ ჩამოატარებს, ეს იქნება ნიშანი – მიხვდი?!

– რაა?

– რაის რაა?! (გაბრაზდა ლაშა) ყველაფერი ზუსტად უნდა გააკეთო – გეყურება შეენ?!

– გამოგაშტერებს შენ მაგი! და უბრალოდ რომ გადმევიარო ხიდზე, ვითომ რა იქნება?!

– აუუუუ... (თავში ირტყამს ხელს) გადამრევ შენ მე! იგი იქნება რომე – დაგინახავს ვინმე გოგოებიდან, ატეხავს ალიაქოთს! მაგენთან ხუმრობა რო არ შეილება, გემახსოვრება შენ! ამოვლენ ხიდთან, რამე მოხდება და "მოგხვდება"! აფრასიონა კიდე რომ ნახავს ალიაქოთს, მეერიდება შავბნელი საქმეების გაკეთებას – გადადობს სხვა დროიზა – გეიგე ახლა?!

– ხო, კაი. (დაიწყო ბუზღუნი თომამ) მომკლა თქვენთან ლოლიავმა!

– თომა ცხომაძე! თუ რამე მოხდა და ჩაგვეშალა საქმე – ყველა ხიდაში მცხოვრები გ ო გ ო გეიგებს შენს ს ა ხ ე ლ და გ ვ ა რ ს! ამას ვიზამ მე! – ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ს ა ც! (დააყოლა ბოლოს).

– კაი, ხო! რა დაგემართა, ვიხუმრე! ყველაფერს ზუსტად გავაკეთებ – გადარეულებო (ამ დროს ღიპზე მოისვა ხელი – ახსოვდა მწარედ და მეორედ ვეღარ გადაიტანდა).

გიორგის გმირული საქციელი, რომელმაც მისი სიცოცხლე იხსნა, თომამ ვერ დაინახა. ლაშას არაფერი მოუყოლია, დრო დაზოგა (თანაც ფიქრობდა, ალბათ არც აინტერესებსო).

– წავედი, მეტი დრო აღარ მაქ! გაფოფხდა ლაშა გვიმრაში. “– რა მაგარი რაცხა ყოფილა მ ო ტ ი ვ ა ტ ო რ ი! რა სწორად გამეიცნო შერლოკამ, დაგვჭირდებაო – ეშმაკის ფეხია ნამდვილი”. “მოტივაცია არის უნარი, ადამიანი იქამდე მიიყვანოთ, რომ გააკეთოს ის, რაც საჭიროა, როცა საჭიროა და როგორც საჭიროა, თითქოს ეს თვითონ მას სურს” – შიო. სინამდვილეში ეს სიტყვები დუაიტ ეზენჰაუერს ეკუთვნის, მაგრამ ლაშასთვის შიოა ავტორი, რადგან პირველად მისგან მოისმინა.

ხუთი საათი ახლოვდება, ფეხბურთის დრო, ლაშამ უნდა იჩქაროს. ფილმებში მიწაზე ფორთხვა მსახიობისთვის უსაფრთხოა. ჭუჭყი, რომლითაც სახე ესვრება, გრიმია. გაიკაწრება, უწამლებენ, წელი გაუკავდება და მასაჟი გარანტირებული აქვს, შემდეგ კოქტეილი და ფლირტიც მასაჟისტთან (რა თქმა უნდა – თუ სიმპათიურია მასაჟისტი). დაღრეჯილი სახე, რომლითაც დისკომფორტისგან წარმოქმილ წუხილს გამოხატავს, მხოლოდ თამაშია (ან შეიძლება კოქტეილი იყო უგემური ან ფლირტი წარუმატებელი – რას გაიგებ). გურული არტისტისთვის ყველაფერი პირიქითაა. თამაში მარტო თავში აქვს (ბავშვური გონება აღიქვამს, მოქმედებას თამაშად), ტაშს არავინ დაუკრავს მის სამსახიობო ნიჭს და მოხერხებას.

– თფუუ, თფუუუ (სულს უბერავს)... ასე იცილებს შუბლზე ჩამოყრილ თმაზე აცოცებულ მწერებს. ფეხზე რაღაც რბილი სლიპინა შეეხო – “ფუუუ” გააჟრჟოლა ზიზღით, უკან არ მოუხედავს რა იყო, სისწრაფეს უმატა, გვიმრნარიდან სანაპიროზე გავარდა და წყალში ჩახტა ჭუჭყის ჩამოსარეცხად. რა არის სიცოცხლე? თუ არ გავიგებთ მის სასიამოვნო შეხებებს?! ცხოვრება ხომ გავლილი წლების რაოდენობით არ ფასდება, ცხოვრება აზრიანად დახარჯული თითოეული წუთია. და მხოლოდ ის წუთი

იქცევა მოგონებად, რომელიც ჩვენს გულს შეეხო. გუბას ტალღებში გულაღმა გაწოლილი ლაშა ცას უყურებს. გურიის ცა მთლიანად ლურჯია, ღრუბლის ნაგლეჯიც არსად ჩანს. მთელი ტანით გრძნობს სასიამოვნო ჟრუანტელს, დაღლილი სხეულის წყალთან ჩახუტებას რომ მოჰყვება. უდარდელობის წამი ხშირად არ გეუფლებათ. ბევრნაირი არსებობს ასეთი წამი ადამიანში: როცა შეყვარებულია, როცა დაბრკოლებას გადალახავს, როცა ბუნებასთან ახლოა. თავად თქვენ ვერ ხსნით, რა იწვევს ამ სიმშვიდეს. მე კი გეტყვით (ალბათ საიდუმლოსაც გიმხელთ) – ამ დროს ბუნება თქვენს გულს ეხება და დავიწყებულ წარსულს გახსენებთ (ეს შეხება). მაგრამ ეს ძალიან ცოტა ხანს გრძელდება. გონება მძლავრობს და რეალობაში გაბრუნებთ (ასაკს და სქესს მნიშვნელობა არა აქვს). ცოტა ხნის წინ წყალში იხრჩობოდა. ახლა გულაღმა გაწოლილა და ისვენებს... ასეა, თამაშს თავისი წესები აქვს. თუ ასეა საჭირო, კარგ მოცურავესაც წყალს გაყლაპინებს.

– “საქმე არ უნდა წახდეს! შერლოკა მელოდება”. ხესთან დატოვებულ ანკესს აკითხავს. წყლიდან იღებს და უკმაყოფილოდ აქნევს თავს.

– აუუ, აქანეც ვეფერი დევიჭირეე!.. (მხრებს იჩეჩავს, უიღბლობის მიზეზს ვერ ხსნის ამ ჟესტით).

მდინარეზე ფონით გადადის, გოგოების არმია ნელ-ნელა იშლება. ზოგი სახლში წავიდა, ნაწილი ფეხბურთის საყურებლად ემზადება (ასე რომ, თომამ უნდა იჩქაროს ხიდზე გადმოსვლა, თუ უნდა სახლში ცოცხალი დაბრუნება!) მეთევზე-მაძებრები აგრძელებენ თავის საქმეს, ხუთ საათამდე, ოცდაათი წუთიღა დარჩა. ხიდზე პატარა ავტობუსი გადმოდის, რომლითაც სოფლელები ბრუნდებიან რაიონის ცენტრის ბაზრიდან. ავტობუსის

გადავლიდან ცოტა ხანში მეთევზეებმა (პირველად ლაშამ) მდინარეში პარკი შენიშნეს, ერთმანეთს გადახედეს, შიომ შვებით ამოისუნთქა – თომა სამშვიდობოსაა!

– აბაა, პატარა რო დეეგვიანებია... (ხელის კისერზე გასმით, ლაშამ სათქმელი დააბოლოვა).

გინახავთ ფილმი, "კარგი, ცუდი, ბოროტი"? რეჟისორი სერჯიო ლეონე. ახლა, რატომ ვსვამ კითხვას. იქ არის უძლიერესი ეპიზოდი. როცა სამი მთავარი გმირი: ელი უოლაჰის, კლინტ ისტვუდის და ლი ვან კლიფის პერსონაჟები, ძალიან მაგარი მუსიკის ფონზე, შედევრად აქცევენ მიშტერების სცენას (თან იარაღიც უნდა ისროლონ). არის ამ სცენაში უდიდესი მისტიკა, ენიო მორიკონეს მუსიკის თანხლებით რომ თამაშდება.

აფრასიონი თავისი ველოსაპედით დროზე ადრე გადმოდის ხიდზე. არტისტი დამალვას ვერ ასწრებს. ხიდიდან ველოსიედზე ამხედრებული მხედარი ორივე მზვერავს ამჩნევს.

და აქ უკვე შეგვიძლია ენიო მორიკონეს საოცარი მუსიკა ჩავრთოთ... ველოსაპედზე ამხედრებული აფრასიონი უმზერს ორ მაძებარს (სათვალე თან აქვს, თორემ ისე როგორ დაინახავდა – ხიდზე სულ იკეთებს), ბიჭებმა საპასუხო მზერა შეაგებეს (ენიო მორიკონეს მუსიკა ისევ მიდის), აფრასიონი შუა ხიდზეა.

– შ ა ვ ბ ნ ე ლ ი მ ა მ ა ძ ა ღ ლ ი (გამოსცრა კბილებში ლაშამ, თან მზერას არ აცილებს)

აფრასიონმაც, საპასუხოდ რაღაც ტკბილი ჩაილაპარაკა (შიო პირზე აკვირდება მაგრამ მაინც ვერ გაარჩია სიტყვები), ველოსიპედი ხიდზე გადავიდა და მუსიკაც დამთავრდა.

გეგმა აირია. მაძებრები შეწუხდნენ.

– აუუუ, რაფერ დამასწრო მაგ ეშმაკის ფეხმა! (გადაირია ლაშა). გაახსენდა, თან რამდენი ძალა შეალია მთელი დღე ამ გეგმის შესრულებას, სლიპინა სხეულის ფეხზე შეხებაც გაახსენდა (ზიზღით გააჟრჟოლა). გადევირევი მე, არაფერი რომ არ გამევიდეს დღეს! გაბრაზებულმა მდინარეს ქვა ესროლა.

შიო დუმს. არანაირი რეაქცია ლაშას გადარევაზე.

– რამ დაგამუნჯა? პაწა მაკლია თავკუღმა დევიწყო სირბილი! (არ ისვენებს არტისტი).

შიო ადგილს მოსწყდა, ხიდის ქვეშ გაძვრა სანაპიროთი, შემდეგ ლაშას ხელი დაუქნია და თავისთან მოიხმო.

– შეხედე!

არტისტმა მითითებული ადგილისკენ გაიხედა. აფთიაქის უკანა შესასვლელთან ველოსიპედი მიეყუდებინათ, თავად პატრონი არსად ჩანდა.

– ხედავ?

– მაინც არ გადუუფიქრებია მაგ შეჩვენებულს, ნეტა რაშობა იქანე ამისთანას?

უკან დაბრუნდნენ, აფთიაქიდან რომ ვერ შეემჩნიათ.

ლაშა სიხარულისგან ნაპირზე ხტუნაობას მოჰყვა, თან ცნობისმოყვარეობამ ადრინდელი გადარევა სულ დაავიწყა, ცოტა დამშვიდდა.

– მაგას გავიგებთ “უოტსონ”.

აფთიაქი-ყველაფერი. ასე ეძახიან ხიდას მაცხოვრებელები. ერთადერთი სამედიცინო პუნქტია

მთელ თემში შემავალ სოფლებში.

– გახდები გლახად და გაფშიკავ ფეხს, სანამ გახვალ ჩოხატაურში. ასე ახასიათებდა სპირიდონი ხიდას სამედიცინო პუნქტის საიმედოობას.

აფთიაქი-ყველაფერი ნანა ექიმის სამფლობელოა. ყველაფერია ნანა: სანიტარი, მედდა, ექიმი მრავალმხრივი უნარებით. შეთავსებით, მუსიკასაც ასწავლის სკოლაში (მაქედან გამომდინარე, პიანინოზეც კარგად უკრავს და პოპულარული ნათლიაცაა).

– რომ გადაყვა სხვის ბაღნებს, ვერ გეიჩინა მისი?

– მისით არ ჩნდება, არა, კაცი უნდა მაგ საქმეს!

– მერე, ცა? ვერ იშოვა კაცი?!

მსგავსი საუბრები ხშირია სოფლის ჭორიკანა დედაკაცებში, როცა მათ ყბაში ჩავარდნილი ქალი ოცდაათ წელს გადასცდება. ნან -ექიმზე ჭორაობა კი გაძლიერებული ტემპებით მიდიოდა ყოველთვის, რადგან მან ყოველგვარი რეკორდი მოხსნა და ორმოცს გადააცილა.

– საწყალი, ჩურჩულებდნენ დანანებით სოფლის უხუცესი ქალები ექიმის დანახვაზე. ამის გაკეთება ხშირად უწევდათ, საჭორაო პუნქტი აფთიაქის მოპირდაპირე მხარეა.

ნანა გვარად ჭიკაიძეა, მაგრამ მას ყველა ნანა ექიმად მოიხსენიებდა. არასოდეს ახსენებდნენ გვარს საუბრის დროს. საშუალო სიმაღლის, ჩაფსკვნილი, ოდნავ ფერხორციანი (პუტკუნა) სხეულით. სახეც სხეულივით ჰქონდა, სავსე, ოდნავ ვარდისფერი ლოყები, რომელიც აღელვების დროს ცოტა უწითლდებოდა კიდეც

(მაგალითად, როცა მასზე მოჭორავე დედაკაცობას ჩაუვლიდა და ყურს მოჰკრავდა მათ ლაპარაკს), მოკლედ შეჭრილი წაფლისფერად შეღებილი თმა... ღიმილი მორცხვი, როგორიც შეეფერებოდა მის მდგომარეობას.

– გამარჯობათ, ქალებო... თქვენი... (მორცხვ ღიმილსაც მიაყოლებდა ამ მისალმებას).

– ნანა ექიმს კაი გამარჯობა (ერთხმად), საით გაგიწევია, ცა? (ასეთ კითხვას ყოველთვის ავტორიტეტის მქონე, უხუცესი მოჭორავე სვამდა).

– რაიონში, წამლებისთვის... (იტყოდა ყოველთვის ერთსა და იმავეს, სანამ ავტობუსს მიაშურებდა).

– აბა, შენ იცი, ცა, შენ ხარ ჩვენი პატრონიი (მიაყოლებდნენ ავტობუსში ამავალს) – უი, შე საწყალო (ამასაც დააყოლებდნენ ჩუმად, ოღონდ ნანა ექიმის ყურთასმენას ეს არასდროს გამოეპარებოდა და მაგ დროს მწარედ ტუჩზე იკბენდა ხოლმე).

ცას გურიაში ქალს ეძახიან. ახსნა ასეთი აქვს – ქალი ცასავით მიუწვდომელი უნდა იყოსო.

აი, სად მიიპარებოდა ორი მაძებარი მდინარის სანაპიროდან. ნანა ექიმის აფთიაქში. სადაც აფრასიონს რატომღაც შავბნელი საქმეების კეთება მოეპრიანა (შიოს აზრით).

აფთიაქი-ყველაფერი ორსართულიანი შენობაა. პირველი სართული ქვისაა, ძირითადად აფთიაქისთვის გამოიყენება. მეორე სართული მთლიანად ხის არის, რაც იმის მანიშნებელია, რომ მოგვიანებით დააშენეს. ზემოთ საექიმო პოლიკლინიკაა, სადაც მხოლოდ მოაჯირიანი ქვის კიბით ახვალთ აივანზე და მიადგებით ხის კარს. შენობა

კრამიტით (ან ფიქალით) გადაუხურავთ, რაც ზამთარში, თოვლის დროს, გაწმენდის პრობლემებს ქმნის.

ველოსაპედი პირველი სართულის უკანა შესასვლელთან დაუტოვებიათ (აფთიაქთან).

მაძებრები ფრთხილობენ, განსაკუთრებით მეთაური. სრული აღკაზმულობითაა, ანუ პლაშად იქცა. არტისტმა, მითითებისამებრ, შენობას წრე დაარტყა. სიჩუმეა, როგორც შენობაში, ისე გარეთაც. მთელი ხიდა ფეხბურთის საყურებლად წასულა და ცენტრი ცარიელია. ბავშვები კარებთან არიან. კარი ხის არის (ბოქლომით იკეტება), ოდნავ მოუხურავთ.

– რაღაც გავიგე.

– რა? (ყურები დაცქვიტა არტისტმა).

– არ ვიცი, თითქოს ვიღაცას ახრჩობენ, ის კი, მოგუდული, შველას ითხოვს...

– რაა?! (სულ გადაირია არტისტი, თვალებად იქცა).

პლაში კარს ზურგით მიეყრდნო.

– შევაღებ და უცებ შეხვალ, ეს მოულოდნელობის ეფექტი მოძალადეს დააფრთხობს.

ლაშა დაიძაბა, მოემზადა. ყველა ილეთი გაიხსენა. იატაკზე, ბრუნის კეთებაში რომ ეხმარებოდა... თვალები გადმოკარკლა, როგორც ამერკულ ვიდეოებში ენახა, დრამატულ ეპიზოდებში...

შევიდნენ... პატარა კორიდორია, არტისტმა იატაკზე ბრუნისმაგვარი მაინც გააკეთა (ყოველი შემთხვევისთვის)... არავინ იყო.

– ხმა საწყობიდან მოდის! (დაასკვნა პლაშმა, მეგობარს ანიშნა, წინ წასულიყო).

ლაშას მინიშნებაც არ სჭირდება, მთლიანად როლშია შეჭრილი. ერთი ბრუნი იატაკზე, აფთიაქის მისაღებშიც შეასრულა... საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ საეჭვო ხმები აფთიაქის დახლს მიღმა მდებარე, პატარა ფარდაჩამოფარებულ შესასვლელიდან მოდის (ოთახი ნახევრად ცარიელია ან სულ ცარიელი). არტისტი გადარეული შევარდა. პლაშიც უკან მიჰყვა.

მედიკამენტებისგან დაცლილ პატარა ოთახს ფანჯარა მდინარის მხარეს აქვს, ფარდა ჩამოუფარებიათ. ახლოს სამედიცინო დივანია, თეთრი ზეწარია გადაფარებული (ეგეც სამედიცინო)... ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში, დივანზე, მოძრავი სხეულის სილუეტები გაარჩიეს. უფრო დიდში აფრასიონი ამოიცნეს, რატომღაც დათვივით ღრიალებდა (ლაშა ცოტა შეცბა, ასეთი არასდროს ენახა)... ხელი ნანა ექიმის კისრისკენ წაეღო... თავად ექიმი არ ინძრეოდა აფრასიონის მძიმე სხეულის ქვეშ, მაგრამ სასოწარკვეთილი კვნესით დახმარებას მაინც ითხოვდა (ბავშვებს ასე ეგონათ)...

– ჰაიიტ, აფრასიონა კანანიძეეე... წაგავლეეე ღაჯებშიიიიი... გურული ფირალივით გადარეული არტისტი, ამ სიტყვებით, დაუძინებელ მტერს ზურგიდან ეძგერა... ხელები კისერზე შემოაჭდო და თავისი წონის დახმარებით იატაკისკენ დაქაჩა. მოულონელობის ეფექტისგან ენაჩავარდნილი (ძალაწართმეული) აფრასიონი პატარა მეტოქის ძალას დამორჩილდა და ნანა ექიმის სხეულიდან იატაკზე ჩასრიალდა...

ბავშვები დიდების სამყაროს ყოველთვის თავისი გადმოსახედიდან აფასებენ. მათ ამაში ბავშვური ლოგიკა

ეხმარებათ, რომელიც მათსავე გამოცდილებაზეა დაყრდნობილი. მათთვის უცნობი ქცევა უბრალოდ არ არსებობს! არსებობს ამ ქცევის მათი ინტერპრეტირებული ვერსია... მოქმედებაც შესაბამისი აქვთ.

ნახევრადჩაბნელებულ ოთახში, სამედიცინო დივანზე გაწოლილ ნანა ექიმს თავზე უცნაური პლაში დაადგა. პლაშის საყელოდან ხუჭუჭა, სათვალიანმა ბიჭმა გამოყო თავი. ცდილობდა, ძალიან ღირსეულად მოქცეოდა მოძალადის მსხვერპლს. თავიც თავმდაბლად ეჭირა, ის ხომ გმირი იყო, რომელმაც ქალი გადაარჩინა უეჭველი დახრჩობისგან...

“– სიცოცხლის ხსნა ყველაზე მაგარია! მის წართმევაზე უფრო შავბნელი დანაშაული უბრალოდ არ არსებობს!” (გაიფიქრა კმაყოფილმა საკუთარი თავით)...

ცოტა მოშორებით დადგა, ფანჯარასთან. გადარჩენილი ქალისთვის უხერხულობა რომ მოეხსნა და თავის მოწესრიგების საშუალებაც მისცა.

– თქვენ არ ინაღვლოთ, ქალბატონო, მაგ ვაჟბატონს პოლიციის მოსვლამდე ჩემი თანამოაზრე გააკავებს. (ანიშნა არტისტის მიმართულებით. თან ცდილობდა, ყველა ფრაზა აწონილ-დაწონილად ეთქვა).

რაც შემდეგ მოხდა, ამას ნამდვილად არ ელოდა.

ჯერ მისი მიმართულებით ნასროლმა ექიმის ქოშმა გააოცა (უმალ აიცილა, მაგრამ ეს მაინც არ მოეწონა, არანაირად არ ჰგავდა მადლიერების გრძნობით შეპყრობილი ადამიანის საქციელს). შემდეგ სხვადასხვა მფრინავი ნივთების აცილებამაც მოუწია...

ნანა ექიმი გამძვინვარებული ძუ ლომის თვალებით უყურებდა...

აფრასიონს არაფრის თავი არ ჰქონდა... მომჩვარული არტისტის ქვემოთ ეგდო გულაღმა და არაფრის მოქმედებას არ აპირებდა.

შიოს გონება სწრაფად ამუშავდა. უჩვეულო მოვლენის ახსნას ცდილობდა...

ქალი წამოდგა დივანიდან, მეორე ქოშს წაავლო ხელი და არაადამიანური გამომეტყველებით, პლაშისკენ ნაბიჯი გადადგა...

– ევრიკაა! (დაიყვირა თვალებგაბრწყინებულმა მაძებარმა). მისი ხმისგან დაბნეულ ექიმს გვერდი აუქცია... ლაშასთან მიირბინა და თითქმის ძალით უმწეო მსხვერპზე ხელი გააშვებინა...

– გავიქცეთ, მას ვერაფრით დავეხმარებით მეტს (ქალისკენ ანიშნა), გზაში აგიხსნი, რაც ხდება. არტისტი გაოცდა, მაგრამ მაინც დამორჩილდა პლაშს... ბავშვები უკანა კარიდან გაიქცნენ. გასვლის დროს ნანა ექიმის ხმა დაეწიათ.

– თუ გნახეთ სადმე ყაზილარებო, ვერ გადამირჩებით ცოცხალიიიიი!

საღამოს ბინდში, ხიდას ცენტრიდან სოფელ იქსის აღმართს ორი ჩრდილი აუყვა.

გზაში არავინ შეხვედრიათ, ფეხბურთი ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო.

– სტოკჰოლმის სინდრომია!

– რა?

– მამაჩემმა წამიკითხა სტატია გაზეთში მაგ სინდრომზე. სტოკჰოლმი შვედეთის დედაქალაქია. მოკლედ, 1973 წელს ორი პატიმარი ციხიდან გაიქცა. პოლიციას რომ დამალვოდნენ, ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური მოედნიდან სამი მძევალი აიყვანეს და იქვე, ბანკის შენობას შეაფარეს თავი. ბანკის თანამშრომელიც აიყვანეს ასევე მძევლად (ნერწყვი გადაყლაპა, ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა, თან იხსენებდა). ექვსი დღის განმავლობაში ერთად იყვნენ, ბანკის ბრონირებულ საცავში (არტისტის კითხვით სავსე მზერას რომ წააწყდა, აუხსნა) აი, ფულს სადაც ინახავენ რა (გავიგეო, დაუქნია თავი ლაშამ)... სხვადასხვა მოთხოვნილებებს უყენებდნენ პოლიციას. ამ დროის განმავლობაში მძევლებთან ერთად იყვნენ და ალბათ ძალადობდნენ კიდევაც მათზე...

– მერე ?

– მიუხედავად იმისა, რომ თოკებჩაბმულებს დაატარებდნენ და საჭმელსაც არ აძლევდნენ ამ მძევლებს, მათ დამნაშავეები შეუყვარდათ.

– რაიო? (ყურებს არ უჯერებდა არტისტი).

– პოლიციის ხსენებაზე ღიზიანდებოდნენ და ყველანაირად დამნაშავეების მხარეზე იყვნენ, განსაკუთრებით ქალები (სხვა, ინტიმური დეტალები მამას შიოსთვის არ წაუკითხავს. ინტიმური მიზეზი მან არ იცოდა. თუ რატომ იყვნენ ქალები დამნაშავეების მხარეს, ეს მამამ დაუმალა... არც ის, რომ ქალები დამნაშავეებზე დაინიშნენ ციხეში... შიო იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით მსჯელობდა, რაც ჰქონდა).

– ხო, მართალია, დეინახე, რაფერ გადეირია ნანა ექიმი პოლიციის ხსენებაზე? ფეღზეც კი გესროლა მაგ

სინდრომიანმა... (გამხიარულდა არტისტი).

– ჩვენს ქვეყანაშიც ასეა ალბათ, როგორც შვედეთში მოხდა... თუ კაცი მოასწრებს ქალზე ძალადობას, მერე ამ ქალს ეგ კაცი ყველანაირად უყვარს და უთმენს ყველაფერს... რადგან ჰგონია – იმიტომ მახრჩობს, რომ ვუყვარვაროოო... (დაასკვნა მაძებრის ბავშვურმა ტვინმა).

4. ესეისტიკა / კრიტიკა

ნანა ტრაპაიძე

სავარჯიშო დამწყები ფილოლოგებისათვის

(ერთი მონოლინგვისტური თარგმანის გამო)

საგნისა თუ მოვლენის ობიექტივაცია, რის გარეშეც დაკვირვება შეუძლებელია, გულისხმობს, მას პრეზენსის განზომილება მივანიჭოთ. ეს აუცილებელია დაკვირვებისთვის ხელსაყრელი მოცემულობის შესაქმნელად. მაგრამ იგი არც უსაფრთხო საქმეა და არც უდანაკარგო: ასეთ მცდელობას საგანთა რეალობაში შეაქვს გარკვეული შინაარსიც, – ყოველი დაკვირვებისას სხვადასხვა და ცვალებადი. ამდენად, თავისთავად, შინაარსს, რომელსაც საგნის საკუთარი დროითი ნაკადი ქმნის, ერთვის დაკვირვების ასპექტი, რომელიც თავის ქრონოსს შობს საგნების პირად ცხოვრებაში. თავის მხრივ, ყოველი ასეთი "ზედნადები" დრო და მნიშვნელობა, – დამკვირვებლის მიერ შეტანილი, კონტექსტს გულისხმობს და სხვადასხვაა.

თუ ამ მსჯელობას თავიდან დავიწყებდი, ვიტყოდი რაღაც სხვას, რადგან ობიექტივირებული პოეტური საგნების ისტორია ყოველი აღქმის ჟამისთვის უკვე ერთგვარი დროითი რელიქტია, მოუხელთებელი და იდუმალი.

ამიტომ ფილოლოგია უცნაური მეცნიერებაა. მისი ობიექტის – ლიტერატურის – დროითი ესენცია აწმყოა, მან კი იგი იმ მკვრივ მნიშვნელობად უნდა წარმოიდგინოს, რომელიც მხოლოდ მას აქვს, რაც ***ი ყ ო.***

თუ პოეზია საგნებისა და სიტყვების მთლიანობის აწმყოში, სიცოცხლის რეესტრში განთავსებაა, ფილოლოგია ამ კავშირის დაარქივებაა. ის დიდი ბაზაა, რომელიც გამომსახველობით ფორმებსა და მათ ისტორიას ინახავს.

[რადგან] ადამიანის მთავარი საქმიანობა წარსულის კეთებაა, ფილოლოგიაც ისტორიოგრაფიულია, თუმცა, როცა ის ცდილობს მხატვრული აწმყო ცოცხალი სახით შეინახოს, ან მას ისტორიის მტვერი ჩამოაცილოს, იგი წმინდა საქმიანობად იქცევა.

პოეზია ისტორიის ცოცხალი ნაწილია და როგორც მოუხელთებელი და ფეთქებადი, – საპატიო ნაწილი. პოეზია ეძებს სიცოცხლესა და არსებობას, როგორც ჟესტს, როგორც სინამდვილის ჟესტს, და თვითონაც, თავის ყველაზე მართალ არსში, არსებითად, ჟესტია. ფილოლოგიისთვის კი მნიშვნელოვანია მოძრაობა, რომელიც ჟესტს ქმნის. ამიტომ ამ მეცნიერებას, ეტიკეტის თვალსაზრისითაც, თავად სჭირდება ჰქონდეს საკუთარი ჟესტი, ყველაზე დახვეწილი და სახიფათო ჟესტის მიმართ, რომ მათი აუცილებელი შეხვედრა ისე სავალალოდ არ ასცდეს ერთმანეთს, რომ მერე აკადემიების მშრალ ინტელექტუალურ ცირკულარსღა შეაფაროს თავი, რომელიც არსად და არავისში ინახება.

პოეზიის ეს მიზანმიმართული პრივილეგირება მიზნად მის კრიტიკას ისახავს და იგი ასეთი კითხვით შეიძლება გამოიხატოს: თუ პოეზია ჟესტია, აქვს ამ ჟესტს სემანტიკური და ესთეტიკური რხევის დინამიკა? უფრო ზუსტად: ჟესტის ბუნება სტაბილურია თუ ცვალებადი, უცვლელი თუ ჩანაცვლებადი? ეს კითხვები თარგმანის (როგორც ლინგვისტური, ისე ესთეტიკური თარგმანის) კლასიკური კითხვა/გამოცანაა. რა თქმა უნდა, ცალსახა პასუხი ცალმხრივი პასუხი იქნებოდა, მით უფრო, თუ საქმე ლინგვისტურ თარგმანს, ან ჰერმენევტიკას ეხება. ამ შემთხვევებში პოეზიის ონტოლოგიას მისი წაკითხვის არამდგრადი და არაზუსტი ფაქტები ქმნის. ამიტომ

ბილინგვური ან ჰერმენევტიკული ოპერაციონალიზმი აქ საკუთარ ჩვენებებს, მოსალოდნელია, მოგვცემენ.

სამაგიეროდ, სხვაგვარადაა საქმე თუ მონოლინგვისტურ ვარიაციებს ვეხებით, – როცა პოეტურ ფიგურებს მონოლინგვისტური ორეული მოეპოვება. პოეტური ვარიაციების საკითხი გულისხმობს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რამდენად ცვლის ვარიაცია განცდასა და გამოხატვას შორის არსებულ მნიშვნელობას, გაფორმებულს უნიკალურ ინტენციად, რომელსაც ჟესტს ვეძახით. აქ ცვლილებისა თუ ცდომილების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხებიც შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, თუკი სემანტიკური ან კულტურული მოდულაციის წინაშე ვართ.

აქვე შემდეგი კითხვა: თუ ვარიაციები შესაძლებელია, აბათილებს თუ არა ეს ჟესტის უნიკალობას? უფრო მეტად კი პოეტური ჟესტის სიმართლეს და ამ სიმართლის ერთადერთობას? ასევე: შეიძლება თუ არა პოეტურ ჟესტს სემანტიკური ან სინტაქსური ეკვივალენტი მოეპოვებოდეს, როგორც სათადარიგო ერთეული?

ასე მივდივართ მთავარ კითხვამდე: რა არის და სად ძევს პოეტური ჟესტის ის მთავარი ბირთვი, რომელიც უდანაკარგოდ შეიძლება აწარმოებდეს პოეტური სინტაქსის თუ ლექსიკის ცვლადებს ან წითელ ზოლს ავლებდეს ამ შესაძლებლობებისათვის; რადგან, თუ ამ ზოგადპოეტურ მსჯელობებში რომანტიკოსი კოლრიჯის აზრს მივენდობით, შეუძლებელია პოეტურ ქმნილებაში რაიმე შეცვალო და ამით არაფერი დაუშავო მას, ან სულ მცირე, არ აიძულო იგი, თქვას სხვა.

ისტორიული ტექსტოლოგია ინვარიანტებს მიმართავს, რომლებიც დედნის აღდგენის ან დადგენისთვის

მნიშვნელოვან შინაარსს იძლევა. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვარიანტების ქრონოლოგიას. თუ ქრონოლოგიური პრინციპი არაფერს ამბობს, მაშინ ტექსტოლოგები შედარებას მიმართავენ, დადგინდეს ავთენტური უწყება. მაგრამ ფენომენოლოგიური ამოცანა განსხვავებულია, არამატერიალური, მისი მიზანია აურის მიკვლევა, რომელიც მხოლოდ დედანს აქვს და არც ზედაპირი გადმოსცემს, არც სიღრმე. როცა პოეტურ არქიტექტონიკაში დრო ან გარეფაქტორები ერევა, – ცვლის მას, ან აზიანებს, ფილოლოგიური სამუშაო ტექსტის აღდგენას ემსახურება. ამიტომ ასეთი სამუშაო ტექსტოლოგიურის გარდა, კულტუროლოგიურია, რადგან ყოველი ლიტერატურული არქიტექტურა, როგორც თვისებრივად, ისე ფუნქციურად იმ გარემოსაგან იგება, რომელშიც ის არსებობს.

მაგრამ როცა საქმე ეხება ფაქტს, რომელშიც ტექსტებზე "აგრესიის" ობიექტურ როლს (რასაც დრო ან იდეოლოგია თამაშობდა ხოლმე), ექსპერიმენტი ცვლის, ფილოლოგიური გამოცდილებები უკან იხევს, რადგან, ასეთ დროს, ჩვენ ხელთ გვაქვს პოეტური ქმნილების ავთენტური მთლიანობა. ამიტომ ტექსტთან მიმართების მთელი მნიშვნელობა და გამიზნულობა სხეულის მთლიანობის მეტაფიზიკას ეხება. ბოლოს და ბოლოს, თუ პოეზია, როგორც სიცოცხლის ფორმა, ჟესტია, ჟესტს სხეული ახორციელებს. ჟესტი სხეულის ენაა, გადმოსცეს პათოსი, როგორც პოეზიის სული (და არა ემოციური პოზა, როგორც ხშირად გვხვდება).

მაგრამ, როცა ექსპერიმენტული აქტის წინაშე ვართ, რომელშიც ტექსტის პოეტური სხეული ხელოვნურადაა მოდელირებული, როცა ენობრივი ცვლადები ცნობილია და ერთენოვანი, ტექსტის წაკითხვა ფენომენოლოგიურ

პერსპექტივას იძენს ცვლილებისა და იგივეობის წესისა და შესაძლებლობის შესახებ.

ამდენად, დგება საკითხი: შეუძლია თუ არა პოეტიკურ ცვლადს გაანულოს ორიგინალისა და ასლის დიქოტომიის ტრადიციული სერიოზულობა? რა როლი აქვს ამაში საკუთრივ ენას, სიტყვას? არის თუ არა ლექსის ევფონია სამყაროს მუსიკალური ბუნების, მისი არავერბალური ხმოვანების კომპენსაცია/იმიტაცია, რითაც, ცნობილია, იწყება ლექსის ისტორია?

ამ მსჯელობის მიზეზი არტისტ ზურაბ რთველიაშვილისა და მთარგმნელ მანანა მათიაშვილის ერთობლივი ექსპერიმენტია. მთარგმნელმა შეასრულა პოეტის ერთი ლექსის – "მომეცი ნება..." მონოლინგვისტური თარგმანი:

ზურაბ რთველიაშვილი – მომეცი ნება...

ნება მომეცი, ჩავიგუბო ფილტვებში ქარი,
ამივსე მზერა ენერგიით – გამოვწვავ მზეებს,
თუ არ გაჩნდება ზედაპირი, ამოვყრი ძალით,
მარმარილოზე დავაყენებ ფოლადის მძევალს.

ნება მომეცი ვერ შევეხო ევროპის დაისს —
შორს დევს აზიის მიმზიდველი უაზრო მტვერი,
ფართე ფილტვებში ჩავიგუბებ დამუხტულ აირს —
ათას ცეპელინს დაუდევრად გავისვრი ზევით!

ნება მომეცი გავურიო სიყვარულს რკინა,
ამივსე მზერა ენერგიით — გამოვწვავ მზეებს!
შენს ბაგეს ენით, როგორც სარკმელს, შევაღებ ფრთხილად,
როგორც ლიანდაგს — ლიანდაგზე გადავჭრი სტვენით!

სისხლი ფარულად წაიკითხავს საკუთარ ანბანს,
ცა დაიშლება, როგორც ფერი უცნაურ ხმებზე —

ის მოდის ახლოს, ბრწყინვალე და ახალი აღთქმა,
რომ ოქროს სხივი, როგორც კვერთხი, შემახოს ფრთებზე.

გაშალე ბგერა, გადარეცხონ აზრებმა სივრცე —
მაკოცე ისე, როგორც ჰკოცნი სინათლის ღმერთებს,
იქ, სადაც ცეკვავს განუწყვეტლად რამა და შივა,
სადაც ის იშვა, ყველაფერი დასრულდა ერთ დღეს.

ნება მომეცი! ჩავიგუბო ფილტვებში ქარი,
ამივსე მზერა ენერგიით, გამოვწვავ მზეებს —
თუ არ გაჩნდება ზედაპირი, ამოვყრი ძალით,
მარმარილოზე დავადუღებ ფოლადის მძევალს.

მანანა მათიაშვილი – უფლებას ვითხოვ...

ვითხოვ უფლებას, ჩავისუნთქო სუფთა ჰაერი,
თვალებში მინდა მზის ნათება – მზეს რომ შევება,
თუ არ გამოჩნდა ზედა ზღვარი, თვითონ გავაჩენ,
მტკიცე ფილაქანს დავაჭედებ, რაც რამ განძი გაქვთ.

უფლებას ვითხოვ, არ მოვესწრო ჩამქრალ ევროპას,
თუმცა თავისი უსაგნობით აზია მიწვევს.
ფილტვებს ავივსებ საბრძოლველად ნაწრთობი ჟინით
და დაუთვლელად დავთმობ ცისკენ ათას დირიჟაბლს.

უფლებას ვითხოვ, შევაზავო ვნება ლითონით,
თვალებში მინდა მზის ნათება, მზეს რომ შევება,
შენი ტუჩები – ფანჯარაა, შევაღებ ენით,
დაუფიქრებლად გადავკვეთავ, გზად რაც შეგვხვდება.

ძარღვებში რაც დის, ის სხვა ძალით დაიწყებს დენას,
ზეცა ფერს იცვლის, როგორც წყალი ჩაგდებულ კენჭზე,
ის ახლოსაა – დიდებული ახალი სიტყვა
ოქროსფერ სხივებს ის კვერთხივით შემახებს ფრთებზე.

ხმები ამრავლე, რომ აზრებით განათდეს სივრცე,
მაკოცე ისე, როგორც ჰკოცნი სინათლის ღმერთებს,
სადღაც ცეკვავენ უწყვეტ წრედში შივა და რამა,
ათასი წელი იქ წამს უდრის, წამი კი დრო-ჟამს.

უფლებას ვითხოვ! ჩავისუნთქო სუფთა ჰაერი,
თვალებში მინდა მზის ნათება – მზეს რომ შევება,
თუ არ გამოჩნდა ზედა ზღვარი, თვითონ გავაჩენ,
მტკიცე ფილაქანს გადავადნობ, რაც რამ განძი გაქვთ.

როგორც ვხედავთ, უცვლელია ვერსიფიკაცია და პათოსი, ორიგინალის ყოველ სინტაგმურ ელემენტს კი თავისი ცვლადი აქვს ნაპოვნი. თუმცა მხოლოდ ერთი სტრიქონი – "მაკოცე ისე, როგორც ჰკოცნი სინათლის ღმერთებს" ორიგინალიდან ზუსტად არის "თარგმნილი". ამით მითითებულია (პაროდირებული?) თარგმანის, როგორც ბილინგვური ინტერპრეტაციის მცდელობა, როგორღაც, სადღაც, იყოს სრულიად იგივე, სრულად გაიმეოროს ორიგინალი.

ეს ექსპერიმენტი გვიჩვენებს სიტყვის, – ლექსის როგორც მატერიალური ნაწილის უმნიშვნელობას, განულებულს ემფაზით, რომელიც სემანტიკურია და დამოკიდებულია არა სიტყვაზე, არამედ ხმაზე. აქ სიტყვა კი არ ქმნის ხმას, არამედ ხმა – სიტყვას. ამ პოზიციაში უცვლელი და პირველადი პოზიცია ეკუთვნის ხმას. მბადი საწყისი ის არის. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ "თარგმანში" იგი უცვლელი დარჩა, ვერ დაექვემდებარა ტრანსლირების ზეწოლას.

ცალკე მნიშვნელობისა ამ ექსპერიმენტში არის ის, რომ ენა – ქართული – გამოდის არტისტის, შემსრულებლის როლში, რომელმაც სხვა, უცხო ენის, როლიც უნდა შეასრულოს. თუმცა ამ პერფორმანსის ფუნქცია და მიზანი

არ არის ის, რაც, როგორც წესი, თარგმანს აქვს: თარგმანის პრობლემა არის არა ენობრივი ბარიერი, არამედ აურა, რომელიც ორიგინალს აქვს და არ ითარგმნება. ეს არის ყველა წარმატებული და მომხიბვლელი თარგმანის შთაგონება, – განსხვავდეს და არა მიემსგავსოს, შექმნას საკუთარი აურა.

თუ ზემოთ წამოჭრილ შეკითხვებს შევაჯამებთ: არის თუ არა ეს განაჩენი პოეზიისთვის, ხომ არ შეიძლება ის იყოს ღია ყველაზე ბრუტალური ჩარევისთვისაც კი? ამ კითხვაზე ზედაპირულიცა და ღრმა პასუხი ერთნაირია – დიახ. ეს ექსპერიმენტი აჩვენებს, რომ ინდივიდუალური ხელოვნების პერსონალური საზღვრები პერსონალური აღარ არის. იგი გაიწია. უფრო ზუსტად, ავტორი იბრუნებს უპიროვნო ანონიმის პრეისტორიულ პრივილეგიას, გამოხატოს არა საკუთარი ხმა, არამედ – ხმა; მერე კი მას მოდელირებულ ექოებად შეიძლება იმეორებდეს სივრცე და ამით არაფერს აკლებდეს მის უნიკალობას, თუნდაც ერთგვაროვნებას. ინდივიდუუმისა და პიროვნების კულტი, რომელმაც ადამიანი ანთროპოლოგიურ ურჩხულად აქცია, საფუძველშივე პოლიტიკური ექსტაზით იყო გაჯერებული და იგი ისტორიამ ღრმად გამოსცადა. პოეზია, რომელიც იმავე ფესვზე აღმოცენდებოდა, რაზეც ყოველგვარი და ყოველი დროის პოლიტიკური სამართალწარმოება, ყოველთვის აცნობიერებდა ამას და ამა თუ იმ ფორმით, რომელსაც მას ესა თუ ის კულტურული ჰორიზონტი სთავაზობდა, გამოხატავდა კიდეც მას.

მოცემულ ექსპერიმენტში, ასე ვთქვათ, გამოწვევაა, სინჯი აუღოს აზრის პოეტურ ესენციას, რაც გულისხმობს, შეცვალოს მისი მიკროორგანიზმი. ამ თვალსაზრისით, ექსპერიმენტი წარმატებული აღმოჩნდა: ეს არის ლექსის მოდელირებული ვერსია, რომელმაც ვერ ხელყო

ორიგინალის უფლება, იყოს იგივე: თარგმანი ინარჩუნებს ყველა ენერგოინფორმაციულ ნაკადს, რომელიც ორიგინალს აქვს, არ/ვერ შეაქვს მასში ცვლილება და ეს შესაძლებელია. ამით კი, რეალურად, მოშლილია ორიგინალისა და ასლის, დედნისა და პირის ნაცნობი იერარქია.

მაგალითისთვის ავიღოთ ერთი ტაეპი: "ნება მომეცი, ჩავიგუბო ფილტვებში ქარი//ვითხოვ უფლებას, ჩავისუნთქო სუფთა ჰაერი."

სინტაგმების შედარება გვეუბნება, რომ ეს არ არის დეკონსტრუქტივისტული აქტი; აქ აზრი არც რეგრესიულ ინტერპრეტაციაში მიილევა; არც წარმოების/გამეორების სიმრავლე აბათილებს მნიშვნელობას, რადგან იგი (გამეორება), ამ შემთხვევაში, რჩება უცვეთ საწყისზე მიმთითებელ ინსტრუმენტად. სინტაგმური ორეულებიც არ ცვლის ტექსტს, რადგან იგი, არსებითად, არ/ვერ ცვლის ზედაპირს. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად შეიცვლებოდა აზრი.

როგორც ვხედავთ, მონოლინგვური ცვლადები მათი ფონემური თუ ლექსიკური სხვაობის მიუხედავად ტავტოლოგიურია; ეს ნიშნავს, რომ აწმყო, რომელსაც არც დროითი უკუფენა აქვს წარსულის სახით, არც მომავლის პერსპექტივა, სინკრეტულია; ამიტომ მისთვის ტოპოგრაფიული თუ ქრონოგრაფიული დინებები უცხოა. ამ ტავტოლოგიურ ტოლობაში არის რაღაც დიქტატორული. ეს იმიტომ, რომ სტატიკური აწმყო საშუალებას იძლევა მისი რეფერენცია იყოს უცვლელი, დარჩეს იგივე. ეს კი საუკეთესო პირობას ქმნის "საღი აზრისთვის" ანუ სრული რეფერენტულობისთვის. საერთოდ, "საღი აზრი" რეალობასა და ნიშნებს შორის იგივეობამ,

განუსხვავებლობამ წარმოშვა. იმის გამო, რომ აქ რეალობა თავისი თავის ნიშანია, მასში საგნის (ზედაპირისა) და აზრის (სიღრმის) სეპარაციული მუხტი არ წარმოიშობა, ასეთი ხმა სივრცისაა, ამიტომ მისი არსებობის სახე არის ექო და არა ანარეკლი.

შეუძლებელია ილაპარაკო ლიტერატურის შესახებ და არ ილაპარაკო სინამდვილის შესახებ მის ყველაზე ყოფით გამოვლინებაშიც კი. ზღვარი ლიტერატურულს (სიტყვიერს) და რეალურს (საგნობრივს) შორის პირობითია და ხელოვნურიც. და არა იმიტომ, რომ ისინი ერთი და იგივეა. თუ ვერბალურისა და არავერბალურის განსხვავებაზე მივუთითებთ, ეს ენათა ბუნების პლურალურობაზე მითითება იქნება და არა სხვაობაზე, ან იგივეობაზე. ენა, მარტოოდენ სიტყვიერი კაუზალობით, პოლიტიკის ინსტრუმენტია. პოეზიის ენა კი არსებობის მიზეზშედეგობრივ წრედს აფართოებს, და გამოხატავს საგნებს არა მათ სიტყვიერ საზღვრებში, არამედ საზღვრების პირობითობასა და გრადაციაში. მაღალი პოეზიის განწყობა ყოველთვის ეს იყო. მისი ისტორია ამ სურვილისა და ფორმების კონკრეტული გამოცდილებებია, რომლებიც ყველაზე იზოლაციონისტურ განწყობილებებშიც კი, მაინც ცხოვრების გულისგულში ტრიალებდა.

მოცემული ექსპერიმენტი (იმის მიუხედავად, რა ჩანაფიქრი ჰქონდა მის ავტორებს), ექოს პოეტიკაა და არა ანარეკლის. ვფიქრობ, ზურაბ რთველიაშვილის პოეტიკას ეს ექსპერიმენტი სწორად კითხულობს. ეს პოეტიკის დიქტატურაა, რომელიც გულისხმობს იგივეობას და არა ცვალებადობას, მსგავსებას და არა განსხვავებას. ეს სინკრეტული აწმყოს პოეტიკაა.

მოცემული ექსპერიმენტი აღნიშვნის ღირსია როგორც პოეტური და ლინგვისტური თამაში, მცდელობა, მიუთითოს, აწარმოოს პოეტური პერცეფციის უპირობო მდგრადობა, და ამით შექმნას წარმოდგენა ფორმალური ესენციის არამატერიალური ბუნებისა თუ ფორმალური ბედისწერის შესახებ. ამ მცდელობის ესთეტიკური შედეგები იმ გარანტიით არის დაცული, რომელსაც მას კონკრეტული ლექსი, როგორც პოეტური ჟესტი ანიჭებს. ამ შემთხვევაში, ჟესტის დიქტატურა იმდენად დიდია, რომ ნებაყოფლობით შეუძლია გაავრცელოს საკუთარი ასლები ისე, რომ მატერიალურმა (ვერბალურმა) ცვლადებმა ორიგინალის პრივილეგია ისევე გააუქმოს, როგორც ეს უხსოვარ დროში ხდებოდა: განსხვავდეს, მაგრამ არაფერი დააკლდეს ხმის იგივეობას.

14 სექტემბერი-9 ოქტომბერი, ბერლინი, ბათუმი, 2018

დავით ჩიხლაძე

ამერიკული პოეზიის ან დოლარის ენა

გრეგორი ვინსენტ სენტ თომასინოს ლექსების ციკლისთვის

E pluribus unum (სიმრავლიდან ერთისაკენ) – აშშ-ს ნაციონალური დევიზია, რომელიც ამერიკის ვალუტაზე ვხვდებით, თუმცა ეს სიტყვები ციცერონს ეკუთვნის. ის აღნიშნავს ერების გაერთიანებას, ქვემოდან ზევით აღმავალ გაერთიანებას, ევოლუციურ დაახლოებას სხვადასხვა ხალხების, კულტურებისა და ენების. ეს, ასე ვთქვათ, მატერიალისტური მიმართულებაა, ქვემოდან ზევით, ისტორიული გამოცდილებიდან მეტაისტორიული, ონტოლოგიური გამოცდილებისაკენ.

თუ ამ მოდელს შევაბრუნებთ, მივიღებთ არა ხალხების გაერთიანებას, არამედ ხალხებისთვის თავსმოხვევას რაღაც უკვე გამზადებული, იდეალური მოდელის. ნებსით თუ უნებლიეთ სწორედ ასეთი შეცდომა მოუვიდა ამერიკის 45-ე ვიცე-პრეზიდენტს ალ გორს 1994 წელს სიტყვით გამოსვლისას. მან ამერიკის მთავარი დევიზი E pluribus unum (სიმრავლიდან ერთისაკენ) პირიქით განმარტა, როგორც “ერთიდან – სიმრავლისაკენ”. მან განაცხადა: “ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ კოლექტიური სამოქალაქო სივრცე, იმდენად ფართო, რომ ის ყოველი ცალკეული იდენტობისათვის საკმარისი აღმოჩნდება, იმისთვის, რათა

გავხდეთ E pluribus unum – *მრავალნი წარმომდგარნი ერთიდან”* (“ერთიდან – სიმრავლისაკენ”).

შედეგად მან დაიმსახურა კრიტიკა, რადგან ასეთი ინტერპრეტაცია სრულიად ცვლიდა კონტექსტს და საკითხს ისე წარმოაჩენდა, რომ ამერიკა თავს ახვევდა დანარჩენ მსოფლიოს სამოქალაქო ერთიანობის საკუთარ მზა მოდელს.

როდესაც კულტურებზე და ხალხებზეა საუბარი, ცხადია, საუბარი არის ლიტერატურაზეც, როგორც კულტურის მთავარ ბერკეტზე და შესაბამისად კი, ცხადია, საუბარი არის ენაზეც.

ის, რის გამოც ვიცე-პრეზიდენტმა ალ გორმა ძალზე მძაფრი კრიტიკა დაიმსახურა, იდეალისტური მოდელი ერთიდან წარმომავლობისა, დიდი ხნით ადრე გამოჩენილი საბჭოთა ენათმეცნიერის, ნიკო მარის ძირითად სამუშაო თეზისს წარმოადგენდა, რომელმაც მთელ თაობებზე იქონია გავლენა.

ნიკო მარი 1880-იანი წლებიდან, თავისი შემოქმედებითი კარიერის დასაწყისიდანვე მუშაობდა ენათა ერთიანობის თეორიაზე. 1927 წელს კი უკვე გადაჭრით წერდა, რომ ყველა ენას მასალა ერთი აქვს. ესაა ოთხი მის მიერ გამოგონილი ელემენტი, რომელთა ურთიერთშეჯვარება იძლევა ენათა სისტემებს და ენებს. პალეონტოლოგიური ოთხელემენტოვანი ანალიზის მეთოდით შედარების ობიექტი შეიძლება ყოფილიყო არა მხოლოდ წარმოშობით მონათესავე ენათა მონაცემები (ის საერთოდ უარყოფდა ენათა წარმოშობის ნათესაობას), არამედ ყოველი ენის ყოველი სიტყვა. სიტყვის ანალიზი უნდა მომხდარიყო იმგვარად, რომ მასში ეს ოთხი ელემენტი აღმოჩენილიყო. ყველა სიტყვა ყველა ენისა შედგება სულ დიდი ოთხი

ელემენტისაგან, ან ერთი, ორი, ან სამი ელემენტისგან. ეს ოთხი ელემენტი იყო სალ, ბერ, იონ, როშ.

იონ-ისგან იწარმოებოდა: სან, ზან, ჩან, ჯან, შონ, შუნ, ტონ, დონ და სხვ.;

სალ-ისგან: ზალ, ჩალ, ზალ, ჩორ, ჯოტ, შარ, შურ...

ერთი სიტყვით, ამ ლინგვისტურ შარიშურში საბოლოოდ მივიღეთ "შური, მური, არმატური" – სახელმწიფო სამშენებლო ქურდობისა და დატაცების აღსანიშნი ფრაზა. ანუ, ნიკო მარმა თვალსა და ხელს შუა გააქრო და უარყო გრამატიკა, როგორც ამა თუ იმ ენის მთავარი საშენი მექანიზმი და სამეცნიერო დასაყრდენის ძიება სხვადასხვა ენათა ჰაერში გამოკიდებულ ცალკეულ სიტყვებს შორის ბგერითი მსგავსების იმედად სცადა, – ცხადია, უშედეგოდ. ბოლოს კი, ჩვენდა გასაოცრად მივიღეთ, რომ:

ქართულ სიტყვას "გონება" და რუსულ "ოგონ"-ს (огонь – ცეცხლი) და "კონ"-ს (конь – ცხენი) ბგერითი მსგავსების გამო საერთო წარმომავლობა ჰქონია; თურქული "კულ" (ხელი) ლათინური "კულტურა" ერთმანეთთან ყოფილა კავშირში; თუში, ეტრუსკი და თურქიც ერთნი ყოფილან; რუსული "კრუგ" (круг – წრე), "კურიცა" (курица – ქათამი), ქართული "კრუხი" და უფრო მეტიც, სხვადასხვა შემდგომი გამოთვლებით ცოლიცა და რძალიც თავდაპირველი საერთო შინაარსის მქონე სიტყვები ყოფილა.

თუკი დავუშვებთ, რომ ლენინი ნიკო მარის შემოქმედებას იცნობდა, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, გასაკვირი აღარ იქნება ლენინის ერთადერთი მინიმალისტური ლექსის სულისკვეთება, რომელიც მან აღმოსავლეთ ციმბირის კრასნოიარსკის მხარის სოფელ შუშენსკოეში გადასახლების დროს დაწერა 1897 წელს. ეს სამ სიტყვიანი

ლექსი მისსავე წერილის ტექსტს დაერთვის, ცალკე არ არის გამოყოფილი და ერთდროულად წერილის გაგრძელებასაც წარმოადგენს და ლექსსაც:

“შუ-შუ-შუ არ არის ცუდი სოფელი. მართალია, ის საკმაოდ შიშველ ადგილას მდებარეობს, მაგრამ აქედან არცთუ შორს (11/2 – 2 ვერსში) არის ტყე, თუმცა კი, ძლიერ გაჩეხილი... ჰორიზონტზე – საიანის მთებია ან მათი ქედების განტოტება. ზოგი მთლიანად თეთრია და თოვლი მათზე ძნელად თუ როდისმე დნება. ასე რომ, მხატვრულობის თვალსაზრისითაც რაღაც მოიპოვება და მე ტყუილად როდი ვწერდი ლექსებს ჯერ კიდევ კრასნოიარსკში: *“შუშაში, საიანის ძირას...”*

პოეზიასთან დაკავშირებით ლენინმა მალე ახალი განმარტებაც გააკეთა, რომ ახლო მომავალში, გონებრივად სრულიად ჯანსაღი საზოგადოების პირობებში პოეზიის საჭიროება აღარ იარსებებდა და სახელმწიფოსათვის ეს საზრუნავი, მსგავსად პლატონისეული რწმენისა, დღის წესრიგიდან საერთოდ უნდა მოხსნილიყო.

თავის დაზღვევის მიზნით ნიკო მარი აცხადებდა, რომ ჰიპოთეტური და შორეული საერთო ენა 5 000, უფრო კი – 50 000 წლის წინათ გაჩენილა, ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების დროს, წინარეისტორიული პრიმიტიული კომუნიზმის სახელითაც რომ იხსენიება.

ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მსგავსებაზე ინტელექტუალურ წრეებში ხშირად საუბრობენ, საუბრობდნენ 1930-იან წლებშიც და შემდგომაც, ელჩებიც, გენერლებიც და ანარქისტებიც. თუმცა, ალ გორისა და ნიკო მარის შეცდომისაგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირს ამერიკის მთავარი სახელმწიფო დევიზის – E

pluribus unum – სრულიად იდენტური და არცთუ იოლად გასაგები საკუთარი ლინგვისტური თეორიაც გააჩნდა, რომელიც შორეული წარსულის ჰიპოთეტურ მსოფლიო ერთიანობას კი არა, კაცობრიობის ევოლუციურ განვითარებას გულისხმობდა, თუნდაც 5 000 ან 50 000 წლის შემდეგ.

“მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების შემდგომი ეპოქა, როცა მსოფლიო იმპერიალიზმი აღარ იქნება, ექსპლუატატორული კლასები დამხობილი იქნებიან, ეროვნული და კოლონიური ჩაგვრა ლიკვიდირებული იქნება, ეროვნული განკერძოებულობა და ერთა ურთიერთუნდობლობა შეიცვლება ერთა ურთიერთნდობითა და დაახლოებით, ერთა თანასწორუფლებიანობა განხორციელდება, ენათა ჩახშობისა და ასიმილაციის პოლიტიკა ლიკვიდირებული იქნება, ერთა თანამშრომლობა მოგვარდება, ხოლო ეროვნულ ენებს შესაძლებლობა ექნებათ თავისუფლად გაამდიდრონ ერთმანეთი თანამშრომლობის გზით. გასაგებია, რომ ამ პირობებში ლაპარაკიც არ შეიძლება ზოგი ენის ჩახშობასა და დამარცხებაზე და სხვა ენების გამარჯვებაზე. აქ საქმე გვექნება არა ორ ენასთან, რომელთაგან ერთი მარცხდება, მეორე კი ბრძოლაში გამარჯვებული გამოდის, არამედ *ასობით ეროვნულ ენასთან, რომელთაგან ერთა ხანგრძლივი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობის შედეგად გამოიყოფა ჯერ ყველაზე მეტად გამდიდრებული ერთიანი ზონალური ენები, შემდეგ კი ზონალური ენები შეირწყმიან ერთ საერთო საერთაშორისო ენად, რომელიც, რასაკვირველია, არც გერმანული ენა იქნება, არც რუსული, არც ინგლისური, არამედ იქნება ახალი ენა, რომელმაც*

შეითვისა ეროვნული და ზონალური ენების საუკეთესო ელემენტები”. (ხაზგასმა ჩვენია. – დ. ჩ.).

ი. სტალინი. “მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები”, 1950 (ორიგინალური ციტიტა ამოღებულია 1930 წელს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVI ყრილობაზე გაკეთებული მოხსენებიდან).

ესპერანტოს ენის და სხვა დილეტანტური ენთუზიაზმის ხასიათის მქონე საკაცობრიო ექსპერიმენტების გვერდის ავლით და ნიკო მარისა და სტალინის ოპოზიტური ლინგვისტური თეორიების შეპირისპირების ფონზე როგორმე უნდა მივუახლოვდეთ ჩვენს მთავარ სათქმელს ახალი ენისა და, კონკრეტულად კი, ახალი პოეტური ენის ირგვლივ, მით უფრო კი, ჩვენს მიერ დღეს აქ წარმოდგენილი თანამედროვე ნიუ-იორკელი პოეტის, გრეგორი ვინსენტ სენტ თომასინოს შესახებ.

მეტაენასთან დაკავშირებით უახლოესი ლიტერატურული წარსულიდან აუცილებლად გაგვახსენდება სემუელ ბეკეტი და მისეული ტერმინი “ლოგოკლაზმი”. ბეკეტი ამ ტერმინით აღნიშნავდა “შემოქმედებითი ნებაყოფლობითი მოშლილობის” ან “მშვენიერების სახელით სიტყვიერი შტორმის” საკუთარ კონცეფციას, რის კვლევასაც მან მთელი თავისი შემოქმედება მიუძღვნა. ამ კონცეფციებით იგი გულისხმობდა ხელოვნებას, რომელიც შეტევას ახორციელებს ენაზე და პლატფორმას უქმნის დაშლილი წერის იდეას, ლოგოკლაზმს. ბეკეტს მიაჩნდა, რომ სწორედ ასეთი მეტყველება იქნებოდა მომავლის ენა.

გრეგორი ვინსენტ სენტ თომასინო წამოაყენებს დაშლილი წერის მსგავს თეორიას “ლოგოკლასტიკას”. ლოგოსი ნიშნავს დისკურსს, კლასტიკა კი – დაშლას, დანგრევას,

ნატეხებს, ნამსხვრევებს. ლოგოკლასტიკა ნიშნავს დისკურსის დანგრევას, დისლოკაციას, გადანაცვლებას:

“ჩვენს პოსტლოგოცენტრულ გარემოში მხოლოდღა ლოგოკლასტიკის ნიმუშებიღა გვრჩება. დისკურსი გადანაცვლებულია, ის აღარ არის წაკითხვაზე უწინარესი, არამედ ტექსტის წაკითხვისას ხორციელდება და ვლინდება. დისკურსი აღარაა მოქცეული სიტყვებში, ის კითხვისას იბადება. დის-კურსი დის-ლოკაცირებულია მკითხველის მონაწილეობისკენ, მასში აღძრავს ნარატიულობას”.

ეს თეორია ასევე შეეხება განუსაზღვრელის კვლევას. სიტყვა Indeterminacy ნიშნავს განუსაზღვრელობას, საზღვრის არ ქონას, ხოლო მისი ფუძე არის terminus (საზღვარი). ლოგოკლასტიკა პოეზიაში იკვლევს განუსაზღვრელს, საზღვრების არ მქონე ტერიტორიებს, რომლებიც, როგორც ტერიტორიები, მაინც რჩებიან შემოსაზღვრულად.

გრეგორი ვინსენტ სენტ თომასინოს ალტერნატიული ტერმინიც გააჩნია – e•ratio, რაც ერთდროულად აღნიშნავს როგორც განუსაზღვრელ, ასევე კონკრეტული საზრისის მქონე ფენომენებს.

მეორე მხრივ, პოსტმოდერნისტული პოეზია თამაშობს ენით, ენა მისთვის საშენ კუბიკებს, ქვიშის ყალიბს წარმოადგენს.

გარდა ზემოთქმულისა, პოეტის თეორიულ პლატფორმაში ასევე ხაზგასმულია ამ ძიებების ერთ-ერთი დანიშნულებაც:

“ჩვენი ეპოქა შფოთვის, მგრძნობელობის დაკარგვის, პესიმიზმის, ცინიზმის, უნდობლობის ეპოქაა. ჩვენი ეპოქა დახუფული სიცილის ეპოქაა (არსებობს ამის ანალოგი

პოეზიაში). ჩვენ – *პოეტებმა!* – უნდა ვიბრძოლოთ ამისგან გათავისუფლებისთვის”.

გრეგორი ვინსენტ სენტ თომასინოს პოეზია არ შედგება ზაუმისგან, სიტყვათწარმოქმნისა და ნეოლოგიზმებისგან, არც დანაწევრებული ბგერებისგან, არ ეძებს ეტიმოლოგიურ კავშირებს, არ იგონებს ახალ ენას, რაიმე პოეტურ ესპერანტოს. ამ ლექსებს არაფერი ესაქმებათ არც რუსულ სიტყვასთან Boltun, რაც ყბედს, უწყვეტად მოლაპარაკეს ნიშნავს; არც ინგლისურ სიტყვასთან უნბოლტ, რაც ჭანჭიკის მოშვებას ან პირის მოხსნას ნიშნავს. ის ექსპრესიონისტული, პანნარატიული პოეზიის ტერმინით განისაზღვრება, უფრო ციტატების კრებულის, კოლაჟის, ფრაგმენტების პოეზიაა, რომლისთვისაც მთელი სამყარო როგორც ერთი ნარატივია.

უფრო მეტად რომ მივუახლოვდეთ სათქმელს, უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენში პირველი ლექსი ბოლტზე, ანუ ჭანჭიკზე, მაყვალა მრევლიშვილს ეკუთვნის. საბავშვო პოემა “ჭანჭიკელა” 1958 წელს დაიწერა. შემდეგ მულტფილმიც გადაიღეს სახელწოდებით “ხელმარჯვე ოსტატი”. ჭანჭიკა, იგივე ჭანჭიკელა კოსმოსური ხომალდით, თავისი ავტოლურჯათი მოგზაურობს და მთელ სამყაროს მოინახულებს, ოკეანის სიღრმეებსაც სწვდება და შორეულ ვარსკვლავეთსაც სტუმრობს. ყველასთან მეგობრობს, ეხმარება უცხო პლანეტების მაცხოვრებლებს, გაჭირვებაში დახმარების ხელს უწვდის, ტყვეობიდანაც კი იხსნის.

რკინის ქუდი დაუხურავს,
შვენის რკინის ქალამანი,
ნეკის სიგრძე არც იქნება
ჩვენი წიგნის ფალავანი.

ფეხს დაჰკრავს და შორს დარჩება
მანქანების ქარავანი...
მზა კაცია, ზურგჩანთაში
აქვს რადიოაპარატი.
ოჰო, ენაც ამოიდგა,
კი სცოდნია ლაპარაკი!

დიახ, ცხადია, საუბრობს კიდეც, აბა, ისე რა ურთიერთობა გამოვიდოდა. მაგრამ რომელ ენაზე ესაუბრება, ყველასთვის ასე გასაგები რომ არის ეს ენა, ზესკნელშიც და ოკეანის სიღრმეშიც? ნუთუ ჭანჭიკების ენაზე?

ან საერთოდ, რატომ უნდა გაგვხსენებოდა აქ ბოლტი და ჭანჭიკელა?

იმიტომ, რომ გრეგორი ვინსენტ სენტ თომასინოს ლექსებს "ჭანჭიკის ლექსები" (Bolt poems) ჰქვია და ისინი ჩვენი ჭანჭიკელას მსგავსად მთელი სამყაროს ფრაგმენტებს აკავშირებენ და აერთიანებენ, რადგან თვითონაც შედგენილი არიან ინგლისურ, ფრანგულ, ლათინურ, გერმანულ, ბერძნულ, ვიეტნამურ, ნორვეგიულ, ჰოლანდიურ, კატალონურ, ესპანურ, იტალიურ, არაბულ, ინდონეზიურ და სხვა ენებზე. ისინი ერთი მთელი ნარატივის სხვადასხვა ჭანჭიკებს წარმოადგენენ, რომლებიც, როგორც მიღებულია, დანომრილნიც არიან. რამდენადაც ეს ლექსები სხვადასხვა ენათა სიტყვებითაა შედგენილი, მათ თარგმნას აზრი ეკარგება, მათი დანიშნულება ხომ სწორედ ის არის, რომ სხვადასხვა ენებს წარმოადგენენ ერთ მოცემულ ლექსში...

თუ დასავლეთის ქვეყნების მცხოვრებთათვის ამ ლექსების დიდი ნაწილი ისედაც, ასე თუ ისე უთარმნელადაც გასაგები იქნებოდა (და ეს ფაქტი ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ ლინგვისტურ თეორიას

მოულოდნელად ეხმაურება კიდეც), ქართველი მკითხველისთვის მაინც გადავწყვიტეთ ორიგინალთან ერთად თარგმანიც მიგვეწოდებინა, რაც, შესაბამისად – ინგლისური, ფრანგული, ლათინური, გერმანული, ბერძნული, ვიეტნამური, ნორვეგიული, ჰოლანდიური, კატალონური, ესპანური, იტალიური, არაბული, ინდონეზიური და სხვა და სხვა ენებიდან შეასრულა დავით ჩიხლაძემ.

თუმცა, ვინ იცის, იქნებ ის საერთო ენა, რომელიც ყველას ჩინებულად ესმის, სულაც E პლურიბუს უნუმ წარწერის მქონე დოლარის ენაა?!..

ჭანჭიკების ლექსები



გრეგორი ვინსენტ სენტ თომასინო

ჭანჭიკი ერთი

ზონა
ზეპირი
გამოცდა სხვასთან ერთად
ცის საღამო

Bolt one

Zone
Inter
Alia viva voce
Soirée des Himmels

ჭანჭიკი ორი

ციტირება
დასასრული ციტატის ფარისევლური
გულგრილობა

იძულებითი
ყრილობა *ორატორთა*
ბევრი
ჩინური დაგეროტიპი

Bolt two

Quote il
Unquote indifference
A
La Tartuffe

Obbligato
Hoi *rhetor*
Polloi
China daguerre

ჭანჭიკი სამი

ვარდნა
მოუსვენარი ყმაწვილები
მარჯვენა ბორტი
მისმინე რვა ფსიქიკური პორტმანი “აჰოი, გემბანზე!”

Bolt three

Tumble
Lively hearties
Starboard
Hear me eight ahoy psyche portmanteau

ჭანჭიკი ხუთი

ზღარბი
კორუმპირებული პოლიტიკური
ორგანიზაცია
პრაღის ცხვირები
განმეორებითი
გამოცემა

არიზემა სამფურცელა ჰეიდი

Bolt five

Porpentine
A
Tammany Prague noses
Re

Ed
A

Jack o’
Pulpit Heidi

ჭანჭიკი ექვსი

ს
ა
ს
ტ
ი

კ
ი ჩამოხრჩობა

Bolt six

D
O
U
R henge

ჭანჭიკი რვა

კლიპსი ან
სულელი
კრიგსმარინე
ალპ ო’ბატონ პერსონალი

მორთული
შვლის სამჯერ გახვევა
მუქი
სეიშ რომაული სარსენ ზ

ბ
დოლები
საყვირები
ვუნდერკინდები

Bolt eight

Cleat U oder
Dumme
Kriegsmarine
Alp o’baton der Stab

Graced
Thrice roebuck lapping
Dunkel
Seiche Roman sarsen z

B
Drums
Trumpets
Prodigia

ჭანჭიკი თოთხმეტი

ბზუილი
გამოუთქმელი იოჰანინი
მ
ერზაცი კადუცეუსი თირსო

მოქარგვა
მოქარგვა საბოლოო
ერზაცი
მოქარგვა

Bolt fourteen

Whir
Unuttered Johannine
M
Ersatz caducei thyrsi

Adz
Adz novissima
Ersatz
Adz

ჭანჭიკი თექვსმეტი

ნიჟარა
ტრანსცენდენტური
მეიოტიკური
მელნის

არეალები
17
18
19

როკოკოს
ზღურბლზე
ლუი
9

ეს
საჭრისი
მძვინვარე
ვულვა

BOLT SIXTEEN

Conch
Transcendental
Meiotic
Ink
Areas
17
18
19
Au
Fond rococo
Louis
9
A
Chisel

Furibundal
Vulva

ჭანჭიკი თვრამეტი

სინათლე ხელოვნებაში
შეცდომა
ჩვენ – *გავლენას ახდენს*
ნება – თამაშობს სათამაშოებით (ახალგაზრდა იდიოტი)

Bolt eighteen

Luce in arte
Err
We *affects*
Will pais paizon (young idiot)

ლელა კოდალაშვილი

როგორ უნდა გახდნენ ბავშვები დიდები

ვისაც წამოზრდილი, 10-12 წლის ბავშვები გყავთ, ან, უბრალოდ, გიყვართ ბავშვების თემა, დანიელ პენაკის ეს ახალი წიგნი თქვენთვისაა.

73 წლის თანამედროვე ფრანგი მწერალი, დანიელ პენაკი ძალიან ხშირად წერს სკოლის ცხოვრებაზე და თან ისე, რომ უმეტესობისთვის ამ გამაღიზიანებელ სიტყვას, "სკოლას" სულ სხვა მხატვრული სამყაროთი ტვირთავს. ის აღწერს მოზარდების ცხოვრების ისეთ დეტალებს, რომელსაც მერე კითხვის ნიშნებივით გვიტოვებს საფიქრალად. პენაკის აზრით, ეს საკითხები უფროსებმა ნაკლებად იციან. სწორედ ურთიერთდაუნახაობაა მათ შორის გაუგებრობების მიზეზი. სასოწარკვეთილი და ლაბილური მოზარდები ისევ საკუთარი ინტუიციის წყალობით იკვალავენ გზას ცხოვრებაში. ის პრიორიტეტები, რაც მშობლებს აქვთ მათ მიმართ, ბავშვების ფიზიკურ არსებობას უზრუნველყოფს მხოლოდ და არა სულიერ კვინტენსენციას...

საერთოდ, პენაკი იმ იშვიათ ავტორთაგანია, ვისაც ეხერხება, სკოლის თემა მაღალ დონეზე გაქაჩოს. პირველ რიგში, მას აქვს იუმორი, რომელიც ერთნაირად გასაგებია ბავშვისთვისაც და მშობლისთვისც. ხოლო რამდენად იცინიან მის სარკაზმზე სკოლის პედაგოგები, ეს ნამდვილად საკითხავია, რადგან ისინი ხშირად იქცევიან ხოლმე მწერლის სარკაზმის სამიზნე.

კამოს თავგადასავალი – ესაა ოთხი წიგნი, ოთხი ისტორია ფრანგი მოსწავლეების, ძირითადად კი შფოთისთავი კამოსა და მისი მეგობრის შესახებ. კამოს ხსენებამ ალბათ ცნობილი ბოლშევიკი რევოლუციონერი, კამო გაგახსენათ

და არც ისე ტყუილად. რომანის მთავარი პერსონაჟი, ყველაზე მაგარი იდეების ავტორი და შებერტყილი მეხუთეკლასელი – კამო სწორედ იმ დიდი კამოს – სიმონ არშაკის ძე პეტროსიანის შვილიშვილია. წიგნში თხრობა კი ამ პატარა კამოს განუყრელი მეგობრის პირით ხდება. ისტორიული პერსონაჟი, ვფიქრობ, არაფერშუაშია, რომ წიგნმა გამოცემისთანავე მოიპოვა პოპულარობა მოზრდილებშიც და მოზარდებშიც და ითარგმნა უამრავ ენაზე. ქართულად კი ეს-ესაა გამომცემლობა "აგორამ" გამოსცა ევროკომისიის მხარდაჭერით.

მაშ, ასე... რა ქნას ორმა მე-5 კლასელმა ბიჭუნამ, როცა მათი ახლობელი თავის სატრფოს ვერ პოულობს და უქმროდ რჩება? ცხადია, კამოს გენიალური იდეა მოსდის – თავად უამბოს მილიარდობით მამაკაცს ამ ქალის შესახებ. თუმცა მას იდეები ისედაც ბევრი აქვს... შეუძლია, წინასწარ განჭვრიტოს საძულველი მეექვსეკლასელობის კოშმარი, შეიჭვრიტოს მომავალში... საქმე ისაა, რომ ამ ბავშვებს ყველა მე-6 კლასში გადასვლით აშინებს, რადგან მათ ერთის მაგივრად სხვადასხვა მასწავლებელთან მოუწევთ ხასიათის შეწყობა. ამიტომ მუსიე მარჟერელს, მათ ახლანდელ ერთადერთ მასწავლებელს კამო "საუკუნის" იდეას აწვდის: "ახალი მასწავლებლების როლები გავითამაშოთ... აღარ არის ის ბატონი მარჟერელი, რომელსაც ყველანი ვიცნობდით! თქვენ ხვალ მობრძანდებით და ითამაშებთ სრულიად უცნობი მათემატიკის მასწავლებლის როლს, ან, თუ გნებავთ, ინგლისური ენისა. ერთი სიტყვით, წარმოგვიდგენთ ყველა მასწავლებელს"... მართლაც საუკუნის იდეაა. საყვარელი მასწავლებელი "მრავლდება" იმ სხვადასხვა მასწავლებლებზე, რომლებთანაც მათ მე-6 კლასში მოუწევთ შეხვედრა. ბავშვების ცხოვრება ნამდვილ

კოშმარს ემსგავსება. აქ ძალიან ამბივალენტური განცდები გიჩნდება – ერთის მხრივ ბავშვები საშინლად იტანჯებიან მკაცრი და უსამართლო “პედაგოგების” მხრიდან; მეორეს მხრივ, სიუჟეტი საოცარ გადახვევებს აკეთებს რეალური სამყაროდან. მოკლედ, ნამდვილი ფანტასმაგორიული გრიგალია მოსწავლეთა ცხოვრებაში. ხოლო ის, თუ რითი სრულდება ეს ყველაფერი, აჯობებს, წიგნიდან შეიტყოთ. ესაა კამოს შესახებ დაწერილი ოთხი წიგნიდან პირველი – “კამო და საუკუნის იდეა”.

თავიდან, სანამ რამდენიმე გვერდს წაიკითხავთ, შეიძლება იფიქროთ, რომ ესაა მორიგი სისულელე მოზარდების ვითომ გონებამახვილურობების შესახებ, ყურით მოთრეული იუმორით და სულელი და ანჩხლი მშობლებით. მაგრამ შეცდებით. პირველივე წიგნის ბოლოს მიხვდებით, რომ თქვენ წინაშეა კიდევ ერთი საკაიფო წიგნი მოზარდებზე. აქ შეხვდებით კამოს დედას – ტატიანას, რომელიც დედა კი არა, ქარიშხალია. საერთოდ, როცა იმასაც ძალაუნებურად იაზრებთ, თუ რომელი ისტორიული პერსონაჟის შთამომავალია, მთავარი გმირი, ხვდებით, საიდანაა მასში ამდენი ენერგია, უცნაურობა და განსაკუთრებულობა. ხაზგასმით მინდა ვთქვა – ეს წიგნი უნდა წაიკითხონ დედებმა. განსაკუთრებით კი “ტატიანებმა”, რადგან ეს მათ აღზრდას შეუწყობს ხელს.



მკითხველს ერთი შეხედვით რჩება

შთაბეჭდილება, რომ “კამო” დაწერილია მარტივი ენით, გაჯერებულია ზედაპირული, სახალისო ამბებით, მაგრამ რეალურად ესაა ღრმა ნაწარმოები, სადაც ავტორს არაერთი შეკითხვა აქვს დასმული. მას აინტერესებს, რა მომენტში ეშვება ყველაზე ცუღლუტი და გაჯიუტებული ბავშვი სოციალური რეალობის კონტექსტში, როგორ იღებს ამ და სხვა გადაწყვეტილებებს, სწორია თუ არა მისი არჩევანი, სადა აქვს ახსნა ადამიანის განვითარების ამ ბურუსით მოცულ მეტამორფოზას... პენაკის უფრო ადრინდელი რომანი, “სკოლის სევდა” არის ტექსტი – სიყვარულის შესახებ, რადგან ავტორი ახერხებს, არ იყოს არც პროვინციული სენტიმენტებით გაჯერებული, არც პათეტიკური, არც ყალბი და არც კეკლუცი. ის უბრალოდ არ მალავს სიყვარულს ყოველივე იმის მიმართ, რაც თავს გადახდა, იმათ მიმართ, ვინც მის ცხოვრებაში ცუდი თუ კარგი პერსონაჟის როლი შეასრულა. ისაა ტექსტი – სტატისტიკა, სადაც დიფერენცირებულია მშობელი და მასწავლებელი კატეგორიებად და ქვეკატეგორიებად, რომელსაც ავტორი ერთდროულად განიხილავს მოსწავლისა და მასწავლებლის თვალთახედვის არედან და ამ განსხვავებაზე მკითხველი ბევრს იცინის. ხოლო “კამოში” დომინანტი მოზარდია, მას მიჰყავს აღლუმი, სიუჟეტის მოულოდნელი შემობრუნებაც ბავშვების წარმმართველ ძალაზე მიგვითითებს. თუ პენაკის რომელიმე სხვა რომანში დედა გაცოფებულია და დარწმუნებული იმაში, რომ მისი ბიჭუნა, უკვე დიდი ხანია, პედაგოგთა შეთქმულების უდანაშაულო მსხვერპლია, აქ მსხვერპლი ბავშვები გამარჯვებას მოიპოვებენ. პენაკი ხატავს მასწავლებლების მთელ გალერეას და საბოლოოდ თითქმის ყველა სიტუაციაში ბავშვის ბედი აინტერესებს, მის ინტერესებს იცავს, მის გამო ამხელს ყველას, ვინც გარშემოა. ეს ტექსტი გიხატავთ მთელ იმ აბსურდს, მთელ

იმ ამბივალენტურ პროცესებს, რომელიც სკოლაში ან სახლში შეიძლება ხდებოდეს და რომლის მთავარი ჟონგლიორები ბავშვები არიან. სწორედ ამიტომ იოლია, მოვახერხოთ პრობლემების სხვაგვარი ხედვა, ატანა, მოთმენა და მერე ამ ყველაფერზე სიცილი. ავტორი, ლამისაა, ყველა ეპოქას ტევს ამ ტექსტში, სარდონიკული ტონით აკრიტიკებს, იცინის და თან თანაუგრძნობს ამ ყველაფერს.

“კამოს თავგადსავალი” არის სარკასტული ტექსტი ურთიერთობების ფილოსოფიის შესახებ. როგორ ახერხებს მოსწავლე ლავირებას მასწავლებელსა და მშობლებს შორის. რა ქსელში უწევს გაბმა მას და როგორ ნელ-ნელა იხვეწება მისი ოსტატობა ადამიანთა გამოცნობასა და აღქმაში, რაც მერე და მერე, თანდათანობით, ცხოვრებისეულ მდიდარ გამოცდილებაში გადაიზრდება.

სკოლაში გატარებული წლები ხშირად უსიამოვნო, ხანდახან კი მძიმე, სტრესულ მოგონებებს უკავშირდება ხოლმე. ეს მარტო სკოლის კი არა, იმ ასაკობრივი შუალედის ბრალიცაა, რომელსაც მოსწავლეობის ხანა ჰქვია. ამ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი ამბავ-მეტამორფოზები ხდება. ფსიქიკური სამყარო კი ნამდვილ რევოლუციას განიცდის. ასეთ დროს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი ადამიანები არიან მის გარშემო. მოზარდის გადაკეთებას ხომ ყველა ცდილობს – მშობელიც და პედაგოგიც. და რამდენია მათ შორის მზად, არ შეიტანოს უხეში კორექტივები, არ შეიჭრას მის პირად “ტერიტორიაზე” და არ დააზიანოს ან დაასახიჩროს ის, როგორც მომავალი ადამიანი.

“ერთ დილას გაიღვიძეთ და აღმოაჩინეთ, რომ ერთბაშად ზრდასრულ ადამიანად იქეცით... შიშმა ხელი დაგრიათ და

მშობლების საწოლ ოთახს მიაშურეთ. ისინი კი ბავშვებად გადაქცეულან... თხრობა გააგრძელეთ". – აი, ასეთი დავალება მისცა მასწავლებელმა მოსწავლეებს მეორე წიგნში, "კამო და მე".

მასწავლებელი, რომელიც ობლადაა გაზრდილი, ბავშვებს მუდმივად ოჯახის შესახებ თემების დაწერას ავალებს. ალბათ იმ კომპლექსების დასაძლევად, რაც მას გააჩნია, ალბათ იმ სითბოების მისაღებად, რაც დააკლდა. ბავშვებს ეს დავალებები რთულად გამოსდით. და ისევ კამო პოულობს გამოსავალს – აიძულებს მასწავლებელს, მან დაწეროს თემა ოჯახზე... მანამდე კი წიგნის მთავარი პერსონაჟი, ის, ვინც მთხრობელი და კამოს უახლოესი მეგობარია, სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი. მან არ იცის, რა ქნას, რადგან ამ თემის დაწერა არანაირად არ გამოსდის. პირობა კი დადებული აქვს, რომ ოთხ დღეში დავალება უნდა წარადგინოს. დახმარებაზე კამოც უარს ეუბნება, არც მამას უნდა, მივიდეს მასწავლებელთან და აუხსნას შვილის პრობლემების შესახებ. და აი, ბიჭუნა იძინებს... მერე რა ხდება, ამას წიგნში წაიკითხავთ...

მთავარი – ესაა მოტივაცია და ქვეყანას გადააბრუნებ. დაახლოებით ეს აზრი დევს კამოს დედის, ტატიანას მეთოდში, რომელიც შვილისთვის ინგლისური ენის სწავლებას გულისხმობს გაუგებარ პირობებში, თან, როცა მას ეს საშინლად არ უნდა. "მე კი ვთვლი, რომ ეს ენა არ არის. ყოველ წინადადებაში სიტყვების ნახევარს, ყოველ სიტყვაში მარცვლების სამ მეოთხედს, ყოველ მარცვალში კი ასოების ოთხ მეხუთედს ყლაპავთ. ის, რაც რჩება, ზუსტად ერთ ტელეგრამას თუ ეყოფა" – წერს კამოს მეგობარი ინგლისელ გოგონას მესამე წიგნში, "კამო და სააგენტო "ბაბილონი". კამომ სამ თვეში უნდა შეისწავლოს ინგლისური ენა და მორჩა. ასეთია შეთანხმება დედასთან.

სწავლების პროცესის დაუჯერებელი და გაუგონარი ისტორიის გამოძიება კამოს ევალება. ნაწარმოების ეს თავი არის მშვენიერი მაგალითი იმისა, თუ მხატვრული ტექსტი როგორ შეიძლება იქცეს რეალობად, როგორ შეიძლება იგრძნო ყველაფერი შენი ცხოვრების ნაწილად და ეს მოხდეს ძალიან მარტივად, ყოველგვარი დაძაბული ემოციური ფონის გარეშე. "კამოს" ეს მესამე წიგნი ნამდვილი დეტექტიური სიუჟეტია და მე ვიტყოდი, რომ ოთხ წიგნს შორის ალბათ ყველაზე თავბრუდამხვევი და მოულოდნელობებით სავსე. აღარაფერს ვამბობ ფინალზე. ისიც შეიძლება დავამატოთ, რომ ჩემი აზრით, თითქოს უფრო ბიჭუნებმა უნდა იხალისონ ბიჭი პერსონაჟების ასეთი გიჟური, თავაწყვეტილი თავგადასავლებით, არასტანდარტული, რისკით სავსე გამოსავლებისთვის თვალის მიდევნებით, თუმცა, შესაძლოა, ვცდები. სამაგიეროდ, უკლებლივ ყველას მოსწონს პენაკის მოზრდილი პერსონაჟები. უცნაური, გაუგებარი, უამრავი ნაკლით და ღირსებით, ისინი ამ ბავშვებთან არიან მთელი სიუჟეტის მანძილზე და მათით ცხოვრობენ.

კამოს, რომელსაც არასოდეს არაფრის ეშინია, უცებ ველოსიპედის შეეშინდება. რა ხდება, სად გაქრა დედამისი – ეს აქტიური დედა-პერსონაჟი, ქოთქოთა და არანაკლები იდეების ავტორი ქალი? და საერთოდ, საიდან აქვს ეს უცნაური სახელი კამოს? ეს საკითხები მეოთხე წიგნში ("კამოს გაქცევა") იჩენს თავს. ეს თავი, ლამისაა, ფანტასტიკის ჟანრშია დაწერილი. რომანში ჩნდება მისი დიდი ბაბუა – კამო. ველოსიპედიც, როგორც საბედისწერო სიმბოლო, იკვეთება. ისტორიული პერსონაჟი კამო ხომ ველოსიპედით მიმავალი დაიღუპა, როცა მას ავტომობილი დაეჯახა. საერთოდ, ეს ფინალური მეოთხე თავი ყველაზე ტრაგიკული და დიდურია. დიდურია ის მეგობრობაც,

რომელიც მთელი ტექსტის მანძილზე ძირითად მამოძრავებელ ძალად ჩანს და ამ თავში კი განსაკუთრებული როლი ეკისრება. თუმცა, დანიელ პენაკი არაა ტრაგიკული თემების მწერალი. მისი ტექსტები უბრალოდ, სევდიანია და თან ძალიან ბევრს გაცინებს.

ზემოთ მასწავლებლის მიერ ბავშვებისთვის დავალებული თემა ვახსენე, რომლის მიხედვითაც ბავშვებს მოზრდილებად უნდა წარმოედგინათ თავი მაშინ, როცა თავის მხრივ მშობლები დაპატარავდებიან. დანიელ პენაკის ეს მეტაფორა – პატარებისა და დიდებისთვის ადგილების შეცვლის, ვფიქრობ, მისი ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი საფიქრალია. ამით ის ალბათ ემპათიის ნაკლებობაზე მიუთითებს, რაც სწორედ რომ ძირითად პროვოკატორად იქცევა ხოლმე ადამიანების დაპირისპირებისას.

კამოს თავგადასავლის ოთხივე წიგნი გიორგი ეკიზაშვილმა თარგმნა. მის ოსტატობაზე აქ აღარ შევაჩერებ ყურადღებას, რადგან ქართველი მკითხველისთვის ისედაც კარგადაა ცნობილი ბატონი ჟორჟის გამორჩეული თარგმანები. ალბათ ბევრი იფიქრებს, ეგზიუპერის, კამიუს, უელბეკის და სხვათა ოსტატურად მთარგმნელი, ცხადია, ამ საბავშვო ტექსტს კიდევ უფრო იოლად გაართმევდა თავსო. მაგრამ როცა წიგნს წაიკითხავთ, დარწმუნდებით, რომ სწორედაც რომ ურთულესი ამოცანა გადაწყვიტა გიორგი ეკიზაშვილმა. შეინარჩუნო ფრანგულიდან ქართულ ენაში დანიელ პენაკის დახვეწილი, ხშირად ფილიგრანული ფრაზები და გამოთქმები, ბუნებრივად გადმოსცე ბავშვების დიალოგები, რომელიც ხანდახან ქუჩურია, ხანდახან კი სრულიად ინტელექტუალური, და, რაც მთავარია, ჩვენამდე მოიტანო ის იუმორი, რომლითაც საერთოდ გამორჩეულ

ავტორად იქცა ეს მწერალი, ვფიქრობ, არ იყო იოლი ამოცანა. ამისათვის ალბათ საჭიროა, რამდენიმე ხნის მანძილზე პატარა, ცელქ ბიჭად გადაიქცე ისევე, როგორც კამოს მეგობრის მშობლები გადაიქცევიან სიზმარში, ან, უფრო სწორად, ავადმყოფობის აგონიისას.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო ილუსტრაციების შესახებაც. ეს გახლავთ მხატვარ მარიამ ზალდასტანიშვილის გრაფიკა, რომელიც წიგნების თითქმის ყველა გვერდზე გვკარნახობს რაღაც დამატებით ამბავს, ხედვას, ან ამძაფრებს სასაცილო სიტყვას, პერსონაჟს, სიტუაციას. ვფიქრობ, ამ ილუსტრაციების გარეშე ტექსტი ნაკლებად ჰაეროვანი იქნებოდა.

5. თარგმანები

გიიომ აპოლინერი

ლექსები

დრომ გვაჩვენა, რომ სიმბოლისტების კვალდაკვალ აპოლინერი იყო ახალი ფრანგული პოეზიის ფუძემდებელი. მან განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მეოცე საუკუნის ფრანგული პოეზიის განვითარებაზე და ფრანგი პოეტების (და არამარტო ფრანგი) შემოქმედებაზე. მისი პოეზია არის, სრულიად ახალი ესთეტიკა, განუწყვეტლივ ახალ ფორმათა ძიება, სიტყვისადმი განსაკუთრებული, გამორჩეულად ფაქიზი დამოკიდებულება.

აპოლინერის შემოქმედებაში ერთმანეთს ერწყმის ფრანგული პოეტური სიტყვის ტრადიცია და მოდერნისტული ძიებანი. გამუდმებული სიახლის ძიების პროცესს თავად პოეტი ასე აღწერს: ‘‘ზეგარდმო ყოვლისშემძლე ძალა შესაძლოა, ყოველდღიურად ცვლის საგანთა წესრიგს, ეწინააღმდეგება მიზეზებსა და შედეგებს, კლავს წარსულში არსებულის ხსოვნასა და იმას, რაც ადრე ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა, რომ შექმნას მოვლენათა ახალი თანმიმდევრობა, ახალი რეალობა.‘‘

ზოგჯერ სიმბოლისტური სახეები, თემები, მუსიკა თანაარსებობენ მოდერნისტულთან. ეს გამორიცხავს ტრივიალურობას, განსაკუთრებით კი უნდა აღინიშნოს აპოლინერის კალამბურები და ნეოლოგიზმები.

მეოცე საუკუნის დასაწყისის პოეზიაში აპოლინერი შემოვიდა ელეგიური მოტივებით, ეს უკვე იყო თავისებური სიახლე, სხვა განწყობა: "გამიღეთ კარი, მე ტირილით რომ ვაკაკუნებ", – ასეთი იყო მისი გამოჩენა.

აპოლინერის პოეზიისთვის დამახასიათებელია უღრმესი, ძალიან დახვეწილი პოეტური ხედვა და საგრძნობი, თითქმის ხელშესახები ემოცია, განსაკუთრებული ლირიზმი, შერწყმული მისტიკურ წიაღსვლებთან.

1913 წელს გამოჩნდა მისი "ალკოჰოლები". ეს იყო თანამედროვე პოეზიის მანიფესტი, თითქმის ათი წლის მუშაობის შედეგი, პოეტური ექსპერიმენტების წიგნი. აქ იყო პოეტის ძველი სიყვარულების აჩრდილები, ანი პლეიდანი და მარი ლორანსენი ("ზონა"), მისი მოგონებები, მოგზაურობა გერმანიაში, კერძოდ, რაინისპირეთში, კუბისტური ტილოები, გადმოტანილი პოეზიაში, კულტურის სხვადასხვა მიმართულების შერწყმა, ვერლიბრი, ადგილ-ადგილ რითმითა და ასონანსებით, ყოველგვარი პუნქტუაციის გარეშე. ეპოსი, ძველი რაინისპირული ლეგენდები, ხალხური სიმღერები, ვიიონისეული მემკვიდრეობა და სრულიად უცხო, სიურეალისტურ-ნოვატორული ხედვა კომპლექსურად გააერთიანა პოეტმა.

აპოლინერს ჯერ განზრახული ჰქონდა, რომ წიგნისთვის დაერქმია "არაყი" (არაყი – l' eau de vie ქართულად ასე ითარგმნება-სასიცოცხლო (ცხოვრების) წყალი და არანაკლებ ფუნქციურად დატვირთული პოეტური სათაური

გამოდიოდა), მაგრამ ‘‘ალკოჰოლების‘‘ მრავლობითი რიცხვი, თავად სიტყვაც გასაგებია, რომ უფრო გამომსახველი, უფრო პოეტური იყო და ყოველგვარ თრობასთან, მათ შორის, სიტყვით თრობასთანაც უფრო მეტად იყო სიმბოლურად დაკავშირებული.

ერთდროულად კლასიკურ ფორმათა გამოყენება და ნოვატორული მიდგომები, ეპოქათა სხვადასხვაობა და ადგილთა მრავალფეროვნება, შერწყმული მეტისმეტად ფაქიზ ლირიზმთან – საბოლოოდ ეს ყველაფერი ქმნის აპოლინერის პოეზიას.

ქეთევან კოკოზაშვილი

ელეგია

ცა და ჩიტები საღამოს პირს სხდებოდნენ ფრთხილად
კვიპაროსებზე ერთმანეთში რომ წნავდა ქარი
ორ სატრფოსავით უკანასკნელ კოცნას რომ ცვლიან
რომანტიკული იყო სახლი რაინთან მდგარი
თავისი დიდი ფანჯრებით და მკვეთრ სახურავით
ზედ ფლუგერი რომ ჭრიალებდა ხოლმე ხანდახან
ქარისგან თითქოს ეკითხება რა იყო რა გჭირს
კარის სიბრტყეზე მიჭედილი ჭოტი მოჩანდა
ჩვენ ვიდექით და ვსაუბრობდით ქარში კედელთან
და ვკითხულობდით მოსაგონარს ერთი მკვლელობის
შესახებ იქვე დატანებულ ქვას რომ ეწერა
ვსაუბრობდით და ამ ქვაზე შენ ხშირად ჯდებოდი –

შეგირდი გოტფრიდ ათას ექვსას და ოცდაათ წელს
სრულიად ნორჩი ბრიულიდან იყო და ენთო
წამებით მოკლეს მის სატრფოს კი შხამი აწვეთეს
და განუსვენე და ულხინე მათ სულებს ღმერთო.
მზე ჩადიოდა და მეწამულს აფენდა მთებზე
ჩვენს სიყვარულსაც მოცხარივით სდიოდა სისხლი
და გერმანიის შემოდგომა მინავლულ ფერზე
და ღამე შუქით მოტირალით ხვდებოდა სიკვდილს
უხმოდ ერთვოდა სიყვარული ჩვენი ამ კვდომას
შორს ცეცხლის პირას კი ბოშები ისევ მღეროდნენ
მატარებელმა გაიქროლა წინ მზერით შორით
დიდხანს გავცქერდით დასახლებებს სანაპიროზე

წასვლა

მათ სახეები გაჰფითრებოდათ
ქვითინი ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოთმენით
თითქოს უბიწო ყვავილს ათოვდა
ან შენი ხელები ჟამს ჩემგან კოცნების
ასე ცვიოდნენ დამჭკნარი ფოთლები.

* * * (იმ თბილ საღამოს ერთად ვუცქერდით გედებს...)

იმ თბილ საღამოს ერთად ვუცქერდით გედებს
გედებს მშვიდად მოცურავეთა
ტბის ზედაპირი რომ ირეკლავდა ხედებს
აცრემლებულ ტირიფთა ტოტებით
გვამცნობდა დრო დღის გარდაცვალებას.

გაქცევა

შეყვარებული დედოფალი ნავით სხვას გაჰყვა
მოხუცი მეფე დიდებული მიადგა ზღვის პირს
ყოველ ნაბიჯზე მოსასხამზე მბზინავი რაღაც
სამკაულთაგან ხმა წკრიალით ერთვის მის ქვითინს
მენიჩბეების სიმღერა კი მიჰყვება ტალღებს
დედოფალი და მისი სატრფო უსმენენ ყუჩად
მათ არ ადარდებთ რიფები და სირინოზთ ჰანგი
თუმც მეზღვაურებს ეს გრძნეულთა შელოცვად უჩანთ
შემზარავია! გროვა ჩონჩხთა და მარგალიტთა
მიკრული ფსკერზე ერთ დროს ზღვაზე მოტივტივენი
მოცურავენი ყვავილები თმა და ნიჩბები
ამ იისფერმა მედუზებმა რომ გადაგლისა
მწარე იღბალი გაქცევათა მძიმე დარდისგან
ცვივა ძვირფასი თვლები მეფის მოსასხამიდან.

მაისი

მშვენიერ მაისს მიარწევდა რაინზე ნავი
ქალბატონები დასცქეროდნენ მთიდან ზემოდან
რა ლამაზები მაგრამ ნავი მთლად შორდებოდათ
მოტირალ ძეწნებს ჩაუხრიათ ნაპირზე თავი

უკან რჩებოდა ნავს ბაღები მოყვავილენი
თხელი ფურცლები დაცვენილი თეთრად ალუბლებს
თითქოს მაგონებს ფრჩხილებს მისას მიმობნეულებს
და ქუთუთოებს ჩამომჭკანარი ეს ბილილები

მდინარის გასწვრივ გზაზე ბოშებს თამაშ-თამაშით
მიჰყავდათ დათვი მაიმუნი და ერთიც ძაღლი
მისდევდნენ ფურგონს და ვირს მისი თრევისგან დაღლილს
უკან რჩებოდა ვენახები რაინის გაღმით
ისმოდა ხმები ფლეიტის და მუსიკა მარშის

ლამაზ-მაისმა დაამშვენა ნაწეწ-ნალეწი
ნორჩი ყლორტები ვენახისა და ვარდნარისა
რაინის ქარი აქანავებს ძეწნებს ნაპირზე
მოშარიშურე ლერწმიანს და ვაზებს ალერსით

ჩამესმის

ხანდახან ჩამესმის ხმა უცხოდ ჟღერადი
პატარა სიტყვებად
და თითქოს მაყვარებს ტკივილებს დღევანდელს
და იმას რაც მერე იქნება
სიტყვები ელ-ს რომ შეიცავენ ანგელოზთ მსგავსად
სიწრფელე ბავშვური
თაფლი ჩასცდება ყელს და ფიქრით ვართ ცასთან
ო თაფლი ხალასი ო ზეცა ზაფხულის

ბავშვობა

კვიპაროსების ბაღს ოცნებით მივუყვებოდი
და ფაფუკ ფთილებს ქარის გამო მათ რომ წყდებოდნენ
თვალს ვაყოლებდი წეწდა ჩემი თითისტარიდან
მკვდარ აუზამდე ტირიფები რომ დასტიროდნენ
მივუყვებოდი ვჩერდებოდი ჟასმინების წინ
და შროშანების სურნელში ხელს მათკენ ვიწვდიდი
ირისებისკენ ბაყაყთ ხმა კი არ მაკარებდა
კვიპაროსები მიჩნდნენ ჩემდა თითისტარებად
ბაღი-სამყარო სადაც მიტომ ვცხოვრობდი ოდეს
რომ სამუდამოდ ჩავქსოვოდი იმ კვიპაროსებს

სიყვარული

არათითზე ოქროს ბეჭდის ბზინვით
კოცნის მერე სიყვარულის ახსნა
ჩვენს ბაგეებს ჩურჩულით რომ დასცდათ
და ბეჭედის ბზინვარებას გასცდა
თმაში ვარდის ყვავილებად ღვივის



თარგმნა თემურ ჩხეტიანმა

(პწკარედი ფრანგულიდან
ქეთევან კოკოზაშვილისა)

6. არტი

ელენე ბედუკაძე

შესამოსელის ნაოჭებზე აღბეჭდილი ეპოქები

ხელოვნებათმცოდნის ერთ-ერთ სახალისო საქმიანობად შეიძლება ხელოვნების ნიმუშების დათარიღება დავასახელოთ. ამ სახელწოდების მქონე ლექციაზე ჩვენმა პროფესორმა მოიტანა ფრაგმენტები ფერწერული ტილოებიდან. მიუხედავად იმისა, რომ "თავსატეხში" ძირითადად მხოლოდ შესამოსელი იყო წარმოდგენილი, ბევრი რამის თქმა იყო შესაძლებელი ნახატის წარმოშობის დროსა და ადგილზე. გადამწყვეტი იყო დეტალებზე დაკვირვება და სწორად შერჩეული კრიტერიუმები. ოღონდ თუ ნიმუშები მეცხრამეტე საუკუნემდე იყო შექმნილი. მოდერნში ძალიან რთულდება ეს პროცესი, თემატიკის მრავალფეროვნებისა და უამრავი მიმდინარეობის წარმოშობის გამო.

პირველი ნიმუში:

მეორე ნიმუში:

ეს ორი ფრაგმენტი ორი სხვადასხვა ტილოდან, ერთი შეხედვით, თავისი წარმოშობის ადგილსა და დროზე ბევრს არაფერს გვეუბნება. პირველი გვიჩვენებს მყარ, ღია ფერის, უმოძრაო ქსოვილს, რომელსაც კუთხოვანი ნაკეცები აქვს. ცნობილია, რომ კანონიკის მიხედვით მეთხუთმეტე საუკუნის შუა ხანებიდან გვიან გოთიკაში, როგორც ქანდაკებებს, ასევე ფერწერაში, სამოსელს ასეთ კუთხოვან ნაოჭებს უკეთებდნენ, რაც ერთგვარი გაგრძელებაა ე. წ. "პლასტიკური სტილისა". ის, რომ პირველ ნიმუშში წარმოდგენილი პიროვნება ფეხზე დგას, საკრალური კონტექსტის მაჩვენებელი უნდა იყოს, ხოლო მეორეში იკითხება პროფანული კონტექსტი, რადგან ამ პერიოდში ძალიან იშვიათად გამოისახებოდა წმინდანი



მწოლიარე პოზიციაში. მეორე ნახატზე მოცემული ქსოვილი რეალისტურადაა გადმოცემული, ფუნჯის მონასმები იგრძნობა, სხეული სამოსელის ქვეშ შესამჩნევლად არის მინიშნებული, რაც მეთხუთმეტე საუკუნეზე ბევრად გვიანდელ ხანაზე მიგვანიშნებს.

მესამე ნიმუში:

ამ ფრაგმენტის დანახვისას პირველ რიგში თვალში გვეცემა შუქ-ჩრდილის გამოყენების თავისებურება, რასაც ვერ ვხედავთ პირველ მაგალითში. აქ შუქი მარცხნიდან შემოდის და განსაკუთრებით ანათებს ნახატის მარჯვენა მხარეს, რაც თითქოს არაფრის მთქმელ ქსოვილის ზედაპირს დრამატულობას ანიჭებს. ეს იტალიური ბაროკოსა და შუქ-ჩრდილების ოსტატის, კარავაჯოს გავლენაზე მიგვანიშნებს (მეჩვიდმეტე საუკუნე). გადამწყვეტი ფაქტორი, რასაც ასევე მეჩვიდმეტე

საუკუნემდე მივყავართ, არის ქსოვილის ზედაპირისა და ნაკეცების რეალობასთან ახლოს, ზედმიწევნით, დეტალურად გადმოცემის თავისებურება, რაც Trompe-l'oeil (ვიზუალური ილუზიის) ეფექტს ქმნის. ვიზუალური ილუზიის შექმნის მცდელობით განსაკუთრებით გამოირჩევა მეჩვიდმეტე საუკუნეში დამოუკიდებელ ჟანრად ჩამოყალიბებული ნატურმორტი.

მეოთხე ნიმუში:

მეოთხე ნახატში, გარდა იმისა, რომ გვიანი გოთიკური სტილისათვის დამახასიათებელი კუთხოვანი ნაოჭები თვალშისაცემია, ასევე ვიცით, რომ ოქროსფერი, რომელიც ხშირად გამოიყენებოდა ნახატის ფონად გოთიკურ ხელოვნებაში, ბაროკოში მე-17 საუკუნეში და მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში თითქმის აღარ გვხვდება.

მეხუთე ნიმუში:

გარდა გოთიკური პრინციპით დახატული თეთრი, კუთხოვანნაოჭებიანი სამოსელისა, რომელიც ოთახის

სივრცის გამომხატველია, უკანა ფონზე გამოხატული ორნამენტიანი სკამი ხელჩასაჭიდ მინიშნებას გვაძლევს ნახატის წარმოშობის დროზე. პირველი გოთიკური ტაძარი, რომელშიც ორნამენტებიანი, მასვერკფანჯარა გამოიყენეს, რაიმსის კათედრალია, რომლის მშენებლობაც 1211 წელს დაიწყო, რაც მეცამეტე საუკუნეზე ადრეულ დათარიღებას გამორიცხავს. შესამჩნევია ის ფაქტიც, რომ მხატვარი დაინტერესებულია პერსპექტივის გადმოცემით, მაგრამ, როგორც ვამჩნევთ, ჯერ ვერ ფლობს მას სრულყოფილად, რასაც ისევ მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევართან მივყავართ. სწორედ ამ საუკუნეს უკავშირდება ფილიპე ბრუნელესკის მიერ ფლორენციაში ცენტრალური პერსპექტივის აღმოჩენა, მისი დაუფლება კი მაშინვე და ყველგან ერთნაირად არ მომხდარა. მეთხუთმეტე საუკუნის შუა ხანებში გამოკვეთილად გოთიკური ნიშნები მიგვანიშნებს ჩრდილო ალპურ ზონაზე. იტალიაში ამ დროს რენესანსია, მართალია გოთიკური ელემენტები ზოგ მხატვარს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს, მაგრამ პრონციპულ ასპექტებში რენესანსულია.

მეექვსე ნიმუში:

მოძრაობაში გადმოცემული, გაფრიალებული სამოსი, პერსპექტივის გამოსახვის ფლობა, სამოსის ფლორისტული ზედაპირი თითქმის უტყუარ მინიშნებას გვაძლევს სანდრო ბოტიჩელიზე. ამ შემთხვევაში მის პრიმავერაზე.

რაც შეეხება მომდევნო ფრაგმენტს, ყველაზე მეტად თვალში გვხვდება ანატომიურად სწორად აგებული, დაკუნთული, პროპორციული სხეულის ქვედა ნაწილი, რომელიც მკვეთრი ფერადოვანი შესამოსელის ქვეშ კარგად არის გამოკვეთილი. მკვეთრი ტონები გვიანდელ რაფაელს მოგვაგონებს. პერსპექტივის სრულყოფილი ფლობა, ანატომიით გატაცება და სხეულის ყველა კუნთის გადმოცემის ინტერესი რენესანსისთვის დამახასიათებელია. რაფაელთანაც ვხედავთ ამას და განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩევა მიქელანჯელო.

მეშვიდე ნიმუში:

ხელოვნების ნიმუშის წარმოშობის დროსა და რეგიონამდე რომ მივიდეთ, გარდა თეორიული ცოდნისა, მნიშვნელოვანია თვალის გაწაფვა, რაც მუზეუმების ხშირი სტუმრობით მიიღწევა. სწორედ ამგვარი გამოცდილების მეშვეობით ხდება შესაძლებელი გავიაზროთ, თუ რას გულისხმობს შვეიცარიელი ხელოვნებათმცოდნე ჰაინრიხ ვოლფლინი, ავტორი წიგნისა “ხელოვნების ისტორია სახელებისა და გვარების გარეშე”, როცა ხელოვნების ნიმუშებს სტილისტური თავისებურების მიხედვით, მიმდინარეობებად და რეგიონებად აჯგუფებს. ამ შემთხვევაში შეუძლებელია აგვერიოს რომელი

რეგიონიდანაა ერთსა და იმავე დროს მოღვაწე ლუკას კრანახისა და რაფაელი სანტის ნამუშევრები, თუნდაც ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი, იქნება ეს მითოლოგიური თუ ბიბლიური.

რა თქმა უნდა, ყოველთვის არ გვაძლევს შედეგს, როგორც ეს ჩვენ შემთხვევაში იყო, სამოსელზე დაკვირვება. ასეთ შემთხვევაში ფერთა, ციტატების გამოყენების, კომპოზიციის თავისებურება და უამრავი სხვა კრიტერიუმი გაგვიწევს სამსახურს. ვერმეერის შემთხვევაში კომპოზიციის უნიკალურობა მიგვიყვანს ზუსტ პასუხამდე. ფანჯარა, ფარდა, რომელიც სცენის ელფერს აძლევს მის უკან ნაჩვენებ, ჟანრული მხატვრობისთვის დამახასიათებელ ყოველდღიურობის ამსახველ სიტუაციას, მაგიდაზე გადაფარებული ხალიჩა. ეს ის ნივთებია, რომლებიც მის ყველა ნახატში გვხვდება. რაც უფრო მეტია აბსტრაქცია, ფორმის უარყოფა მხატვრობაში, მით უფრო მეტად რთულდება მათი დათარიღება. ამიტომაც პიკასო, ყველაზე დიდი მოყვარული ექსპერიმენტებისა და ამიტომაც ძალიან მრავალფეროვანი, რთული საცნობია.

[1] მსგავსი მოტივი გვხვდება რ. აკუტაგავას “უსიერ ტყეში”, მაგრამ რუსთაველთან ის მაინც სხვა, მისტიკური ხასიათის მომენტია: “გულშან-ი-რაზ”-ის ერთ-ერთი კომენტატორი ამტკიცებს, რომ: “ზაჰირი არის ვარდის ჩრდილი და რიდის გაფხრეწა” და ვინც ზაჰირი იხილა, მალე ის ვარდს იხილავს, ვარდს, რომელიც ყოველგვარი “რატომ”-ის გარეშე ჰყვავის.

[2] სიმეტრიული აზროვნების სხვა ასპექტი ვლინდება “ჰამლეტის” შურისძიების თემაში.

[3] არავის მამა, “მამაო ჩვენოს” ანტითეზა.

[4] თუ არ უკვდავი, ვინ ჩახედავს შენს მწარე თვალებს,

ამ შემზარავი სიმეტრიის ვინ არს შემქმნელი?

ბლეიკის ცნობილ სტრიქონებში, ვეფხვი ესაა – მოგიზგიზე ცეცხლი და ბოროტების წარუვალი არქეტიპი. მე უფრო ვეთანხმები რუსთაველს, რომელიც მასში დახვეწილი ძლიერების სიმბოლოს ხედავს. და მაინც, არ არსებობს აბსოლუტურად ზუსტი სიტყვები, წარმოდგენას რომ გვიქმნიდეს ვეფხვზე, ამ ხატებაზე, მუდამ რომ აღელვებდა ადამიანის წარმოსახვას (არ შემიძლია მკითხველს არ შევახსენო იუან მეის იგავი “მორჩილი ოცნებობს ვეფხვზე”).

[5] მეორე ვერსია პრინციპულად არ მოსწონს რაფაელს, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ქართული ენა, რათა “ვეფხისტყაოსანი” ორიგინალში წაეკითხა და აცხადებს, რომ ეს პოემა სინამდვილეში სინათლის მისტერიაა, ხოლო მოქმედება მაკროკოსმოსთან ერთად თვითობის თეატრშიც მიმდინარეობს.